619
1957 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 11 ნოემბერი 1957



უბრწყინვალეს ფურცლად შევა კაცობრიობის უდიდეს მიღწევათა ისტორიაში 1957 წლის 4 ნოემბერი; ამ დღეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან გაშვებულ იქნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ასრულდა საუკუნოვანი ოცნება; გადაიდგა ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობისაკენ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. უკვე კარზეა მომდგარი ის დღეც, როდესაც ადამიანი გაფრინდება მთვარეზე, უახლოეს პლანეტებზე.

საპლანეტთაშორისო მოგზაურობას საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირში, ეს ჩვენი მეცნიერებისა და ინჟინერთა დიდი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია, ჩვენი სოციალისტური სისტემის მონაპოვარია.

საზღვარგარეთის რეაქციულად განწყობილი პრესაც კი იძულებული შეიქნა ეღიარებინა საბჭოთა ქვეყნის ეს მნიშვნელოვანი მიღწევა, შეედარებინათ იგი კოპერნიკისა და ნიუტონის აღმოჩენებთან. სენსაცია უფრო გაძლიერდა, როდესაც პირველს მეორე თანამგზავრიც მიჰყვა, 6-ჯერ უფრო მძიმე და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი.



მეორე თანამგზავრთან ერთად ასობით კილომეტრის სიმაღლეზე დედამიწას გარს უვლიდა ძაღლი „ლაიკა“ — ატმოსფეროს ფარგლებს გაცილებული პირველი ცოცხალი არსება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (76) ნოემბერი 1957 წელი

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. 1957 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაული. ტრიბუნაზე არიან ამხანაგები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ა. გეგეშიძე, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა, მ. დ. ჩუბინიძე, ვ. პ. მჟავანაძე, კ. კ. როკოსოვსკი, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, ი. ს. დოლიძე, ა. ნ. ინაური, თ. ბ. ჯანელიძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა)

# ოქტომბერი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებითა და მადლიერების გრძნობით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში და არსებითად განსაზღვრა მთელი კაცობრიობის მომავალი განვითარება. დაიწყო კაპიტალიზმის მოსპობისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, რამაც მას ნამდვილი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა.

საქართველოს მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ათეული წლების განმავლობაში თავგანწირვითა და მამაცურად იბრძოდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის მოსპობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებისათვის.

კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და თვითმპყრობელური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი დროშა ჩვენს ქვეყანაში რუსეთის მუშათა კლასმა აღმართა. ამ ბრძოლას მალე შეუერთდნენ რუსეთის იმპერიის განაპირა ეროვნული მხარეების მშრომელები. საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა აქედან მოყოლებული ყოველთვის იდგნენ თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში საქართველოს ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად.

ბოლშევიკები დაუნდობლად ამხელდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებში გაბატონებულ ქართველ მენშევიკებს, რომლებიც თვითმპყრობელობის დამხობითა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის შექმნით რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდა.

საქართველოს ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს თავიანთ გაზეთებში ვ. ი. ლენინის გენიალური „აპრილის თეზისები", რომელიც პარტიას აძლევდა ახალ ორიენტაციას, სოციალისტურ რევოლუციისათვის ბრძოლის კონკრეტულ პროგრამას და გააჩაღეს მისი პროპაგანდა პარტიულ და მშრომელთა ფართო მასებში.

ჯერ კიდევ 13 მარტს თბილისის ბოლშევიკებმა დაარსეს ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი", ხოლო 4 ივნისს ქართული ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა". ეს გაზეთები დაუნდობლად ამხელდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და ქართველი მენშევიკების ანტიხალხურ პოლიტიკას, სისტემატურად და დაბეჯითებით ეწეოდნენ ლენინური იდეების პროპაგანდას და რაზმავდნენ მასებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა ბოლშევიკური ორგანიზაციების კრებები, რომლებმაც განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის VII (აპრილის) კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე.

დიდ მოვლენას წარმოადგენდა 2-7 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარებული კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ყრილობა, რომელმაც სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად განიხილა პარტიის VI ყრილობის შედეგები და განსაზღვრა კავკასიის ბოლშევიკების ტაქტიკა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის.

კავკასიის ბოლშევიკების ამ ყრილობამ განიხილა რა დროებითი ბურჟუაზიულ მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი, სრული უნდობლობა გამოუცხადა კერენსკის მთავრობას, გადაჭრით დაგმო მენშევიკებთან ყოველგვარი შეთანხმებლობა და დასახა ძალაუფლების შეიარაღებული აჯანყების გზით აღების აუცილებლობის ამოცანა. ყრილობამ აირჩია კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა რევოლუციურ ბრძოლებს მთელ ამიერკავკასიაში, როგორც ოქტომბრის რევოლუციამდე, ისე მის შემდეგ.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში გაიმარჯვა შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელმაც დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება. პეტროგრადში დაწყებულმა რევოლუციამ უდიდესი სისწრაფით იწყო გავრცელება მთელს ქვეყანაში. პეტროგრადის პროლეტარიატის გამარჯვების შესახებ საქართველოში მეორე დღესვე შეიტყვეს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი აღტაცება გამოიწვია საქართველოს მშრომელებში. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, ესალმებოდნენ პეტროგრადის გმირ პროლეტარიატს, რევოლუციის დიდ ბელადს ლენინს.

საქართველოს ბოლშევიკურ გაზეთებში ქვეყნდებოდა საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტები, სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების ფართო პროპაგანდა.

ბოლშევიკების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გაძლიერდა მასების რევოლუციური განწყობილება და ბრძოლა კონტრრევოლუციური მთავრობის ადგილობრივი ორგანოების დამხობისათვის, მაგრამ წარმატება ვერ იქნა მიღწეული.

ოქტომბრის რევოლუციამ საშინელი აღშფოთება და ცხოველური გაავება გამოიწვია საქართველოსა და ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებსა და კონტრრევოლუციურ პარტიებში.

ანტისაბჭოთა პარტიებმა ამიერკავკასიაში შეკრეს კონტრრევოლუციური ბლოკი. 14 ნოემბერს შექმნეს ე. წ. „ამიერკავკასიის კომისარიატი", რომელმაც არ ცნო ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი საბჭოთა ხელისუფლება და „დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლება" გამოაცხადა. საქართველო და მთელი ამიერკავკასია ჩამოაცილეს საბჭოთა რუსეთს.

ამრიგად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში საქართველოს მუშათა კლასმა მთელ რიგ საშინაო და საგარეო პირობების გამო ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება, ძალაუფლება ხელთ იგდეს ხალხის უბოროტესმა მტრებმა — მენშევიკებმა.

მაგრამ საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელო-

ბით ოქტომბრის დიადი დროშით განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომელსაც ქვეყნის შიგნით არ გააჩნდა სოციალური დასაყრდენი, თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისა და რევოლუციური მოძრაობის აღკვეთის მიზნით, საქართველოში შემოუშვა ჯერ გერმანელი, ხოლო შემდეგ ინგლისელი იმპერიალისტები, რომელთაც მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია.

მენშევიკური მთავრობა გულმოდგინედ იყენებდა იმპერიალისტთა ხიშტებს რევოლუციური მოძრაობის ალსაკვეთად, ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოში შეიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა, რაც კიდევ უფრო გაართულა რუსეთში უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დაწყებამ. საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვების შედეგად შეუძლებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სათანადო კავშირურთიერთობა.

ასეთ ვითარებაში საქართველოს მშრომელებს მთელი სამი წლის განმავლობაში უხდებოდათ უთანასწორო ბრძოლის წარმოება უცხოეთის ინტერვენციისა და კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა არასოდეს არ შეწყვეტილა, პირიქით სულ უფრო ღვივდებოდა და ძლიერდებოდა.

საქართველოს ბოლშევიკები უაღრესად მძიმე არალეგალურ პირობებში ეწეოდნენ მუშაობას იმისათვის, რომ გაენთავისუფლებიათ მშრომელთა ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ფენები მენშევიკური გავლენისაგან და შეექმნათ რევოლუციის მტკიცე პოლიტიკური არმია. ამ მუშაობას ობიექტურად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მშრომელთა ეს ფენები საკუთარი ცხოვრებით, პრაქტიკულად რწმუნდებოდნენ, რომ მენშევიკური მთავრობა ანტიხალხური, კონტრრევოლუციური მთავრობა იყო და მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მუშათა და გლეხთა მოთხოვნები. მენშევიკურ მთავრობას სავსებით ჩამოეხადა ნიღაბი, როცა მან 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ალექსანდრეს ბაღში ვერაგულად დახვრიტა მშრომელთა მშვიდობიანი მიტინგი და აშკარად დაიწყო ბოლშევიკების დევნა და დაპატიმრებები.

1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ფართო გაქანება მიიღო საქართველოს გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა, რომლებიც ბევრგან მართალია დროებითი, მაგრამ მაინც ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

1918 წლის თებერვლის ბოლოს გლეხთა მასობრივი აჯანყება დაიწყო ლეჩხუმის მაზრაში. აჯანყებულებმა დაიკავეს მაზრის ცენტრი — ცაგერი, შექმნეს გლეხთა საბჭოები და ლეჩხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მენშევიკურმა მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. მაზრა კანონგარეშე გამოაცხადა, აიკრძალა იქ სურსათის შეტანა, აჯანყებულების წინააღმდეგ რეგულარული ჯარები გამოიყვანეს და სისხლში ჩაახრჩვეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამავე წლის მარტ-აპრილში გლეხთა მძლავრი ბრძოლები გაიშალა აფხაზეთში — გაგრასა და გუდაუთში. 8 აპრილს აჯანყებულებმა, დაიკავეს ქ. სოხუმი და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აფხაზეთის მშრომელები თავგანწირვით იცავდნენ მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას მენშევიკების შეიარაღებული ძალების შემოტევისაგან. სრული 40 დღე იარსება აქ საბჭოთა ხელისუფლებამ და ბოლოს იგი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში.

ამავე — 1918 წელს დიდი და სახელოვანი ბრძოლები გადაიხადა დუშეთის მაზრის გლეხობამ. აქ, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კარგად მომზადებული აჯანყების შედეგად 25 ივნისს დამყარებული იქნა საბჭოთა ხელისუფლება. ამავე დღეს ჩატარებულ გლეხთა საბჭოების ყრილობამ აირჩია სამაზრო აღმასკომი, რომელმაც თითქმის ორ კვირას იარსება და დაეცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკურმა მთავრობამ გერმანელ ოკუპანტთა დახმარებით დიდძალი რეგულარული ჯარი, არტილერია და თვითმფრინავებიც კი გამოიყენა.

ასეთივე გზით სისხლში იქნა ჩახშობილი საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს მთელ რიგ სხვა ადგილებში — ცხინვალში, ზუგდიდში, საჩხერეში და სხვაგან. მაგრამ აჯანყებები მაინც გრძელდებოდა.

1918 წლის 10 სექტემბერს ს. ორჯონიკიძე ვლადიკავკავიდან დეპეშით აცნობებდა ვ. ი. ლენინს: „საქართველოში გლეხთა აჯანყება გრძელდება, გერმანელები მონაწილეობას იღებენ თეთრწყაროში... აჯანყების ჩახშობაში და სთავაზობენ თავიანთ სამსახურს სამეგრელოში აჯანყების ჩასაქრობად".

მართალია ყველა ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მათ განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა მასების რევოლუციური გამოწრთობისათვის. ამ ბრძოლებში საქართველოს გლეხთა დიდი მასები პირველად იარაღით ხელში შეეჯახნენ მენშევიკურ ხელისუფლებას და თავიანთი გამარჯვებით, თუმცა ცოტა ხნით, მაგრამ მაინც განიცადეს საბჭოთა ხელისუფლების გადამწყვეტი უპირატესობა, პრაქტიკულად იგემეს ნამდვილი სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება. აშკარა იყო, რომ მშრომელი მასები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებოდნენ მენშევიკური ხელისუფლების არსებობას.

1919 წელს ახალი ძალით გაიშალა მუშათა გაფიცვები და ბრძოლები, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის დამდეგს შეიქმნა საქართველოსა და ამიერკავკასიაში დენიკინის შემოჭრის საფრთხე, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გააჩაღა მუშაობა დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. მენშევიკებმა ფორმალურად თანხმობა განაცხადეს, მაგრამ ფაქტიურად საიდუმლოდ შეუთანხმდნენ თეთრგვარდიელ გენერალს და ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ მას. ბოლშევიკებმა ამხილეს მენშევიკების ეს გამცემლობა. მშრომელთა მასების აღშფოთება მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ სულ უფრო იზრდებოდა. იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა და ავტორიტეტი.

ასეთ ვითარებაში ბოლშევიკების სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა შესაძლებლად და სასარგებლოდ დაინახეს ოქტომბრის რევოლუციის 2 წლისთავისათვის მოეწყოთ საყოველთაო აჯანყება. საამისოდ მზადება დროულად დაიწყო. ჯერ კიდევ მაისში თბილისში ჩამოსულმა ს. ორჯონიკიძემ ჩაატარა ხელმძღვანელ პარტიული მუშაკების თათბირები, სადაც დაისახა აჯანყების ორგანიზაციის გეგმა. თბილისში შეიქმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი, რომელსაც აჯანყებისათვის უნდა ეხელმძღვანელა მთელ საქართველოში. პარტიული რწმუნებულები დაიგზავნენ ადგილებზე, სადაც, აგრეთვე, შეიქმნა სამხედრო რევოლუციური შტაბები. მზადება აჯანყებისათვის მთელ საქართველოში დიდი აღმავლობით მიმდინარეობდა, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისელ ოკუპანტთა დახმარებით, შეიტყო რა ამის შესახებ, აჯანყების წინა დღეებში თითქმის მთელი სამხედრო-რევოლუციური შტაბი და ბევრი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი დაპატიმრებული იქნა. დაპატიმრებები მოხდა ადგილებზეც. სამხარეო კომიტეტმა გადასდო აჯანყების ვადა, მაგრამ ვერ მოხერხდა ყველგან ამის შეტყობინება, რის გამოც ბევრ რაიონში დაიწყო აჯანყება. ცხადია, იმის გამო, რომ ეს აჯანყებები განცალკევებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი იყო, დამარცხდა. მაგრამ ამ შეიარაღებულ აჯანყებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის. ამას გარდა, ამ აჯანყებებში დენიკინმა საფრთხე დაინახა და იძულებული გახდა ეზრუნა თავისი ზურგის უსაფრთხოებისათვის. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა გარკვეულ დახმარებას წითელი არმიისათვის მის ბრძოლაში დენიკინელთა წინააღმდეგ.

ასე, განუწყვეტლივ გრძელდებოდა საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლა საძულველი მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ მომდევნო წელსაც. 1920 წელს საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით დიდი დემონსტრაციები მოეწყო თბილისსა და ბათუმში. დემონსტრაციები ბრძოლაში გადაიზარდა და დიდი გავლენა მოახდინა მასების რევოლუციურ განწყობილებაზე. 1920 წელს სახელოვანი ბრძოლები ჩაატარეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა. აჯანყებულმა გლეხობამ 8 ივნისს ცხინვალიდან გარეკეს მენშევიკები და საბჭოთა ძალაუფლება გამოაცხადეს. მენშევიკურმა მთავრობამ სასტიკად იძია შური. ოსეთში დამსჯელი რაზმები შეიყვანეს, ათობით სოფლები გადასწვეს და ბევრი აჯანყებული დახვრიტეს.

1921 წლის დამდეგს საქართველოში რევოლუციური მოძრაობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. საბჭოთა რუსეთმა წარმატებით დაამთავრა სამოქალაქო ომი, გაანადგურა უცხოეთის ინტერვენცია და შინაგანი კონტრრევოლუცია, რის შედეგადაც საქართველოდანაც წავიდნენ უცხოელ ინტერვენტთა შეიარაღებული ძალები. ამ დროისათვის აზერბაიჯანსა და სომხეთში უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული საქართველოს მენშევიკური მთავრობა ყოველმხრივ იზოლირებული აღმოჩნდა. მას ახლა ზურგს აღარ უმაგრებდა უცხოეთის ინტერვენტთა ხიშტები და კონტრრევოლუციური გარემოცვა მეზობელ რაიონებში.

ამ მომენტისათვის საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებიც გაძლიერდნენ, მშრომელთა მასების მოთმინების ფიალა აივსო და ამრიგად ყოველმხრივ შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია.

საქართველოს ბოლშევიკებმა კარგად გამოიყენეს ეს პირობები.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1921 წლის თებერვლის დამდეგს დაიწყო მუშებისა და გლეხების შეიარაღებული აჯანყება. მალე მთელი საქართველო აჯანყების ცეცხლის ალში გაეხვია.

16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დაუყოვნებლივ მიმართა დახმარებისათვის რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს. მიმართვაში ნათქვამი იყო:

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში იშვა, აღფრთოვანებულ სალამს უთვლის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს.

...ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობების ქვეყანა, არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლად შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას".

ვ. ი. ლენინმა არ დააყოვნა დახმარების გაწევა. საზღვარზე მყოფი წითელი არმიის ნაწილები სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დაიძრა აჯანყებულთა დასახმარებლად.

17 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ კრემლში ლენინსა და სტალინს ასეთი ცნობა გადასცა: „ჩაგრულთა დამცველის — წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხთა შორის. გლეხობა თავის განმანთავისუფლებელს პურ-მარილით ხვდებოდა, ბევრი სტიროდა სიხარულისგან".

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და მისი ძლევამოსილი წითელი არმიის უანგარო დახმარებით დაამხეს კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

2 მარტს ვ. ი. ლენინმა მისალმება გამოუგზავნა საბჭოთა საქართველოს. ლენინი სერგო ორჯონიკიძეს სწერდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი".

აჯანყებული მუშები და გლეხები წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ტრიუმფალურად მიიწევდნენ წინ, წმენდდნენ საქართველოს ტერიტორიას თბილისში დამხობილი მენშევიკური მთავრობის ჯარის ნაწილებისაგან. 4 მარტს აჯანყებულებმა გაიმარჯვეს სოხუმში. აფხაზეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

5 მარტს აჯანყებულმა სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა დაიკავეს ცხინვალი და სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

17 მარტს საღამოს აჯანყებულებმა დაიკავეს ბათუმი. მაშინვე შეიქმნა რევკომი, რომელმაც 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა აჭარაში.

ასე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება მთელ საქართველოში.

ქართველმა ხალხმა, რომელიც ოქტომბრის დიადი დროშით იბრძოდა. მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და საქართველო გაიოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

საბჭოთა ხალხების ერთიან დიად ოჯახში გაერთიანებულმა ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად ისტორიული წარმატებები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

საქართველო, წინათ ჩამორჩენილი, ნახევრად კოლონიური, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად, მაღალგანვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურით.

მთელ ამ ჭეშმარიტად ისტორიულ წარმატებათა მოპოვება შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის რევოლუციით შობილი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში.

საქართველოს მშრომელები ენერგიულად იბრძვიან ჩვენი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო ამრავლებენ თავიანთ წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საქართველოს მშრომელები ახლა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებენ დიად კომუნისტურ საზოგადოებას.

ვ. ესაიაშვილი

49

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზამთრის სასახლის კომენდანტი

ორმოცმა წელმა განვლო იმ დაუვიწყარ ღამიდან, როდესაც კრეისერ „ავრორას" ყუმბარებმა კაცობრიობას ამცნეს ახალი ცხოვრების, ახალი ეპოქის დასაწყისი.

1917 წლის 25 ოქტომბერს სუსხიანი დილა გათენდა პეტროგრადში. ზამთრის სასახლეში, თავდაპირველად, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი განრიგით მიმდინარეობდა: სადარბაზო კარებთან წამდაუწუმ ჩერდებოდნენ თხელბორბლიანი კარადისმაგვარი ავტომობილები, დროებითი მთავრობის მინისტრები თავისი მდივნების თანხლებით მედიდურად ადიოდნენ მარმარილოს კიბეებზე, მათ თავაზიანად გზას უთმობდნენ სასახლის მსახურები, ხოლო ყოველ კუთხეში ატუზული გრენადერები სამხედრო სალამს აძლევდნენ.

გრენადერები კერენსკის მთავრობას მეფის მთავრობისაგან დარჩა მემკვიდრეობით და ისინი, როგორც უწინ, ზამთრის სასახლეს ყარაულობდნენ. მათი არისტოკრატული გარეგნობა და ბრწყინვალე ფორმა ახარებდა კერენსკის თვალს...

გრენადერთა პოლკის ერთადერთი დანიშნულება ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის დაცვა იყო.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც, თავის საგუშაგოებზე გამოვიდა გრენადერთა ყარაულის მორიგი ცვლა. მას ამჯერად მეთაურობდა სასახლის კომენდანტის თანაშემწე — პოლკოვნიკი ივანე რატიევი. ბედმა სწორედ ამ მანამდე ნაკლებად ცნობილ პოლკოვნიკს არგუნა ოქტომბრის დაუვიწყარ დღეებში დიდმნიშვნელოვანი პატრიოტული საქმის გაკეთება.

საინტერესოა ამ ადამიანისა და საერთოდ მისი ოჯახის ისტორია.

თავადი ივანე დიმიტრის-ძე რატიშვილი (რატიევი) იყო ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცერი. მან თავის დროზე ბრწყინვალედ დაამთავრა კადეტთა კორპუსი და იუნკრების საარტილერიო სასწავლებელი, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და, გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ასევე ბრწყინვალედ დაამთავრა პარიზის ხელოვნებათა აკადემია.

მისი ცოლი იყო მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილის ქალიშვილი ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

რევოლუციის წინა წლებში ივანე რატიშვილი მეფის ბრძანებით ნიჟეგოროდის პოლკიდან გადაიყვანეს ზამთრის სასახლეში კომენდანტის ერთ-ერთ თანაშემწედ და, როგორც ხელოვნების კარგ მცოდნეს, ერმიტაჟის განძეულთა დაცვა დააკისრეს.

სწორედ აქ, ზამთრის სასახლის ცნობილ სამხატვრო გალერეაში — ერმიტაჟში შეხვდა რატიშვილი დიდი ოქტომბრის რევოლუციას. აქ ხვდა მას ბედნიერება საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მრავალჯერ ნახვისა და მასთან საუბრისა.

ამჟამად ივანე რატიშვილი 89 წლისაა, იგი პერსონალური პენსიონერია და მშობლიურ თბილისში ატარებს თავის სიბერეს. მისი ხშირი სტუმრები არიან ახალგაზრდა ჭაბუკები და გოგონები, მოსწავლეები, პიონერები. საათობით უსმენენ ისინი მხცოვანი მოხუცის მოგონებებს. ანდა ვის მოსწყინდება ოქტომბრის დღეების ცოცხალ მოწმესთან საუბარი?

— 25 ოქტომბერს, — იგონებს რატიშვილი, — პეტროგრადში უკვე შუადღიდან დაიწყო უჩვეულო მოძრაობა, ხალხის ჩოჩქოლი. მარსის ველიდან მარინეს მოედნამდე გამწკრივდნენ ჯარისკაცები და წითელგვარდიელები. პუტილოვის ქარხნის მუშებმა ზამთრის სასახლესთან ზარბაზნები მოაგორეს, კერენსკის მთავრობამ იგრძნო, რომ მოახლოვდა მისი უკანასკნელი წუთები. სასახლეში ატყდა პანიკა. აირივნენ მინისტრები და ჩინოვნიკები, ქართულად, რომ იტყვიან — ძაღლი პატრონს არა სცნობსო, — სწორედ ის ამბავი იყო. ყველაზე წინ თავს უშველეს გენერლებმა და უფროსმა ოფიცრებმა. როგორც თაგვები გემის ჩაძირვის დროს, ისე ცდილობდა ყველა გაქცევას. დროებითი მთავრობის წევრები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ გაპარულიყვნენ თავისი დროებითი სასახლიდან. მათი დამცველები — იუნკრები, პოლიციელები და ეგრეთ წოდებული „ქალთა ბატალიონი", უკანასკნელ ძალებს ხმარობდნენ რათა არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით მოეგერებინათ აჯანყებული ხალხი. ამ დროს მე ფაქტიურად ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის მთელი ქონების ერთადერთი პატრონი გავხდი...

დაბინდებისას ბოლშევიკურმა რაზმებმა დაიწყეს გადამწყვეტი იერიში.

...და სწორედ ამ დროს, — ღიმილით განაგრძობს რატიშვილი, — მე „ვუღალატე" სამხედრო ფიცს. იმის მაგივრად რომ დამეცვა გაკოტრებული მთავრობის წევრები, მე დავრაზმე ჩემი ყარაული-ჯარისკაცები ერმიტაჟის უძვირფასესი ქონების დაცვისათვის...

ბრძოლამ სულ რამდენიმე საათს გასტანა. წითელი გვარდიის ნაწილები შეიჭრენ სასახლეში და დააპატიმრეს დროებითი მთავრობა. მაგრამ შესწყდა თუ არა სროლა, მოიერიშე რაზმების რიგებს შეერივნენ ბნელი ელემენტები და საერთო არეულობაში შეუმჩნევლად შეიპარნენ სასახლის დარბაზებში. ავაზაკებმა ისარგებლეს იმით, რომ თითქმის მთელ შენობაში გამოთიშული იყო ელექტრონი და დაიწყეს ძარცვა. და რომ რატიშვილს დროზე არ განეხორციელებინა საჭირო ზომები, ვინ იცის, რა უთვალავი სიმდიდრე დაეღუპებოდა იმ ღამეს ხალხსა და სახელმწიფოს.

მან ამ ორომტრიალში გამონახა მოიერიშეთა მეთაურები, აუხსნა მათ, თუ რა საშიშროების წინაშეა სახელმწიფო დოვლათი, და იცოდა რა ყველა დარბაზის განლაგება, წითელრაზმელების დახმარებით სწრაფად მოაწესრიგა სასახლის შინაგანი დაცვა. თავისი გმირული მოქმედებით ამ პატრიოტმა ადამიანმა შთამომავლობას შეუნარჩუნა ისტორიისა და ხელოვნების უძვირფასესი განძები.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ზამთრის სასახლეში მოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ალბათ, გაუკვირდებოდა დიდ ბელადს, რომ აღებულ სასახლეში ბედნიერ და აღგზნებულ ხალხთან ერთად მას სამხედრო პატაკით დაუხვდა ნიჟეგოროდის პოლკის ფორმაში გამოწყობილი ქართველი ოფიცერი!.

— ვლადიმერ ილიას-ძემ მაგრად ჩამომართვა ხელი, — განაგრძობს თავის მოგონებას რატიშვილი, — აქვე ყველას გასაგონად გამომიცხადა მადლობა და თანაც ღიმილით დაუმატა, — არ ვიცოდა, თუ თავადებიც დაგვეხმარებოდნენო. მას შემდეგ ლენინი არა ერთხელ ხუმრობით „მოქალაქე თავადს" მეძახდა...

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე დაიწყო მუშაობა სპეციალურად გამოყოფილმა სამხატვრო-ისტორიულმა კომისიამ, რომელსაც დაევალა ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის მთელი ქონების აღრიცხვა და კატალოგის შედგენა.

სახელმწიფო საკითხებით გადატვირთულმა ლენინმა არ დაივიწყა ის პატიოსანი ხალხი, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია რევოლუციას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეათე დღეს პეტროგრადის გაზეთში გამოქვეყნდა მთავრობის ბრძანება, რომელშიაც იყო ასეთი მუხლები:

„2. Выражаю искреннюю благодарность Пом. Нач. Дворц. Управления князю И. Д. Ратиеву за самоотверженную защиту и охранение народных сокровищ Зимнего Дворца, в ночь с 25 на 26 октября, 1917 года.

3. Выражаю благодарность тем из дворц. жителей, кои в ночь с 25 на 26 октября, 1917 года были и оставались на своих постах, охраняя общенародное достояние Дворца.

4. Возлагаю Внутреннюю охрану Зимнего Дворца на Пом. Нач. Дворц. Управления кн. И. Д. Ратиева, по системе, установленной им до Октябрьской революции, присвоением ему, как лицу, несущему ответственность за целость дворц. имущества и всех художественно-исторических ценностей, главного коменданта Дворца и всех дворцов и музеев Петроградского района"[1]

ბრძანებას ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი.



ამ დღიდან საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადასვლამდე ივანე რატიშვილი იყო ზამთრის სასახლის პირველი ბოლშევიკური კომენდანტი. მასვე ჰქონდა დაკისრებული პავლოვსკის, გატჩინის, პეტერჰოფისა და ცარსკოე სელოს სასახლეების დაცვა.

ამ პერიოდში ვ. ი. ლენინი ხშირად გამოუძახებდა ხოლმე რატიშვილს და აძლევდა მას სხვადასხვაგვარ დავალებებს.

— ოქტომბრის ბრძოლის დღეებში, — მოგვითხრობს რატიშვილი, — საგრძნობლად დაზიანდა ზამთრის სასახლე, მისი ორივე ფასადი და სახურავი დასერილი იყო ტყვიებით. ლენინმა მე დამავალა ყველა ამის შეკეთება და ძალიან ესიამოვნა, როდესაც გაიგო, რომ მოკლე ვადაში შევასრულე მისი წადილი. ამის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე კიდევ რამდენიმეჯერ გვესტუმრა ერმიტაჟში. მას უყვარდა დარბაზებში გავლა და გამოჩენილ ოსტატთა ნახატების დათვალიერება. განსაკუთრებით მოსწონდა ვერეშჩაგინის, კოცებუს და სხვა რუსი მხატვრების ბატალური სურათები. დიდმა ბელადმა კარგად იცოდა, რომ ძველი კულტურის ძვირფასი მემკვიდრეობის გარეშე შეუძლებელია ახალი კულტურის, ახალი სამყაროს შექმნა.

ამ შეგნებით მიემხრო მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ივანე რატიშვილი და პატიოსნად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი პატრიოტული ვალი.

**ი. ბეგიაშვილი**

[1] გაზეთი «Известия Петроградского Совета рабочих и солдатских депутатов». № 217. ამ გაზეთის ეგზემპლარი ინახება თბილისში მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტში.

## ციფრები და ფაქტები

* საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მრავალი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ზემო-ავჭალის, რიონის, ხრამის, სოხუმის, ჩითახევის, შაორის და სხვ. 1956 წელს, 1913 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენს რესპუბლიკაში 120-ჯერ გაიზარდა. ახლა ყოველ სამ დღეში საქართველოში იმდენი ელექტროენერგია მუშავდება, რამდენიც გამომუშავდა 1913 წლის განმავლობაში მთლიანად.

# ოქტომბრის რაიონი და



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ

ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონი ყველაზე კარგად შეიძლება მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან დავათვალიეროთ. ახლად გაშენებულ მარცხენა სანაპიროს გაყოლებით, სტალინის სახელობის ხიდიდან დაწყებული — მარქსის სახელობის ხიდამდე, უკვე გამოისახება სანაპირო ქუჩის მომავალი ნაკვთები — წიგნის სასახლე, მის გვერდით — ახალი საცხოვრებელი სახლი, შემდეგ ახალი გრანდიოზული შენობა და ახლად წამოწყებული კედლები თბილისის ყველაზე დიდი საცხოვრებელი სახლისა... ეს არის რაიონის სადარბაზო მხარე, რომლითაც მთელი ქალაქი ამაყობს... მის უკან კი, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ოქტომბრის რაიონია შეფენილი...

როდესაც რომელიმე ქალაქს ან ქალაქის რაიონს ეცნობი, გინდა გაიგო, თუ რა არის ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე ნიშანდობლივი და წამმართავი მისი მოსახლეობის საქმიანობაში, მის გარეგნულ შესახედაობაში, რაც მას ფერსა და თავისებურ იერს აძლევს, რაც მას გამოარჩევს სხვა ქალაქებიდან ან ამავე ქალაქის სხვა რაიონებიდან. როდესაც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონს ვახსენებთ, მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების რაიონი, რომლის მთავარი ღერძი, მთავარი სასიცოცხლო არტერია ლენინის, მელიქიშვილისა და ი. ჭავჭავაძის ქუჩებია და ისინი სავსებით გამოხატავენ მის შინაარსსა და გარეგნულ იერს.

როდესაც ლენინის რაიონზე ვლაპარაკობთ — თვალწინ გვიდგას თბილისის ინდუსტრიის სიამაყე — მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი ქარხნები და ამ რაიონის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები.

ოქტომბრის რაიონის მოსახლეობის საქმიანობა მეტად ნაირსახოვანია — აქ მოთავსებულია მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმოო-სამოდელო ფეხსაცმლის და სამკერვალო ფაბრიკები, კვების მრეწველობის საწარმოები, საქართველოს ძირითადი გამომცემლობანი, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, აქვეა ტანსაცმელის მოდელების რესპუბლიკური სახლი, ქალაქის ყველაზე დიდი მაღაზია — თბილისის უნივერმაღი, რამდენიმე დიდი, რესპუბლიკური მნიშვნელობის სამკურნალო დაწესებულება, სამედიცინო-საკვლევო და ტექნიკური ინსტიტუტები...

რა აერთიანებს ყველა ამ წარმოებასა და დაწესებულებას? მხოლოდ ერთი — ისინი ყველანი მოსახლეობის უშუალო მომსახურებისათვის მუშაობენ — აცმევენ, მოსავენ, კვებავენ, კურნავენ, ამარაგებენ საქონლით, წიგნებითა და ჟურნალებით, აკავშირებენ მას მთელ საბჭოთა კავშირთან (მთავარი ფოსტამტიც ხომ ამ რაიონშია მოთავსებული). რაიონის ერთ-ერთი უდიდესი, და ამავე დროს უძველესი საწარმო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანაა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ (1963 წელს) თავისი არსებობის 100 წლისთავს გადიხდის...

ეს საწარმოები და დაწესებულებები სავსებით ასახავენ მოსახლეობის შრომით საქმიანობას — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ!

# მისი ადამიანები

### კოტე ჯავრიშვილი

ოქტომბრის რაიონი თბილისის ერთი ყველაზე დიდ რაიონთაგანია — აქ ასი ათასზე მეტი მცხოვრებია და ამ მხრივ იგი პირველობას მხოლოდ 26 კომისრის რაიონს უთმობს; მტკვრის მარცხენა ნაპირზე შეხიზნულს მას ჩრდილოეთით მარჯანიშვილის ქუჩა, ხოლო სამხრეთით სირაჯხანის დაღმართი საზღვრავს. ისევე, როგორც მთელ ჩვენ ათასხუთასწლოვან ქალაქში, აქაც ბევრი რამ არის ძველი, მაგრამ, ამავე დროს, ყოველ ნაბიჯზე ახალი გამოსჭვივის.

თუმცა, ეს რაიონი არც ისე ძველია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მხარის დასახლება სულ ასიოდე წლის წინათ დაიწყო, როდესაც 1853 წელს დამთავრდა კუკიის (ახლა კარლ მარქსის სახელობის) ხიდის მშენებლობა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მტკვრის მარცხენა ნაპირის დაუსახლებლობისა... ლეკიანობა იყო. მტკვრის მარცხენა ნაპირის უბნებმა შემოინახეს სახელები იმ სოფლების, რომლებიც შემოიერთა ქალაქმა, და ეს არც ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. ისტორიული საბუთების თანახმად სოფლები კუკია და ჩუღურეთი მხოლოდ 1824 წელს მიეწერა ქალაქს, ხოლო მარცხენა ნაპირის განაშენიანება კიდევ კარგა ხანს დაყოვნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი იზრდებოდა და მარჯვენა ნაპირზე მიწები ძალიან ძვირი ღირდა (40 მანეთამდე კვადრატული არშინი), მოსახლეობა, ლეკების შიშით, ფრთხილობდა ქალაქს მოწყვეტილ ამ რაიონში გადმოსახლებას. კუკიის ხიდის დამთავრების შემდეგ კი ეს უბნები სწრაფად გაშენდა. დღეს ოქტომბრის რაიონი დიდი თანამედროვე ქალაქის სწორუფლებიანი წევრია და მის გასაცნობად ბევრი დრო, მრავალი ფაქტის გაცნობა და შესწავლაა საჭირო.

ჩვენ მოვერიდეთ საწარმოო მაჩვენებლების ციფრებით მეტყველ და ფრიად გამომსახველ, მაგრამ მშრალ ეხას და უშუალოდ ამ რაიონში მცხოვრებ, ამ წარმოებებსა და დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებთან გაცნობით შევეცადეთ დაგვენახა ამ რაიონის სახე.

### სამსონ მაჩაიძე

ოქტომბრის რაიონში, შრომის ქუჩაზე ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც ოქტომბერმა და შრომამ შესძინა ყოველივე, რაც მას გააჩნია და რამაც განსაზღვრა მისი ადგილი ცხოვრებაში. ორჯონიკიძის მანქანათმშენებელ ქარხანაში ინჟინერი სამსონ მაჩაიძე სამსხმელო საამქროს ხელმძღვანელობს. თერთმეტი წელიწადია, რაც ამ საამქროში მუშაობს და ამ თერთმეტი წლის განმავლობაში პატარა, მოუწყობელი ფარდული გაფართოვდა, გაიზარდა და თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დიდი ქარხნის ერთ-ერთ ძირითად საამქროდ გადაიქცა.

ამ ქარხანაში მოსვლამდე სამსონ მაჩაიძემ დიდი გზა გაიარა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერ ფერომარგანეცის იმ პატარა საცდელ ქარხანაში მუშაობდა, რომელსაც თანამედროვე ქართული მეტალურგიის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, და რომლის გამოცდილება საფუძვლად დაედო საქართველოს მეტალურგიის პირმშოს — ზესტაფონის ფერომარგანეცის შენადნობთა ქარხნის მშენებლობას. ახალგაზრდა ინჟინრისათვის აქ მუშაობის წლები დიდი სკოლა იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მის დაოსტატებას, ამას დაემატა მუშაობა სპილენძსაგლინავ ქარხანაში, ასე, რომ, როდესაც 1946 წელს ომგადახდილი, იგი ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში მოვიდა, ლითონის დამუშავების საქმეში საკმაო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა შეძენილი და ისიც დიდი მონდომებით და ხალისით შეუდგა მუშაობას, ჯერ ოსტატისა და მერე კი საამქროს უფროსის თანამდებობაზე.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა ყოფილ, ნახევრად კუსტარულ არტილერისტულ სარემონტო სახელოსნოებიდან აღმოცენდა, დღეს კი ეს ქარხანა მთელი საბჭოთა კავშირის ღვინის მრეწველობას ამარაგებს ყველა საჭირო მანქანა-დანადგარებით.

აქ, ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონში დამზადებული ყურძნის წნეხები და ღვინის ტუმბოები იგზავნება მოლდავეთსა და უზბეკეთში, ყირიმსა და ტაჯიკეთში, იგზავნება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და ვიეტნამში.

მაგრამ ქარხანა მუშაობს არა მარტო უკვე ათვისებული და მრეწველობაში დანერგილი მანქანების გამოშვებაზე, აქ დიდი მუშაობაა გაშლილი



ხვალინდელი დღის უახლესი კონსტრუქციის მანქანა-ავტომატების შექმნისა და ათვისებისათვის.

სამსხმელო საამქრო ქარხნის ერთ-ერთი ძირითადი საამქროა, სადაც ქარხნის მიერ საწარმოო პროგრამის შესრულების ბედი წყდება.

სამსონ მაჩაიძე დაკვირვებით და აუღელვებლად ადევნებს თვალყურს საამქროს მუშაობას... თითქოს მაინცდამაინც ახლო არ მიაქვს გულთან ოსტატის აღელვებული ცნობა მასალის დაკლების შესახებ, რაც რთული დეტალის ჩამოსხმას საფრთხეში აყენებს, მაგრამ მის ცისფერ თვალებში თუ გამოსჭვივის ის დაძაბული მუშაობა გონებისა, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს, თორემ გარეგნულად არაფერი ეტყობა.

სამსხმელო საამქრო ყოველთვის დიდი დაძაბვით მუშაობს და ამიტომ ხშირია დაძაბული დღეები, როდესაც საამქროს კოლექტივს უხდება მთელი ძალების შემოკრება და ასეთ წუთებში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება ხოლმე წარმოების მეთაურის წამყვანი, მაორგანიზებელი როლი, მეთაურისა, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ყველა თავის მებრძოლის პირად თვისებებს, მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს, და ეს ცოდნა უადვილებს მას ადამიანთა ხელმძღვანელობის ძნელ საქმეს.

საამქროს უფროსმა მარტო განკარგულებათა გაცემა და შესრულების მოთხოვნა კი არ იცის, მან ისიც კარგად იცის, რომ მხოლოდ მაშინ შეუძლია სათანადოდ მოსთხოვოს მუშას, როდესაც ყველა პირობას შეუქმნის მუშაობისათვის, ამიტომ არის, რომ ოქტომბრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი სამსონ მაჩაიძე ასეთი გულისყურით ეპყრობა რაიონის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს.

თვითონ სამსონიც ხომ ამ რაიონში დაიბადა და აქვე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე, ამიტომ, აბა მასზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს რაიონის მცხოვრებთა ავ-კარგი. უფროსები მას ბავშვობიდან იცნობენ, უმცროსები კი მის ხელში გაიზარდნენ. მის გარშემო — შრომის ქუჩასა და მის შესახვევებში სულ ახლომახლო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები ცხოვრობენ. ეს უბანი საკმაოდაა მოშორებული მტკვრისპირა მაგისტრალებს და, ალბათ, იმიტომ უჭირდა საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ზემო უბნების მცხოვრებთათვის საგანგებო მარშრუტის დაწესება. დეპუტატი მაჩაიძე არაფერს მოერიდა, ქვეყანა შესძრა, მინისტრთანაც მივიდა და თავისი მაინც გაიტანა, ახლა ავტობუსის № 28 მარშრუტი ხრამესის ქუჩის ბოლომდე ადის; ასევე მოაგვარა სასურსათო მაღაზიის საქმეც.

მაჩაიძის მთელი ოჯახი ოქტომბრის რაიონთანაა დაკავშირებული, ამიტომ არის, რომ როდესაც სამსონი „თავისი" ქარხნისა და „თავისი" რაიონის საქმეებზე ლაპარაკობს, მას ღალატობს მისთვის ჩვეული სიმშვიდე და უდრტვინველობა და იგი გატაცებით გიამბობთ რაიონის ახალშენების შესახებ — ახალ აბანოზე, რომელიც იქვე, ოქტომბრის რაიონში აღმოჩენილ გოგირდის ცხელი წყლით ისარგებლებს, ახალ კინოთეატრზე, რომელიც 9 იანვრის ქუჩაზე შენდება, იმ პარკის შესახებ, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ძველი რიყის ადგილზე გაშენდება, იქ სადაც ახლა ძველისძველი, ოკრობოკრო შენობებია ერთმანეთზე უწესოდ მიყრილი.

— მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მოვანდომოთ იმას, რომ რაიონი თავისი სახელწოდების ღირსი გახდეს! — ისეთი დარწმუნებით ამბობს სამსონი, რომ გჯერა — ეს ლიტონი სიტყვა კი არ არის, არამედ მტკიცე პირობა ადამიანისა, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს არ შორდებიან ერთმანეთს.

## ვალენტინა გვანცელაძე

ადამიანის საქმიანობის დახასიათებისათვის შეიძლება ჩამოვთვალოთ მისი ტიტულები და ხარისხები. ვთქვათ, რომ იგი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო-საკვლევო დარგში, რომ მას მედიცინის კანდიდატის ხარისხი აქვს, რომ მრავალი სამეცნიერო შრომა აქვს დაწერილი და, აგერ 26 წელიწადია ამ დარგში მუშაობს, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა... მთავარი ის არის, რომ ვალენტინა გვანცელაძე ბავშვის ექიმია, პედიატრია და პედიატრია იმიტომ, რომ ეს მისი მოწოდებაა — გაუადვილოს პატარა ავადმყოფებს ცხოვრება, განკურნოს ისინი და მომავალი ცხოვრებისათვის და შრომისათვის შეამზადოს. და უმთავრესი კი ის არის, რომ, რაც შეიძლება ადრე დაადგინოს ავადმყოფობის არსებობა და ადრეულ სტადიაზე, სანამ ავადმყოფობამ არ იმძლავრა და არ დაეუფლა ბავშვის ორგანიზმს, შეებრძოლოს და მოსპოს ეს სნეულება.

ვალენტინა გვანცელაძე ბავშვთა კარდიოლოგიის დარგში მუშაობს და მისი მუშაობა ინსტიტუტის კედლებით და ინსტიტუტის კლინიკით კი არ შემოიფარგლება. კლინიკაში უკვე დაავადებული და სნეული ბავშვები მკურნალობენ, იქ კი — სკოლებ-



ში, საბავშვო სახლებში მიმდინარეობს მრავალი ათასი ბავშვის, მოზარდის, ჭაბუკის შემოწმება, რათა, რაც შეიძლება ადრე, გამოავლინონ გულის და სისხლის ძარღვთა დაავადებათა ნიშნები და ადრევე უმკურნალონ მათ.

ამ საქმეში ჩაბმულნი არიან არა მარტო ინსტიტუტის თანამშრომლები, არამედ სკოლებისა, საბავშვო სახლებისა და პოლიკლინიკების ექიმთა მრავალრიცხოვანი რაზმი.

თვით ინსტიტუტში დიდი კომპლექსური მუშაობა წარმოებს ათეროსკლეროზის, ჰიპერტონული და გულის კუნთის დაავადების მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად. ამ მუშაობაში, ექიმებს გარდა, მრავალი ბიოლოგი, ფიზიოლოგი, ბიოქიმიკოსი და ფარმაკოლოგი იღებს მონაწილეობას.

ინსტიტუტმა შეისწავლა გულისა და სისხლის ძარღვთა დაავადების ზოგიერთი მექანიზმი და ამის საფუძველზე გამოიმუშავა ჰიპერტონული დაავადების სამკურნალო ახალი პრეპარატები.

ზოგი მათგანის მოქმედება, მაგალითად, დიზოპროპილპუტრისცინისა და საქსელენ-ნოვოკაინისა უკვე გამოცდილია ინსტიტუტის კლინიკაში და გადაცემულია წარმოებაში მასობრივი გამოშვებისათვის.

მძიმე და ხანგრძლივია ყოველი ახალი აღმოჩენის გზა. ადვილი სათქმელია, მაგრამ რამდენი ეჭვი და შიში თან ახლავს ამ მუშაობას, რადგან იგი განკუთვნილია ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სათუთი და საყვარელი პაციენტებისათვის — მათთვის, ვინც ჯანსაღი და ძლიერნი უნდა გაიზარდონ.

ეს საპატიო საქმე ვალენტინა გვანცელაძემ თავისი სიცოცხლის საქმედ გაიხადა და იგი არც ნანობს, რადგან, რომელი გრძნობა შეედრება იმ განცდას, როდესაც ექიმი მის მიერ განკურნებულ ბავშვს ხედავს და მით უმეტეს გრძნობა ექიმი-მეცნიერისა, რომელიც ხედავს, თუ როგორ ინერგება მის მიერ დამუშავებული მკურნალობის მეთოდები და ათასობით ჯანსაღი და მხიარული ბავშვი ხალისიანად უცქერის თავის ბედნიერ მომავალს.

## ირაკლი მაჩაბელი

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროს პარტორგი ირაკლი მაჩაბელი ჩვიდმეტი წელიწადია ზეინკლად მუშაობს საამქროში. მთელი მისი სიცოცხლე ამ საამქროსთან და ქარხანასთან არის დაკავშირებული.

აქ, ამ ქარხანაში, ამ საამქროში ორმოცი წელიწადი იმუშავა მამამისმა, საამქროს ოსტატმა ელიზბარ მაჩაბელმა, რომელიც მხოლოდ შარშან გადავიდა პენსიაზე.

აქ ამ საამქროში გაიზარდა და დავაჟკაცდა, აქვე დაცოლშვილდა და ცოლადაც ამავე საამქროში მომუშავე მგეგმავი გოგონა შეირთო.

...ირაკლის კარგად ახსოვს ის დღე, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მამამ 16 წლის ბიჭი პირველად მოიყვანა ქარხანაში და სახარატო დაზგასთან დააყენა. ქარხანა უკვე აღარ გავდა იმ საარტილერიო სახელოსნოებს, რომლებშიაც მამას მოუხდა მუშაობა; უკვე დამთავრებული იყო საიარაღო-საექსპერიმენტო და მექანიკური საამქროების ვრცელი და ნათელი შენობა, საამქროში უკვე ახალი დაზგები იდგა, ქარხანა მთელ ჩვენ მრეწველობასთან ერთად იზრდებოდა და თუ ზეინკლის მოწაფე ირაკლი მაჩაბელი უცხოეთიდან ჩამოტანილ ძველისძველ დაზგას უდგა, უკვე ოსტატი მაჩაბელი თბილისშივე, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის გამოშვებულ „დიპ"-ზე მუშაობდა.

საიარაღო-საექსპერიმენტოს საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული. აქ იქმნება მთელი ის დამხმარე იარაღი, რომლის მეშვეობით ხდება დეტალების დამუშავება დაზგებზე. სხვადასხვა სახის საჭერები და რთული, და რაც მთავარია, ყოველი ახალი დეტალისათვის საგანგებოდ დამზადებული ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობით დეტალი მაგრდება დაზგაზე, მაგრდება საჭრელი იარაღი ისე, რომ იგი მოერგოს და ისე გასჭრას, გარანდოს, გახვრიტოს და გალაროს დეტალი, როგორც ეს გათვალისწინებულია სამუშაო ნახაზით.

აქ, ამ საამქროში ხდება ყველა ახალი მანქანის ათვისება, ალბათ, ამიტომაა, რომ ირაკლი მაჩაბელმაც და იქვე, მის მეზობლად მომუშავე სერგო აკოლაშვილმაც და შალვა რომაძემაც ისე ზედმიწევნით კარგად იციან ქარხნის მიერ გამოშვებული ყველა მანქანის ავ-კარგი.

საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროს შენობის გასწვრივ კონვეიერით დაკავშირებული მანქანების წყება დგას. ეს ქარხნის მიერ ახლად დამზადებული შამპანიურის ჩამოსხმისა და დაცობის ავტომატური ხაზია. ერთი ასეთი ხაზი უკვე მუშაობს თბილისის შამპანიურის კომბინატში, ეს კი მეორეა, უფრო სრულყოფილი, რადგან მას ბოთლების ეთიკეტირების მანქანაც უნდა დაემატოს. ირაკლი მაჩაბელი ისე გვიამბობს ღვინის ტექნოლოგიის შესახებ, გეგონება, თვითონ მეღვინეაო. მაგრამ, რა გასაკვირია, როდესაც ყველა ეს მანქანა, რომელიც საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ღვინის მრეწველობაში მუშაობს, მისი და მისი ამხანაგების ხელიდან გამოვიდა.

საამქროში მომუშავე 42 კაციდან, 34 მაღალკვალიფიციური ზეინკალი, ხარატი, მრანდავი და მღარავია. უმეტესობა ათი და ოცი წელიწადი მუშაობს ქარხანაში; ხოლო ისეთმა ვეტერანებმა, რო-



გორც სერგო აკოლაშვილი და მიხეილ ბაღდასაროვია, ოცდაათ წელსაც გადააჭარბეს. მათი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქარხნის ცხოვრებასთან. მაჩაბელი — საამქროს პარტორგი, დაწვრილებით გვიამბობს ყველა მათგანის საწარმოო და პირადი ცხოვრების შესახებ, მათი ავ-კარგის გამო, ერთის — ახალი გამოგონების დანერგვა გვიანდება და საჭიროა მისი დაჩქარება, მეორე ბინის სივიწროვეს ჩივის, და ქარხნის საცხოვრებელი სახლის ახალ კორპუსის დამთავრებასთან დაკავშირებით საჭიროა გამოირკვეს — ვის უნდა მიეცეს ბინები პირველ რიგში. ირაკლიზე უკეთესად კი ის არავის ეცოდინება. იგი ხომ ოქტომბრის რაიონის საბჭოს დეპუტატი და კომუნალური კომისიის აქტიური წევრია.

საიარაღო-საექსპერიმენტო საამქრო მოწინავეა ქარხანაში, პარტორგი — კი მისი მოწინავე მუშაა და თუ საამქრო 110-125% ასრულებს გეგმას, თვით ირაკლი მაჩაბელი 250-300 პროცენტზე დაბლა ხომ ვერ ჩამოაქვეითებს თავისი პირადი გეგმის შესრულებას.

### ცნობები და ფაქტები

* ჩვენი რესპუბლიკა უფრო მეტ მარგანეცს იძლევა, ვიდრე სამხრეთ-აფრიკის კავშირი, განა, ყოფილი საფრანგეთის მაროკო, კონგო, მექსიკა, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები — ერთად აღებული.

* საბჭოთა კავშირში დამზადებული ჩაის პროდუქციის 95%-ს საქართველო იძლევა, ამით მას შეუძლია დააკმაყოფილოს ამ პროდუქციის მომხმარებელთა 60 პროცენტი.

## იპოლიტე კლარჯეიშვილი

როდესაც ახლად აწყობილი წიგნის ან ჟურნალის ანაწყობის სვეტს სათაურში სამი ასო „იპო" აწერია, მეტრანპაჟმა უკვე იცის, რომ ამ ანაწყობის პირველი კორექტურა არ იკითხება და იგი პირდაპირ ფურცლებად უნდა შეიკრას.

როგორც ქარხნებში გამოცდილ ოსტატებს თავისი პირადი ტვიფრი გააჩნიათ და მათ მიერ დამზადებულ ნივთს ტექნიკური კონტროლის განყოფილება აღარ ამოწმებს, ისევე, ეს სამი ასო ანაწყობის დასაწყისში აღნიშნავს, რომ წიგნი აწყობილია იპოლიტე კლარჯეიშვილის მიერ და პირველ კორექტურას არ საჭიროებს.

ოცდაშვიდი წელიწადია, რაც იპოლიტე კლარჯეიშვილი ასოთამწყობად მუშაობს, მათგან — 22 წელიწადი ლინოტიპისტად ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. ასეულ წიგნს და ჟურნალს მეორე ან უკანასკნელ გვერდზე, ქვემოთ, იქ, სადაც რედაქტორისა და კორექტორის გვარებია, ტირაჟი და სხვა მონაცემებია აღნიშნული — ამ წიგნის დამამზადებელი დაწესებულების სახელწოდება აწერია. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5". დასანანებელია, რომ აქ არ წერია იმ ოსტატების — ამწყობთა და მბეჭდავთა გვარები, რომელთაც წიგნი ააწყვეს და დაბეჭდეს, თორემ ლინოტიპისტ იპოლიტე კლარჯეიშვილის სახელი ძალიან ხშირად შეხვდებოდა მკითხველს.



თუ ვივარაუდებთ, რომ ლინოტიპზე აწყობის დღიური ნორმა 70.000 სასტამბო ნიშანია, ხოლო კლარჯეიშვილი გეგმას 130-150 პროცენტით ასრულებს, ე. ი. დღეში საშუალოდ 80-85 ათას სასტამბო ნიშანს აწყობს, და ისიც თუ გავითვალისწინეთ, რომ საშუალო ზომის 350-400 გვერდიანი წიგნი 800.000 სასტამბო ნიშანს შეიცავს, დავინახავთ, რომ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში 22 წლის მუშაობის განმავლობაში მის მიერ აწყობილი წიგნები და ჟურნალები კარგა მოზრდილ ბიბლიოთეკას — 600-650 წიგნს — შეადგენენ.

ალბათ, თქვენ პირად ბიბლიოთეკაშიაც არა ერთი და ორი წიგნი იპოლიტე კლარჯეიშვილის მიერაა აწყობილი.

აქვე, ლინოტიპის საამქროში კლარჯეიშვილის ბევრი მოწაფე მუშაობს... ლიდა ხუბულური და ახრასი ფრიდონიშვილი დღეს აღარ ჩამოუვარდებიან თავის ოსტატს.

...ამჯერად იპოლიტე კლარჯეიშვილი ჟურნალ „ცისკარის" მეხუთე ნომერს აწყობდა, მისი ღონიერი მარდი თითები ზუსტად და თანაბრად „უკრავდნენ" ლინოტიპის კლავიატურაზე.

...ლინოტიპის პულტთან პირხმელი ვაჟკაცი პიანისტივით სწრაფად, ტაქტში ამოძრავებს ხელებს, მხოლოდ ხანდახან გადახედავს ხელნაწერის ფურცლებს და კვლავ განაგრძობს წყობას. მრავალი ლინოტიპის მწყობრი ხმაური გაისმის საამქროში. თითის დაჭერა კლავიშზე და ბუნკერიდან სწრაფად ეშვება ასოს ყალიბი და ქვევით, მწყობრში დგება... კიდევ რამდენიმე ასო, და სტრიქონი აწყობილია, ახლა პედალის დაჭერა და რამდენიმე წამში ჩამოსხმული სტრიქონი პატარა თაროზე დევს, მას მოყვება მეორე, მესამე, მეათე... დაძაბული, შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს ლინოტიპისტი თვალს ხელნაწერსაც და აწყობილ სტრიქონებსაც... მაგრამ კლარჯეიშვილს არა მარტო თავისი პირადი გეგმის შესრულება აინტერესებს... იგი დაძაბული გულისყურით ადევნებს თვალს მთელი საამქროს მუშაობას, რადგან, როგორც საამწყობო-სალინოტიპო საამქროს პარტბიუროს მდივანი, ვალდებულია ყოველ წუთს მთელი საამქროს მუშაობის კურსში იყოს, საამქროს, რომლიდანაც იწყება მთელი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის გეგმის შესრულება.

ეს კომბინატი კი საქართველოს ყველაზე დიდი პოლიგრაფიული წარმოებაა. საკმარისია ითქვას, რომ იგი რესპუბლიკის საწიგნო-საჟურნალო პროდუქციის 70-75 % ბეჭდავს და გასულ 1956 წელს 60 მილიონი ანაბეჭდი ფურცელი გამოუშვა.

აქ იბეჭდება პოლიტიკური, სამეცნიერო, მხატვრული და სასწავლო წიგნები. ჟურნალები — „ცისკარი", „მნათობი", „დროშა", „საბჭოთა ხელოვნება". იპოლიტე კლარჯეიშვილი ყოველთვის დაკვირვებით ადევნებს თვალყურს მთელი კომბინატის მუშაობას, არა მარტო იმიტომ, რომ იგი აქ მუშაობს, არამედ იმიტომაც რომ, როგორც საქართველოს კომპარტიის ოქტომბრის რაიკომის პლენუმის წევრმა, მან კარგად იცის, თუ რამდენად დიდი ხვედრითი წონა აქვს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის მრეწველობაში. კლარჯეიშვილი კი თავისი რაიონის დიდი პატრიოტია და როგორც ამ რაიონის მკვიდრი, რაიონის სამრეწველო მიღწევებთან ერთად, არა ნაკლები სიამაყით ლაპარაკობს რაიონის კეთილმოწყობისა და მშენებლობის შესახებ.

## ევგენია ჯავაშვილი

ქუჩაში მეტად ფაქიზად, მაგრამ სადად ჩაცმული თმაშევერცხლილი ქალი მოდის. იგი ყურადღებით აკვირდება გამვლელებს, განსაკუთრებით ქალებს და კიდევ უფრო განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებს და გოგონებს, რომელთაც გადაჭარბებულად „მოდაზე" აცვიათ. მათ დანახვაზე თმაშევერცხლილ ქალს ტუჩებზე ღიმილი გადაუვლის, ნაბიჯს შეანელებს და თვალს გააყოლებს უცნაურად აჭრელებულ და მეტად უხერხულად, მაგრამ „უკანასკნელი მოდის" მიხედვით ჩაცმულ თმაგაწეწილ ქალიშვილს ან ცისფერ შარვალში ამოსუსულ ახალგაზრდას... იგი მიისწრაფის მარქსის სახელობის მოედნისკენ, სადაც დიდი შენობის პირველ სართულში მოდელების რესპუბლიკური სახლია მოთავსებული.

აქ, „ტანსაცმლის ლაბორატორიაში" მხატვრები, მოდელიერები, ოსტატები, ტექნიკოსები და ტექნოლოგები მუშაობენ იმ ნიმუშების დაპროექტებაზე და შექმნაზე,, რომლებიც შემდეგში რესპუბლიკის მთელ სამკერვალო მრეწველობაში უნდა დაინერგოს.

ყოველწლიურად აქ 500-ზე მეტი ახალი მოდელი იქმნება — ყველა სეზონის ქალის კაბების, კოსტუმების, პალტოების, კაცის ტანსაცმელის, ბავშვების სამოსის.

მხატვარი-მოდელიერი ევგენია ჯავაშვილი ქალის ზედა ტანსაცმელის — კოსტუმებისა და პალტოების მოდელებზე მუშაობს. ორმოცზე მეტი წელია, რაც ამ საქმეს ემსახურება: 1914 წელს ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობით ქალთა კრების მიერ შექმნილ ჭრა-კერვის სკოლაში დაიწყო მუშაობა, მერე დაოსტატდა, გამოიწაფა, ახლა უკვე თვითონ ასწავლიდა სხვებს სამკერვალო მრეწველობის პროფსკოლაში და მისი გამოზრდილი ოსტატები საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ყველა საწარმოებში შრომობენ; აქაც — მოდელთა სახლში, მისივე მოწაფეები ნუნუ ნოდია და ნადია ვორონინა უდგანან მხარში.

თვით ევგენია დღეს მხატვარი-მოდელიერია. და მის მიერ შექმნილი მოდელების მიხედვით ათასობით ქალის კოსტუმები და კაბა იკერება. მის სამუშაო მაგიდაზე რამდენიმე ახალი საშემოდგომო სეზონისათვის განკუთვნილი ქალისა და ბავშვის პალტოა.

— აი, შეხედეთ, რა კარგად მოუხდება პატარა გოგონებსა და ბიჭებს ეს პალტოები! — მართლაც, მსუბუქი შალის ცისფერი მატერიიდან ჩოხის მსგავსად შეკერილი პატარა პალტოები მეტად მოხდენილია, თანაც მათთან ერთად კომპლექტში უბრალო, სადა ჩაბალახებია, რომლებიც საუცხოვოდ დაათბობენ პატარებს.

— ევგენია ალექსანდრეს ასულს, ალბათ, გამორჩა, — ამბობს მოდელთა სახლის დირექტორი ნინო ბეჟანიშვილი, — რომ ამ ბავშვის ჩაბალახიანი პალტოსათვის მან საბავშვო ტანსაცმელის რესპუბლიკურ კონკურსში პირველი ადგილი და ხუთი ათასი მანეთი პრემია დაიმსახურა.



— ასეა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ პირველ სამკერვალო ფაბრიკაში აყოვნებენ ამ მოდელის მასობრივ გამოშვებას და ვის რად უნდა, როდესაც მოდელი მოდელად რჩება და მოსახლეობამდე არ აღწევს.

— ყოველთვის, როდესაც ქუჩაში უგემურად და ულამაზოდ შეკერილ ტანსაცმელს ვხედავ, უსიამოვნო გრძნობა მაწუხებს, რომ, ალბათ, ბრალი ჩვენც მიგვიძღვის — ვერა ვქმნით ისეთ ლამაზ, მოხერხებულად სახმარს, გამძლე და იაფ ტანსაცმელს, რომ ხალხი ჩვენი მოდელებით სარგებლობდეს და არა რაღაც უცნაურ, ულამაზო და მეტად უხერხულ „მოდას" მისდევდეს.

— კი, მაგრამ, ეს ხომ გემოვნების საქმეა...

— გემოვნებას ჩვენ უნდა ვქმნიდეთ; უნდა ვზრდიდეთ ახალგაზრდობაში მისწრაფებას სილამაზისკენ, ნამდვილად ლამაზი ტანისამოსი კი ყოველთვის მოხდენილი, სადა და მარჯვე სატარებელია.

ევგენია ჯავაშვილი გვიამბობს რესპუბლიკური სახლის „გამსვლელი სესიების" შესახებ, რომლებსაც ლამაზი და სადა ტანსაცმელის პროპაგანდის მიზნით აწყობს მოდელთა სახლი. ასეთი საჩვენებელი გამოფენები მოეწყო ქუთაისში, ბათუმში, აი, ახლაც რუსთავში საშემოდგომო და ზამთრის ტანსაცმელის 150 მოდელი გაიტანეს სადემონსტრაციოდ.

მაგრამ ეს უკვე დანერგილი მოდელებია, მხატვარი-მოდელიერი ევგენია ჯავაშვილი — კი უკვე მომავალი 1958 წლის სეზონის მოდელებზე მუშაობს. მის შემოქმედებითს გეგმაში — ქალის ზედა ტანსაცმლის კომპლექტია — კოსტიუმი და პალტო, რომელიც საქართველოში დამზადებული მასალისაგან უნდა შეიქმნას... ამ მოდელს ევგენია 1958 წლის ბრიუსელის გამოფენისათვის ამზადებს...

მოდელთა სახლში დიდი და საინტერესო მუშაობა წარმოებს. თავისი საქმით ღრმად დაინტერესებული ადამიანები გატაცებით, შემოქმედებითად მუშაობენ იმისათვის, რომ ჩვენმა ხალხმა ლამაზად და მოხდენილად, მაგრამ სადად და იაფად ჩაიცვას და დაიხუროს. ამ საქმეში დიდი და გამრჯე კოლექტივია ჩაბმული — ტექნოლოგები, ტექნიკოსები, მხატვრები-მოდელიერები, ოსტატები. მათ შორის მრავალია საქმის შესანიშნავი მცოდნე. ნინო ბეჟანიშვილს ვთხოვეთ საუკეთესოები გაეცნო ჩვენთვის.

— თამარ კალანდაძე, ეკატერინე ატაპინა, ანა რუხაძე, ანა კალანდაძე... რომელი ერთი დაგისახელოთ, ჩვენთან მხოლოდ საუკეთესოები მუშაობენ! — იცინის მოდელთა სახლის დირექტორი... ამაში ხომ ჩვენც დავრწმუნდით, როდესაც მოდელებს ვათვალიერებდით, მაგრამ, ევგენია ჯავაშვილისა არ იყოს, მათ მუშაობას ნამდვილი ფასი მაშინ დაედება, როდესაც ჩვენი სამკერვალო მრეწველობა ასევე ფაქიზად და კარგად შეკერილ ტანსაცმელს ათასობით გამოუშვებს.

## თბილისმა მტკვრისკენ უნდა იბრუნოს პირი

და აი, ისევ მივყვებით ოქტომბრის რაიონის ახლად გაშენებულ მტკვრის სანაპიროს. ოქტომბრის დღეებში იგი მეტად ლამაზი და მიმზიდველია. არქიტექტორები ამბობენ: თბილისმა მტკვრისკენ უნდა იბრუნოს პირიო. მართლაც, მრავალი საუკუნეების განმავლობაში ქალაქს მტკვრისკენ ზურგი ჰქონდა შექცეული. მდინარის ნაპირები ყველაზე მოუწყობელი ნაწილი იყო ქალაქისა, აქ იყო მისი სანაგვე.

არქიტექტორ ლეო ხარაშვილმა თავისი ბავშვობა მტკვრის მარცხენა ნაპირის ახლო აგებულ სახლში გაატარა. იგი ყოველთვის ოცნებობდა მდინარის გაყოლებით ფართოდ გადაჭიმულ ვრცელ სანაპიროებზე, რომლითაც დიდი, ლამაზი სახლების წყება მიჰყვება. ალბათ, იმიტომ ასეთი სიყვარულითა და მონდომებით დააპროექტა მან ეს უშველებელი შენობა — თბილისის ყველაზე დიდი საცხოვრებელი სახლი, რომლის კედლები ეს-ეს არის ამოიმართა მარქსის ხიდის ზემოთ, იგი მალე გვერდში ამოუდგება იმ მრავალბინიან სახლს, მარცხენა სანაპიროს მშვენებას რომ შეადგენს.

ახლა უკვე ნათლად წარმოგვიდგა კონტურები იმ მომავალი სანაპიროსი, რომელიც სულ მალე დაამშვენებს ქალაქს...

სანაპიროს ზემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე შეფენილია ოქტომბრის რაიონი და იქ ცხოვრობენ და შრომობენ უბრალო ადამიანები, რომელთა ხელით აშენდა ეს სახლები, რომლებიც ბეჭდავენ წიგნებს, აგებენ რთულ მანქანებს და აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ უფრო სახალისო, უფრო მხიარული, უფრო დოვლათიანი გახადონ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება.

# ოქტომბერი და მშვიდობა

**დავით მაისურაძე**

სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები ლენინის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. შექმნა რა მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოსა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ლენინმა ამით მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ემსახურება არა იმპერიალისტური ჯგუფების ეგოისტურ ინტერესებს, არამედ მშრომელი მასების, მთელი ხალხის ინტერესებს.

სტატიაში „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება", რომელიც 1916 წელს გამოქვეყნდა, ლენინმა იმპერიალიზმის პოლიტიკას დაუპირისპირა სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა, „სრული დემოკრატიის" პოლიტიკა, რაც მოასწავებდა ერების თანასწორობას, მათი თვითგამორკვევისა და სრული გამოყოფის უფლებას, მათი ნებაყოფლობითი, თავისუფალი კავშირის პრინციპს.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კოლონიურ ქვეყნებს. იგი მიუთითებდა, რომ სოციალისტებმა უნდა მოითხოვონ კოლონიების დაუყოვნებლივ განთავისუფლებაო.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები პირველად ჩამოყალიბებულ იქნა ლენინურ საზავო დეკრეტში. ეს დეკრეტი 1917 წლის 8 ნოემბრის ისტორიულ ღამეს მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე და გადაიცა რადიოთი, როგორც მოწოდება ყველა მეომარი ხალხისა და მთავრობისადმი.

ლენინური საზავო დეკრეტი გმობდა იმპერიალისტურ ომს. იგი იწყებოდა წინადადებით — დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მოლაპარაკება უანექსიო და უკონტრიბუციო, სამართლიანი, დემოკრატიული ზავის დასადებად.

„ამ ომის განგრძობა, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — იმის გულისათვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთშორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ". (თხზ. ტ. 26, გვ. 289).

ლენინურმა საზავო დეკრეტმა მოგვცა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპული განსხვავება ბურჟუაზიულ საგარეო პოლიტიკისაგან. ამ დეკრეტის ძირითადი შინაარსი იყო: იმპერიალისტური პოლიტიკის უარყოფა, მტაცებლური ომისაგან ხალხების განთავისუფლება, ანტისახალხო დიპლომატიის გაუქმება, სხვათა მიწების დაპყრობის პოლიტიკის დაგმობა და უარყოფა, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი დემოკრატიული ზავის პროგრამა.

საზავო დეკრეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება და საიდუმლო იმპერიალისტურ ხელშეკრულებათა გამოქვეყნება.

თვისობრივად სრულიად ახალი ელემენტი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკამ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში.

საბჭოთა სახელმწიფომ დასაწყისშივე აღიარა ყველა ხალხის სუვერენული უფლება — თავისუფლად და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. მან გაუქმებულად გამოაცხადა ყველა არათანაბარუფლებიანი ხელშეკრულება, რაც მეფის მთავრობას ჰქონდა დადებული კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებთან — ავღანეთთან, ირანთან, ფინეთთან, თურქეთთან, ჩინეთთან და სხვ. ჩამოთვლილმა ქვეყნებმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით მიაღწიეს სერიოზულ წარმატებას თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის მაგალითმა იმპერიალისტური ჩაგვრისაგან ხსნის იმედი და რწმენა ჩაუნერგა კოლონიური ქვეყნების მრავალმილიონიან ხალხებს. საბჭოთა სახელმწიფომ ამ ქვეყნებს პოლიტიკური და ეკონომიური დახმარება გაუწია.

საბჭოთა მთავრობის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების სუვერენული უფლებების აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ბოლშევიკების პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საშინაო პოლიტიკასთან. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკის მიზანია განავითაროს და განამტკიცოს ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული ზრდა, საგარეო პოლიტიკა კი მოწოდებულია შექმნას ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო მისი არსებობის დღიდანვე მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს, იბრძვის საყოველთაო მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისათვის, მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ შეუცვლია თავისი საგარეო პოლიტიკის კურსი. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მთელი საბჭოთა ხალხის მონოლითურმა შემჭიდროვებამ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ნამდვილ სახალხო საგარეო პოლიტიკად გახადა.

საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსის განსაზღვრისას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის გამოდიოდნენ იმ ლენინური დებულებიდან, რომ მსოფლიოში სხვადასხვა ეკონომიური სისტემებისა და იდეოლოგიის არსებობა სრულებით არ გამორიცხავს კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით სოციალისტური ქვეყნის მშვიდობიან თანაარსებობას, შეჯიბრებას და დემოკრატიულ თანამშრომლობას.

ორი დაპირისპირებული სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების არსებობა არ ნიშნავს მათ შორის აუცილებელ ომს. ლენინს დასაშვებად მიაჩნდა ამ ორი სისტემის მშვიდობიანი თანამშრომლობა და შეჯიბრება მოქმედების ყველა სფეროში.

1920 წლის თებერვალში, ამერიკული გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, როგორია მშვიდობისათვის შექმნილი დაბრკოლებანიო, ლენინმა უპასუხა: „ჩვენი მხრივ არავითარი. დაბრკოლებაა იმპერიალიზმი ამერიკელი (ისე როგორც ყოველი სხვა) კაპიტალისტების მხრივ". კითხვაზე როგორია ამერიკასთან ზავის საფუძვლებიო, ლენინმა უპასუხა: „დაე, ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან. ჩვენ მათ არ შევეხებით".

ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მზად არის დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა ამერიკასთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან. ეხებოდა რა საბჭოთა ქვეყნის დამოკიდებულებას ინგლისთან და საფრანგეთთან, ლენინი 1922 წლის ნოემბერში ამბობდა:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავსებით შესაძლებელია სრულიად მეგობრული ურთიერთობის დამყარება ორივე სახელმწიფოსთან, და ჩვენი მიზანიც ეს არის".

ორი სისტემის თანაარსებობის პირობებში მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ატარებენ, სრულიადაც არ ნიშნავს იმპერიალისტური ბანაკისადმი პრინციპული პოზიციების დათმობას. საბჭოთა კავშირი იმისკენ მიისწრაფვის, რომ მოწინააღმდეგე სისტემის მომხრეებმაც აღიარონ ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი და არავითარ ღონისძიებას არ იშურებს იმისათვის, რომ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას არსებული სადავო საკითხები და ის საკითხები, რომლებიც მოვლენათა მსვლელობაში წარმოიშობიან.

* * *

მეორე მსოფლიო ომს შედეგად მოჰყვა, საერთოდ, რეაქციის ძალების დასუსტება. განადგურებულ იქნენ რეაქციის ისეთი დასაყრდენები, როგორიც იყვნენ ფაშისტური გერმანია, ფაშისტური იტალია, იმპერიალისტური იაპონია. იმპერიალიზმის გავლენის სფეროებიდან გამოვარდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ალბანეთი.

ორი მოწინააღმდეგე ბანაკის — იმპერიალისტური და ანტიიმპერიალისტური ბანაკის ბრძოლა სწარმოებს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის შემდგომი გამწვავების, კაპიტალიზმის ძალების დასუსტებისა და სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების განმტკიცების ვითარებაში.

მაგრამ კაპიტალიზმის ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძლიერდება შავბნელი რეაქციული ძალები.

ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს წარმართავენ უოლ-სტრიტის წარმომადგენლები. ისინი ცდილობენ თავიანთი მოგებები გაზარდონ სამხედრო იარაღისა და საჭურვლის დამზადებაზე შეკვეთების ზრდით, სამხედრო ავანტიურების საშუალებით. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს რეაქციულ, იმპერიალისტურ, დაპყრობითს პოლიტიკას.

შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები შექმნილია ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებში, ბევრ ზღვაში ალეუტის კუნძულებიდან ნორვეგიამდე, დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, იაპონიაში, თურქეთში, ირანში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში. ეს ბაზები მრავალი ასეული კილომეტრით არიან დაცილებული შეერთებული შტატების საზღვრებს. მაგრამ ახლოს იმყოფებიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრებთან.

ამ სამხედრო ბაზებს აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო შეერთებული შტატების თავდაცვისა და უშიშროების ინტერესებთან. ისინი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ არიან მიმართული.

ამერიკელმა აგრესორებმა ბლოკი დაამყარეს გერმანელ მილიტარისტებთან და რევანშისტებთან და დასავლეთ გერმანია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე გახადეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ექსპანსიონისტური კურსი მიზნად ისახავს ბრძოლას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ყველა ქვეყანაში განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ.

### ხარატი ალექსანდრე მარგველაშვილი

ალექსანდრე მარგველაშვილი ისე იყო გართული მუშაობით, რომ ვერც კი შეამჩნია მის ახლოს მდგომი უცხო პირები. ვაკვირდებოდით მის მუშაობას და ვგრძნობდით, რომ იგი არც ერთ წუთს, არც ერთს წამს ტყუილად არ კარგავდა. მართლაც, თუ ასე არ იმუშავე ყოვლად წარმოუდგენელია დღიური ნორმა 400%-ით შესრულო.

ძველი რევოლუციონერის შვილი ჯერ კიდევ ახალწვერულვაშაყრილი ალექსანდრე, სოფელ ნაგარევიდან ქუთაისში ჩასულა და იქ დაუფლებია ხარატობის რთულ პროფესიას. 1934 წლიდან სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს. მას შემდეგ ვინ იცის ორთქლმავლის რამდენი ახალი დეტალი დაუმზადებია სახელოვან ხარატს. წელიწადი არ გავა, რომ მან ორი-სამი რაციონალიზატორული წამოწყება არ განახორციელოს. იგი ახლაც ახალი წამოწყების განხორციელებაზე მუშაობს. თუ აქამდე ორთქლმავლის ერთ-ერთი დეტალის დამზადებას ორჯერ დადუღება და გაჩარხვა სჭირდებოდა, ახლა ამ ოპერაციას ერთჯერადი ჩარხვა და დადუღება დასჭირდება. ეს კი ორჯერ შეამცირებს სამუშაო დროს, მისცემს ელექტროენერგიისა და მასალის ეკონომიას. ახალი წამოწყება ალექსანდრემ, რომელიც ახლა 1960 წლის ანგარიშში მუშაობს, ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს მიუძღვნა.

— ჩემი მიზანია ერთ წელიწადში ოთხი წლის გეგმა შევასრულო, — დინჯად და დამაჯერებლად გვეუბნება დიდი ოქტომბრის თანატოლი — სახელოვანი ხარატი.



ამერიკელი რეაქციონერები, რომლებიც შეშფოთებული არიან სსრ კავშირში სოციალიზმის წარმატებებით, ახალი დემოკრატიის ქვეყნების წარმატებებით და ომის შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ზრდით, მიდრეკილებას იჩენენ იკისრონ კომუნიზმისაგან კაპიტალისტური სისტემის „მხსნელთა“ ამოცანა.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ექსპანსიონისტური პროგრამა ძალიან მოგვაგონებს სამარცხვინოდ ჩაშლილ ავანტიურისტულ პროგრამას ფაშისტი აგრესორებისას, რომლებიც, როგორც ცნობილია, აგრეთვე, პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიო ბატონობაზე.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხების, ისე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელების, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ომის თავიდან აცილება, იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგრესიული წრეების მხილება და იზოლაცია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლა ახლა, როგორც არასოდეს, მჭიდროდ უკავშირდება მშრომელთა ბრძოლას მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის. ამ ბრძოლის წარმატება პირველ ყოვლისა დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერნაციონალურ დარაზმულობაზე, შეგნებულობასა და ორგანიზებულობაზე, მათს აქტიურ მხარდაჭერაზე სოციალისტური ქვეყნებისადმი, რომლებიც მშვიდობისმოყვარული ანტიიმპერიალისტური ძალების ავანგარდში დგანან.

მტკიცე მშვიდობისათვის წარმატებით ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას იმპერიალისტები ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერ ქვეყნებს. ამიტომ რაც უფრო გაძლიერდება ჩვენი სამშობლო ეკონომიურად, მით უფრო მეტ გავლენას მოახდენს იგი მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, კაცობრიობის შემდგომი განვითარების ბედზე. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში თავისი დიადი წარმატებებით საბჭოთა კავშირი მილიონობით ახალ-ახალ მეგობარს იძენს მსოფლიოს ყველა ნაწილში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა დაუღალავად იბრძვის მასობრივი განადგურების იარაღის ასაკრძალავად და ყველა სახელმწიფოს ეროვნული შეიარაღებიდან მის განსადევნად. ვინაიდან მახინჯი და დრომოჭმული კაპიტალისტური სისტემა ცდილობს თანამედროვე ეპოქის უდიდესი მიღწევა — ატომური და წყალბადის ენერგია მილიონი მასების აუწერელ უბედურებათა წყაროდ გადააქციოს, საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით მოითხოვს ატომგულის იარაღის საყოველთაოდ მოსპობას, მისი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

* * *

1955 წელს საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველად შეიტანა კონკრეტული წინადადებანი განიარაღების შესახებ. ამასთან საბჭოთა კავშირმა პრაქტიკულად განახორციელა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები შეიარაღების შემცირების საქმეში: შეამცირა შეიარაღებული ძალები 640 ათასი კაცით, ხოლო თავდაცვის ხარჯები — 10 მილიარდი მანეთით; ლიკვიდაცია უყო თავის სამხედრო ბაზებს პორტ არტურსა და პორკალა-უდში.

საბჭოთა კავშირმა მოაწესრიგა ავსტრიის საკითხი, სახელმწიფო ხელშეკრულება დადო ავსტრიასთან, რომლის ძალითაც ავსტრიამ გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით აღდგენილ იქნა ნორმალური ურთიერთობა იუგოსლავიასთან, რის შედეგადაც განუხრელად ვითარდება ეკონომიური და კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის.

საერთაშორისო ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა დელეგაციის პოზიციამ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე. ეს პოზიცია მიმართული იყო ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ნდობის ატმოსფეროს შექმნისაკენ. ამავე მიზნისაკენ იყო მიმართული, აგრეთვე, საბჭოთა დელეგაციის მოქმედება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ღრმა თეორიული დასკვნები გააკეთა თანამედროვე საერთაშორისო განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების — სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების შესახებ. ყრილობამ ახალი ძალით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი იყო და რჩება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად.

ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი სისტემები არა მარტო სხვადასხვაგვარი, არამედ მოწინააღმდეგენი არიან, რადგან ერთ-ერთ მათგანში გაბატონებული არიან საზოგადოების მშრომელი კლასები, ხოლო მეორეში ბურჟუაზია, გულისხმობს ამ სისტემათა შორის შეურიგებელ პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობას და ბრძოლას. მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ეს ბრძოლა წარმოებდეს შეიარაღებული ძალების საშუალებით. მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა ხალხის გაგებით არის ფართო შეჯიბრება მშვიდობიანი შრომის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ასპარეზზე, რომელიც გამორიცხავს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას იარაღის ძალით.

საერთაშორისო თანამშრომლობის მტრები ამბობენ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს აყენებს ტაქტიკური, კონიუნქტურული მოსაზრებით. ისინი გაჰკივიან „რევოლუციის ექსპორტის“ შესახებ და ცდილობენ ხალხები დააშინონ „ბოლშევიკური საფრთხით“. მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე და იგი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია.

„რევოლუციის ექსპორტი“ აბსურდია. რევოლუცია არ შეიძლება იყოს ექსპორტის საგანი, არამედ იგი ღრმა შინაგანი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია კლასობრივი ძალების განვითარებაზე თვითეულ ქვეყანაში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი სისტემის დამყარება თვითეული ქვეყნის ხალხის შინაური საქმეა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის საკითხს, ვინაიდან ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მრავალმა მილიონმა ადამიანმა გამოსცადა ორი მსოფლიო ომი მათი სისხლიანი შედეგებით, აურაცხელი უბედურებებითა და მსხვერპლით.

ამჟამად მსოფლიოში არსებობენ არც თუ მცირე ძალები, რომლებსაც რეალური შესაძლებლობა გააჩნიათ თავიდან აიცილონ ომი.

მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ ყველაზე აგრესიული იმპერიალისტური წრეები გულში ატარებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომების გეგმებს, სოციალიზმის ქვეყნებში კაპიტალიზმის აღდგენის ფანტასტიკურ გეგმებს.

ამიტომ პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა ამოცანა—ფხიზლად ვადევნოთ თვალყური იმპერიალისტების ხრიკებს, უზრუნველვყოთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროება.

## ოქტომბრის თანატოლები

## მეცნიერ მუშაკი ოთარ ფალავა

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის ლექტორს, ოთარ ფალავას, ცხოვრების გზაზე ბევრი რამ გადახდენია. 1941 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გერმანელ ფაშისტებთან საბრძოლველად წავიდა. ახალგაზრდა ინჟინერი იბრძოდა და აგებდა ხიდებს, ოქტომბრის თანატოლი იცავდა ოქტომბრის დიად მონაპოვარს. ყველგან, სადაც იბრძოდა იგი — მოჟაისკის ფრონტზე, პოლონეთში თუ სხვაგან, ავდარსა თუ ქარცეცხლში მებრძოლი-სპეციალისტი სახელდახელოდ აშენებული ხიდებით შეტევაზე გადასულ ჩვენს ჯარებს გზას უკაფავდა.

ახლაც ახსოვს ოთარს მდინარე ვისლაზე ორმაგი ცეცხლის დროს გადებული ხიდი, ახლაც იპყრობს მას სიამაყის გრძნობა იმისა, რომ იმ ხიდზე ჩვენი ძლევამოსილი არმიები გადიოდნენ. ერთ ხანს ოთარი პოლონელებთან ერთად იბრძოდა მხარდამხარ. ამიტომაც იყო, რომ პოლონეთის მთავრობამ სათანადოდ შეაფასა მისი ღვაწლი და ომის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოსულ ნაომარის მკერდს საბჭოთა ორდენებთან ერთად პოლონური 8 ორდენი „დამსახურების ვერცხლის ჯვარი“ ამშვენებდა.



ნაომარმა მშენებელმა დაიცვა დისერტაცია და ახლა უკვე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თავის ცოდნასა და გამოცდილებას მომავალ ინჟინერთა დასტატებას ახმარს. მან მოკლე ხანში რამდენიმე მეცნიერული შრომა დასწერა. თავის ახალ შრომას „ჩარჩოების ზღვრული მეთოდით ანგარიშის თეორია“,— რომელიც სამოქალაქო სამრეწველო ნაგებობების ეკონომიურ დაგეგმარებაში გამოიყენება, მეცნიერი ოქტომბრის საიუბილეო თარიღს უძღვნის.

რასულ გამზატოვი

## იავნანური

ჩვენში უკვე გაზაფხულდა,
გაიხედე, ალი.
მთებზე თოვლი გადახუნდა,
გაიხედე, ალი.
მღერა იწყო ნაკადულმა,
ყური უგდე, ალი,
ველზე ია დახატულა,
გაიხედე, ალი.
ჩიტი ბუდეს დაუბრუნდა,
მოუსმინე, ალი.
ტყეში დათვი ბზუტყუნდა,
არ შეშინდე, ალი.
მალე, მალე ფეხს აიდგამ,
გარეთ გახვალ, ალი.
პირს დაიბან წყაროს წყლითა,
წყაროს ნახავ, ალი.
კეთილი მზე თვალებს ნაბავს,
თავს დაგნათის, ალი.
გადაგაფენს ოქროს ხაბანს,
ოქროს ქათიბს, ალი.
თავს დაგნათის ბადრი მთვარე,
ელავს მთვარე, ალი.
შუქში ახვევს შემოგარეს,
დგას სიწყნარე, ალი.
აყვავილდა ჩვენი მხარე,
მთლად ბიბინებს, ალი.
იავ ნანა, გაიხარე,
დაიძინე, ალი.

## სიმღერა

ბნელა, ავდრობს, ცა გრუხუნებს,
სარკმელს ვიღაც აკაკუნებს.
ეს წვიმაა, შენ კი არა.
აგერ, ვიღაც დახშულ კარებს
აწვება და აჭრიალებს.
ეს ქარია, შენ კი არა.
აგერ, მამა თავის მართვებს
დაუბრუნდა, ღამეს ათევს.
შევარდენი. შენ კი არა.
აგერ, მთების შესაბარდნად
მოდის პაპა თეთრნაბადა.
ზამთარია, შენ კი არა.
დღით და ღამით უქანცველად
მხედარი რომ დაჰქრის ველად —
დროჟამია, შენ კი არა.
მდაგავს მზე და მდაგავს ყინვა,
მაგრამ ცრემლი მაინც მცვივა.
ცრემლს დააშრობ მხოლოდ შენა.
ზაფხულის მზით დადაგული
მაინც ველარ გათბა გული.
გულს გაათბობ მხოლოდ შენა.

თარგმნა გ. შატბერაშვილმა

იოჰანეს ბეჰერი

## ჰიმნი საბჭოეთზე

ქვეყნებს შორის რჩეულო,
კერავ ხალხთა დიდების,
მზეო თავისუფლების,
ჩვენს იმედად ბრწყინდები.
ფრთა შეასხი უტკბილეს
ოცნებათა მწვერვალებს,
შენი კრემლის ვარსკვლავი
ჩვენს ნუგეშად ელვარებს.
შენ ხარ ჩვენი სიმაგრე,
ჩვენი რწმენა დიადი,
შუქმა აღმოსავლეთის
გაგვიფანტა წყვდიადი.
შენს მზერაში კიაფობს
თანაგრძნობა ულევი,
შენი სხივით თბებიან
მილიონთა გულები.
სანეტარო ქვეყანავ,
ხალხთა თავისუფლების,
სულში გვწვდები და ბრძნული
ენით გვესაუბრები.
ხარ ჩაგრულთა იმედი
და რისხვა ხარ მტარვალთა,
შენმა დროშამ თვალუწვდენ
სივრცეს გადაანათა.
სხივთა ნიაღვარი ხარ,
სიმართლის გზით მავალი,
დაუმკვიდრე მშრომელებს
აწმყო და მომავალი.
რჩეულ გმირთა კერა ხარ,
მტკიცე, შეუდრეკელი,
შენ მშვიდობას უდგეხარ,
როგორც რკინის კედელი.

თარგმანი გერმანულიდან
შოთა ამირანაშვილისა

# ოქტომბრის გზა

## ნიკოლოზ ტიხონოვი

ნელინელ იფერფლებოდა სულ ერთიანად ოქროსფრად მოკაშკაშე, მოთაფლისფრო-წითლად დაწინწკლული, მომწვანო აბრეშუმისებური ნისლით შებურვილი თურქმენული გაზაფხულის საღამო.

ხალხი ისხდა ჩაიხანაში და ფიალებით შეექცეოდა ჩაის. ჩაი შვებას აძლევდა მათ, უკლავდა წყურვილს, უქარვებდა მოქანცულობას აუტანელი პაპანაქებით გათანგული დღის შემდეგ. ჩაიხანის ხალიჩებს ზემოთ, თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული ბრინჯაოს კერპივით, წამომართულიყო სპილენძისმხრებიანი, ორთქლით შეგრაგნილი ვეებერთელა სამოვარი.

იქვე, ოდნავ მრუმე, ზაფრანისფერ ქვიშნარი ბორცვების ფონზე, უდაბნოს ხავერდოვან შორეთს რომ ფარავდნენ, დინჯი და განიერი ფლოქვების ჩლახუნით და ზანზალაკების ჟღარუნით მიიზლაზნებოდნენ აქლემები. არავინ აქცევდა ყურადღებას მათს შავ საპალნეებს და ბანჯგვლიან ბეხრეკ კუზებს, თითქოს გარდასულ დროთა აჩრდილების პროცესიამ ჩაიარა და თვალმა ის მხოლოდ რეგისტრაციაში გაატარაო.

შემდეგ ქარავანს კვალდაკვალ მოყვა ორი ცხენოსანი. ცხენზე — მათს კოხტად, დარჭობილივით ჯდომას, მაღალ თურქმენულ ბოხოხებს, დაძაბულ ხმელ-ხმელ ფიგურებს ყურადღება მიაქცია მხოლოდ ზოგიერთმა, რომელსაც ისინი ნაცნობები ეგონა.

მაგრამ, როდესაც დარწმუნდნენ, გამვლელნი უცნობები არიანო, ყველანი დაუბრუნდნენ ჩაიდანსა და ფიალებს. ის ცხენოსნები დაისის შუქზე მეტისმეტად ლამაზები იყვნენ და მოგვაგონებდნენ ამბებს მომთაბარეთა თავდასხმებზე, უდაბნოში მათი ხეტიალის, სიყოჩაღისა და თურქმენული მამაცობის შესახებ.

ხალხი ისევ განაგრძობდა საუბარს, ჩაის სმას, გაზეთების კითხვასა და ხტკბებოდა უდაბნოს გრილი სუნთქვით.

და უცბად იქ, სადაც ჩაიარეს აქლემებმა და ცხენოსნებმა, დავინახეთ სილუეტი, რამაც ჩაიხანაში მყოფნი ააფორიაქა, ხალხი სტოვებდა ჩაიდნებსა და ხალიჩებს და მიეშურებოდა ქუჩისკენ. პირდაპირ ჩვენსკენ, პატარა ურჩხულივით, ქშენით მოლოლავდა ტრაქტორი და ტრაქტორზე, როგორც ტახტზე, თავმომწონედ და მედიდურად წამომჯდარიყო ახალგაზრდა. შავულვაშებიანი, გამჭრიახთვალებიანი თურქმენი. თვითონ მას მოსწონდა ამ ართვალ, მაგრამ კარგადაწყობილ მანქანაზე ჯდომა. ის დოსტოლრივ ჩაიხანისკენ მოემართებოდა. ხალხმა გზა მისცა მას და გაატარა.

მან შეაჩერა მანქანა და ჩამოხტა, ჩვრებით დაუწყო მანქანას ცხენივით წმენდა, და ირგვლივ მყოფი ხალხი ალაპარაკდა.

ზოგი გაოცებითა და ფრთხილად ეხებოდა ბორბლებს, ზოგი შიგნით იჭვრიტებოდა, ზოგს კი სურდა — საჭეს მიწვდომოდა. ამაყი და ოდნავ აღელვებული ტრაქტორისტი ერთბაშად ყოველი მხრისკენ იძლეოდა პასუხს.

— როგორაა იქ კოლმეურნეობის საქმე? გამოვა განა აქედან რამე? — ჰკითხეს მას. — რაღაც დიდხანს აგრძელებენ ხჯა-ბაასს!

ტრაქტორისტმა ერთბაშად წამოიძახა:

— რასაკვირველია, გამოვა. იქ ბაები ისევ ამღვრევენ წყალს, მაგრამ შავი დღე დაადგებათ. ეს ეხაა — იქიდან მოვდივარ. ჩამოაყალიბებენ კოლმეურნეობას. „ოქტომბრის გზას" არქმევენ.

— კარგი სახელწოდებაა! — წარმოთქვა ერთმა კისერგარუჯულმა გლეხმა. — თუ ასე დაარქმევენ, მტკიცე გზას დაადგებიან. ბაებს კი დღეს დავუბნელებთ. ჩვენც, აგრეთვე, სამ დღესა და ღამეს ვდაობდით, შემდეგ კი გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

ხანამ ტრაქტორისტი გაცხარებით ებაასებოდა გარშემოკრებილ თურქმენებს, ჩვენც გავუზიარეთ ერთმანეთს განვლილი დღის შთაბეჭდილებები.

— ტრაქტორი ახლა მტკიცედ შეიჭრება საკოლმეურნეო თურქმენეთის ცხოვრებაში, — წარმოთქვა ჩვენმა თანამგზავრმა, ირიგაციის ინჟინერმა სძირხოვსკიმ, რომელსაც მზით დამწვარი სახე ჰქონდა და თეთრი ტილოს ხალათი, ლურჯი სამხედრო შარვალი და ბრეზენტის ჩექმები ეცვა. — ახლა, რასა'კვირველია, საზრუნავი არ დაილევა. კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება ახალი საქმეა. ერთგან, გაიხედავ, და რას ხედავ: ის მთლად დაშლილა ორგანიზატორთა უუნარობის გამო, აქ — ბაიებმა გაუჭირვეს საქმე, ხვაგან — ფეხზე დადგა, მაგრამ, როგორც იტყვიან — სულს ღაფავს. ხოლო, ზოგიერთებმა მაგრად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და კარგადაც წარმართავენ.

— რევოლუცია შემოიჭრა უდაბნოში, — მოუგო ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა, თურქმენმა მურადმა. — ახლა ოცდამეათე წელში ვდგავართ და აბა შეხედეთ, ათი წლის შემდეგ ვეღარც კი იცნობთ რესპუბლიკას, ისეთი კოლმეურნეობები და ქალაქები იქნება. არ ემგვანება ანაუს, რომლის ნანგრევებიც დღეს იხილეთ...

ჩვენ, მართლაც, გზადაგზა დავათვალიერეთ ეს დიდებული ნანგრევები, რომლის შუაგულში, თუმცა მთლიანად არა, მაგრამ მაინც გადარჩენილიყო მიზგითი. ეს მიზგითი წამომართული იყო თიხის მთასავით, ჯერ კიდევ გადარჩენილი ვეებერთელა კარიბჭით, ჰაეროვანი კამარითა და ბრტყელი გუმბათით. ლურჯ ფონზე ამოყვანილი თეთრი არაბული გრეხილი რკალად ევლებოდა მიზგითიდან უცნაურად გადმომცქერალ მქრქალად მბზინვარე ორ მწვანე ურჩხულს.

— მართლაცდა საიდან გაჩნდა აქ ეს ჩინური ურჩხულები? — ვკითხე მე. — შესაძლოა, ჩინელები ისე შორს შემოიჭრნენ ამ მიდამოებში, რომ, ისლამის მიღებისას, შეინარჩუნეს ურჩხულები. ანდა, იქნება, ესაა, ჩინეთში თემურ-ლენგის ლაშქრობის მოსაგონარი. ეს მიზგითი ხომ უკვე ბაბურის დროს იგებოდა?

— ეს თვითონ ჩინელებს უნდა ვკითხოთ, — გაეცინა ჩემს მეზობელ აგრონომს. — მათთან უნდა ვეძიოთ ცნობები ამ მიზგითზე.

— ახლა მათ ამის თავი არა აქვთ, — წარმოთქვა სმირნოვსკიმ. — ურჩხულებისთვის არა სცხელათ, აი, დღეს გაზეთში წერია, ჩინეთში, სამაზრო ქალაქ ნანსში და (მან მონახა გაზეთში დეპეშა)... სიჩუანის პროვინციის, ჩუნხიანისა და ფინდუს მაზრებში მოხდა გადატრიალება და საბჭოთა მთავრობა ჩამოყალიბდაო...

— ჩინელებისა არაფერი ვიცი, — თქვა მურადმა. — არასოდეს მინახავს ისინი. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ იბრძვიან: კარგად თუ ცუდად... თუ გადატრიალება მოახდინეს, მაშასადამე, ცუდად არ წაუვათ საქმე...

— მე მხოლოდ მეწვრილმანეები მინახავს, ქალაქებში რომ დახეტიალობდნენ რევოლუციამდე, — წარმოთქვა აგრონომმა. — ყიდდნენ დარაიას, აბრეშუმს, მარაოებს, ქოლგებს. მაგრამ მათი მიხედვით დღევანდელ ჩინელებზე მსჯელობა, რასაკვირველია, არ შეიძლება...

— შემიძლია, ცოტაოდენი რამ მოგითხროთ ჩინელებზე, — სმირნოვსკიმ გადადგა ფიალა, იდაყვებით რამდენიმე რბილ ბალიშზე დაეყრდნო და უფრო მოხერხებულად წამოწვა: — სამოქალაქო ომის დროიდან ვიცნობ. ჩვენს არმიაში მათი მთელი განაყოფი იყო.

— მერედა როგორ იბრძოდნენ?

— ჩინებულად. ტყვიამფრქვევიდანაც კი გასაოცრად ისროდნენ. ყველა ჩვენ მებრძოლს აკვირვებდა ეს. როცა ერთი ჩინელი იერიშზე მირბოდა ბრძოლის დროს, ზურგზე მსუბუქი ტყვიამფრქვევი ჰქონდა გადებული, ამ დროს მეორე ჩინელი ფეხდაფეხ მისდევდა და სირბილისას ამ ტყვიამფრქვევიდან ისროდა. იცით, რა სანახაობა იყო? მეტისმეტად მოქნილები და ყოჩაღნი იყვნენ ისინი, პლასტუნებივით შეეძლოთ ხოხვა. რუსულად ლაპარაკი კი, რასაკვირველია, ძლიერ უჭირდათ...

— მაშ როგორ აგებინებდით?

— მათ თავიანთი მეთაურები ჰყავდათ. მახსოვს ერთი მათგანი. უბრალოდ — ვასიას ვეძახოდით. იგი ბრძანებებისთვის მოდიოდა ჩვენთან და, რაც საჭირო იყო, ყველაფერს ვუხსნიდით, ხოლო შემდეგ ის თანამებრძოლებს აუხსნიდა. მეტისმეტად თავდადებულნი იყვნენ რევოლუციისათვის და მასთან — მეტად ვაჟკაცნი. ტკივილს აგრე რიგად როდი გრძნობდნენ, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძლიერი ნებისყოფა გააჩნდათ. ჩინელმა მებრძოლმა არ იცის არც ყვირილი და არც ტირილი თვით იმ დროსაც კი, როცა კვდება. ზის მძიმედ დაჭრილი და ფიქრობს. ლაპარაკითაც ცოტას ლაპარაკობს.

ჩვენ უკვე შევუდექით ყუბანის განთავისუფლებას. მანამდე ურთიერთშორის არასოდეს არავითარი გაუგებრობა არ გვქონია. ჩინელი მეთაურები კომისრებადაც იყვნენ. უხსნიდნენ ჩინელებს პოლიტიკურ ვითარებას და მათთან სრული კონტაქტი გვქონდა დამყარებული. ერთხელ ჩვენთან მოვიდა - ვასია და ვხედავ, უკმაყოფილო სახე აქვს. ვასია, რა მოგივიდა-მეთქი, ვკითხე, ცუდად ხომ არა ხარ, ან მებრძოლები ხომ არ ჩივიან რამეზემეთქი. არაო, მეუბნება, მე არაფერზე ვჩივი, მხოლოდ მებრძოლები ჩივიანო. ვკითხე: რას გიჩივიან-მეთქი. ვასია ჯერ დაიბნა, შემდეგ კი მითხრა: რატომ ხდება ასე: როცა თქვენი არმია იერიშზე გადადის, რაღაცას გაჰყვირის, ხმამაღლა ყიჟინებს, ჩვენი ჩინური წითელი არმია კი იერიშზე გადასვლისას არაფერსაც არ გაჰყვირისო.

მივაჩერდი, ხომ არ ხუმრობს-მეთქი. ვხედავ, არ ხუმრობს. მაშინ სხვა მხრიდან მოვუარე. ვასია, ვეუბნები, ხომ არ გგონია, ეს ყიჟინა ტყვიებისა და ჭურვების საწინააღმდეგო რაღაც თილისმური ჯადოსიტყვა იყოს-მეთქი? არაო, მომიგო ვასიამ,— ჯადოსნობისა და თილისმა სიტყვებისა არა მწამს, ხოლო, ისინი რომ გადარბიან და ყვირიან, და ჩვენ კი არა, ეს... როგორღაც...

როგორც იქნა, მივხვდი. გაცინება არ ვაკადრე ჩემს თავს, მხოლოდ ოდნავ გავიღიმე. ვასია, ვეუბნები, ყველაფერს აგიხსნი-მეთქი. ისინი გაიძახიან სიტყვებს: მშობლიური ყუბანისათვის! ჩვენ ხომ ახლა ყუბანში ვიბრძვით, თეთრებისაგან ვათავისუფლებთ ყუბანს, ამიტომაც ისინი გაიძახიან: მშობლიური ყუბანისთვის, ესე იგი მისი გათავისუფლებისთვის არაფერს დავიშურებთ, ყველანი გავწყდებით და ყუბანს კი თეთრებისაგან გავათავისუფლებთო. ჩინელებმა რაღა უნდა იძახონ ეს სიტყვები? გასაგებია? მათი სამშობლო ხომ ჩინეთია-მეთქი.

შემდეგ კი, მეორე დღეს, დამიძახეს: ამხანაგო მეთაურო, ნახე, ვასია რას აკეთებსო. თავისიანებს თითქოს საგუბე სიმღერას ასწავლიდა. გადავედი ბორცვს გადაღმა და რას ვხედავ: ჩინელები ათეულებად დამხდარან, ისე როგორც კლასში, და ყოველი ათეულის წინ თითქოს ინსტრუქტორი მიმოდის და მის ბრძანებაზე ისინი რაღაცას გაიძახიან. ის, ალბათ, უბრძანებს, უფრო ხმამაღლა იყვირეთო, რადგან ისე გაყვიროდნენ, რომ მათი ხმა შორს უწვდა. ყური მივუგდე. ვერაფერი გავარჩიე. ერთი წითელარმიელი ამბის გასაგებად გავგზავნე, რას გაიძახიან ასე გულმოდგინედ-მეთქი. დაბრუნდა და მითხრა: მოგახსენებ, ამხანაგო უფროსო, ისინი გაყვირიან ერთხმად, ისე როგორც პარადზე: მშობლიური ყუბანისათვის! და რადგან სიტყვა ყუბანი, ვერ გამოუთქვამთ, ამიტომ ქჲუბანს გაიძახიან. ზოგჯერ რამე კი გამოდის... აბა, მოუსმინეთო. და ჩვენც გვესმოდა, თუ როგორ ასწავლიდა ვასია ამ სიტყვებს თავის ჩინელებს...

დილით ბრძოლა მოგვიხდა თეთრებთან. როგორც კი რაზმეულები იერიშზე გადავიდნენ, ჩვენმა არწივებმა მთელი ხმით დაიძახეს: მშობლიური ყუბანისათვის! — და პირდაპირ ხიშტებით ეკვეთნენ მტერს. ვხედავ, თეთრების მწკრივები შედრკა. ო, რა ამბავი დატრიალდა! ჩინელები, ჩვენი ძვირფასი მეგობრები, ყიჟინით: მშობლიური ყუბანისათვის — ისე მიიწევდნენ, რომ თეთრებმა პოზიცია დატოვეს. ვეღარ გაუძლეს, როცა მოესმათ, თუ როგორ დასჩხავის ყიჟინა ჩინელებმა იერიშის დროს. ვასია მართალი იყო, ამ საბრძოლო ყიჟინით იერიში მტრისათვის უფრო მრისხანე და თავზარდამცემი გახდა.

ყიჟინა, როგორც მოწოდება, ამტკიცებდა ჩვენს ძალ-ღონეს, უფრო ბობოქარსა და შეუპოვარს გვხდიდა. ამას მე ერთბაშად ვერ მივხვდი, ვასიამ კი მოიხარა, მდუმარედ შეტევა რომ ცუდი იყო. ლოზუნგით უფრო ხალისიანი გამოვიდოდა. გავი-



ფიქრი: ყუბანმა დაგვანათესავა ჩვენ ბრძოლებში. უფრო ახლობელი გახდა ჩვენი მიწა-წყალი ჩინელთათვის. დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, იქნებ, თავიანთ სამშობლოსაც მოაგონებდათ. მისი თავისუფლებისთვის სიკვდილი კი ღირდა სწორედ...

— შეკითხვები ხომ არავის აქვს? — ხუმრობით წამოიძახა აგრონომმა, როცა სმირნოვსკიმ დაასრულა ამბავი. — აი, თურქმენები ტრაქტორთან ფუსფუსებენ, ზოგიერთი პირველად ხედავს მას. ტრაქტორისტმა კი თქვა, კოლმეურნეობას „ოქტომბრის გზას“ არქმევენო. ვიფიქრე, რევოლუციის შემდეგ რამდენი ხალხი დაადგა ოქტომბრის გზასმეთქი. და თვითეული თავისებურად...

საღამო აფრქვევდა სურნელებით გაჟღენთილ სიგრილეს. ყველა მდუმარედ შეექცეოდა ჩაით სავსე ახალ-ახალ ფიალას. ტრაქტორი წავიდა. გზა წყვდიადმა მოიცვა. ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა, მაგრამ კვლავ მოდიოდნენ ცხენოსნები. ნაბიჯები აშრიალებდა სილას, წყვდიადში გუგუნებდნენ ტრაქტორები. გაისმოდა მხიარული, ახალგაზრდული, მაგარი ნჯღრევისაგან ჩახლეჩილი ხმები.

შემდეგ თურქმენეთის ნორჩ რესპუბლიკაში ჩამოდგა პირველი საკოლმეურნეო გაზაფხულის ღამე. თანდათანობით მინელდა ადამიანებისა და მანქანების ხმაური. ჩაიხანის პატრონი იჯდა სამოვრის ფეხთით და აკანტურებდა ძილისაგან დამძიმებულ თავს. სიცხისაგან გათანგული ხალხი ხანმოკლე ძილს მიეცა...

...ხანკოუს ყვავილები გაზაფხულზე ალერდივით მოედებიან მიდამოს. განსაკუთრებით ხშირფოთლოვანი ხდებიან და მძაფრი ფერებით იკაზმებიან ქრიზანტემები. მაგრამ ის ყვავილები, რომელიც ჩემს წინაშე ეწყო, იყო თეთრი, ანდა მთლად თეთრი. მათ გადაკროდათ ნაზი მოყვითალო ლიმონის ელფერი, რადგან ისინი იყვნენ მწუხარების ყვავილები, გარდაცვლილთა საჩუქრად მიტანილი ყვავილები.



მე ვნახე მშვიდი ზეცა, საიდანაც ჯერ კიდევ ილვრებოდა ნოემბრის შუადღის ალქატი სითბო, ვნახე ხეები, რომელთაც ისევ შერჩენოდათ ფოთლები, ვისმენდი ირგვლივ გამეფებულ დუმილს, ვისმენდი იმ მრავალ ადამიანთა დაძაბულ, საგულისხმიერო დუმილს, რომლებიც გულჩათხრობილნი შემოიკრიბნენ ერთ ადგილას და მდუმარედ იდგნენ მომცრო რიკულთან, მოედანზე, სადაც ეწყო თეთრი ქრიზანტემებით, ჯუჯა ტუიებითა და კვიპაროსებით დატვირთული ქილები.

მაგრამ მე შევყურებდი თეთრი მარმარილოს სვეტს, რომელზედაც გაშლილი იყო ფრთები ხუთქიმიანი ვარსკვლავით და მის ქვეშ ჩანდა დასაწყისი წარწერისა: საუკუნო დიდება...

სვეტის წინ აღმართულ ერთ-ერთ ფართო ქვის თასზე მივაყუდეთ ნაირ-ნაირი ფერებით აღაჟღაჟებული უზარმაზარი გვირგვინის რგოლი, რომლის გვერგვიდან გამოჩრილი იყო დაფნის ხეშეში ფოთლების მუქმწვანე ფარფლები. გვირგვინი დაკრული იყო ბამბუკის მოქნილ ჭოკებზე, რომლებიც ორივე მხრიდან ეყრდნობოდნენ მიწას.

ბევრ რამეს მეტყველებდა ეს თეთრ-სპეტაკი სვეტი, თუ რატომ არ იყო აქ მოსულ ადამიანთა მდუმარება ოფიციალური. მრავალი აზრი გაუელვებდა ადამიანს ამ ხანმოკლე გულჩათხრობილი ფიქრის წუთებში. ჩვენ ვიდექით სასაფლაოზე, სადაც ათწლეულლობით ასაფლავებდნენ ევროპელებს, რისთვისაც მას საერთაშორისო სასაფლაოს ეძახდნენ. ბებრუხანა იან-ძის ნაპირას გადაშლილ ამ მაგარ და მწირ მიწაში ელაგა უამრავი კონცესიის მმართველთა, ფაქტორიების მფლობელთა, მაღალი ხელფასის მაძიებელ ინჟინერთა, ჩინეთის



შიდა ბაზრებში გამდიდრებულ ნეგოციანტთა, გენერლებისა და მოხელეთა შემსყიდველი ბანკირების გვამები, ყველა ისინი, რომლებიც სამუდამოდ დასარჩენად როდი ჩამოდიოდნენ აქ, არამედ იმიტომ, რათა აქედან შინ წაეღოთ კოლონიებში მოხვეჭილი დიდი დოვლათი.

ფრთებიანი და ხუთქიმა-ვარსკვლავიანი თეთრსპეტაკი სვეტი აღმართული იყო იმ გმირ საბჭოთა მოხალისე — მფრინავების საფლავზე, რომლებიც დაიღუპნენ იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

ისინი დაიღუპნენ, იცავდნენ რა უხანის ამ ურჩ, თავისუფლებისმოყვარულ და მწირ მიწას და ამ უკიდეგანო, მძლავრ და თვალშეუდგამ იან-ძის, რომელზედაც დასრიალებს უამრავი ხომალდი და ტივი.

ცერემონია დამთავრდა. დავიშალენით ჩუმად, აუჩქარებლად. ერთმა ხანშიშესულმა ჩინელმა, ჭაბუკური და ცოცხალი თვალებით შემომხედა, და მითხრა: მე თვითონ ვნახე საჰაერო ბრძოლა 1938 წლის 28 აპრილს. ვხედავდი, თუ როგორ უახლოვდებოდა აღმოსავლეთიდან ჩვენს ქალაქს მრავალი იაპონური თვითმფრინავი. ისინი ჩვენი ზეცის ბატონ-პატრონებივით მოჰქროდნენ. მათ არაფრისა არ ეშინოდათ. მათი სამეულები უბრალოდ მოეშურებოდნენ დავალების შესასრულებლად, რომლის დროსაც არავითარ საფრთხეს არ მოელოდნენ. დედამიწაზეც სრული სიწყნარე იყო და აქედანაც არაფრის შიში არ ჰქონდათ. და მე, რომელიც ჩვეული ვიყავი უმწეო რისხვას, რაღაცამ გაოგნებულივით მიმაჯაჭვა ერთ ადგილას, თვალს ველარ ვაშორებდი იაპონელთა თვითმფრინავებს. და ანაზდად, თითქოს ზეცამ ყურადიღო ჩემი ლოცვა და ჩემი რისხვა, ღრუბლებიდან გაიელვეს თვითმფრინავებმა, რომლებიც წინათ არასოდეს არ მენახა. თავი სიზმარში მეგონა. აღარ ვიცი, რა იყო ეს: ირეოდა შუაგაპობილი ღრუბლები, თუ ზეცაში გამსკდარ შრაპნელთა ქულები, ან იაპონელთა აფეთქებული თვითმფრინავები მაგრამ ვხედავდი, თუ როგორ ცვივოდნენ მდინარეში ცეცხლწაკიდებული კუდებით იაპონელთა თვითმფრინავები, იქ ხერხემალი ემსხვრევოდათ და შემდეგ იძირებოდნენ.

მე ვითვლიდი, შმაგი სიხარულით ვითვლიდი, თუ რამდენი ჩამოვარდა. ათამდე დავითვალე. არა, კვლავ განაგრძობდნენ ჩამოვარდნას. კიდევ ხუთი, კიდევ სამი, კვლავ ორი, შემდეგ ერთი. როცა მოფრინდნენ — ორმოცდათოთხმეტი იყო, გაფრინდნენ და ოცდაცამეტი დარჩა მხოლოდ. ოცდაერთი თვითმფრინავი ჩამოჰყარეს ჰაერის ამ საკვირველმა მეომრებმა. გვინდოდა გაგვეგო, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვესალმებოდით ცოცხლებს, დავტიროდით მკვდრებს, როგორც ღვიძლ ძმებს. და ისინი მართლაც ჩვენი ძმები იყვნენ — ეს საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მშობლიურ ჩინეთს, ჩვენს ჩინეთს, მის თავისუფლებას. იცით, ჩვენ ყოველწლიურად დავდივართ აქ; მთელი ქალაქი აქ მოდის სამადლობელი გვირგვინებით...

— ოქტომბერი! მოსკოვი! მადლობა! — მითხრა მოხუცმა ჩინელმა და მაგრად ჩამოგვართვა ხელი.

ის, რაც რუსულად წარმოთქვა, შემდეგ აგვიხსნა; მადლობა უნდოდა ეთქვა მოსკოვისა და ოქტომბრის რევოლუციისათვის.

მე ვიდექი იან-ძის ნაპირას, მისი თვალშეუდგამი სიდიადით აღგზნებული. გამახსენდა პატარა ღელე: ყუბანი მიმდინარეობდა მშვიდ, ამწვანებულ ნაპირთა შორის; მომაგონდა ოცდამეათე წელი და ჩაიხანაც უდაბნოს საზღვართან, პირველი თურქმენი კოლმეურნეების საგაზაფხულო თესვაც, ის საღამოც და მშრომელთა დასვენებაც მქრქალ მომწვანო ჩაით სავსე ფიალასთან.

გავიხსენე ამბავი ჩინელი მოხალისეებისა, რომლებიც უტევდნენ რევოლუციის მტრებს მშობლიური ყუბანისათვის.

ვიდექი იან-ძის ნაპირას და გავყურებდი მდინარის მოელვარე სივრცეს, ძველთაძველი მიწა-წყლის სივრცეს, დიდი და მძლავრი ადამიანებით დასახლებული ქვეყნის სივრცეს, რომელთათვის არ არსებობს საზღვარი, არ არსებობს დრო-ჟამი, არამედ არის ძმობა და ეს ძმობა საბრძოლო ყიჟინაა თავისუფალი ადამიანის სადიდებლად, უდიდესი გზაა, რომელსაც ჰკაფავენ ხალხები მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

## დედას

შენს სიყვარულზე ლექსის დაწერა
არ იქნებოდა, არ გამებედა,
შენს თმებში ზუდე დაიდგეს წლებმა
და თეთრ ხალიჩას ქარგავენ, დედა.
ხედავ, დღეები როგორ მიჰქრიან,
ჭადრებს ფოთლები როგორ ცვივდება.
ეს ლექსი, დედა, შენზე ფიქრია,
რომ არ მასვენებს, რომ არ მცილდება.
მე არ მშორდება არც ერთი წამით
შენი ღიმილი ულამაზესი,
დედა, რამდენჯერ მთვარიან ღამით,
ძილში მიგრძვნია შენი ალერსი.
შენ შემაყვარე ვაჟას ლექსები,
ჩემს სულში შენი გრძნობის კვალია
და ზოგჯერ ლექსად თუ ვიკვესები,
დედა, ესეც ხომ შენი ბრალია.
დე, დავითოვლოთ დღეთა ფიფქებით,
გული გაუძლებს ამდენ სიხარულს
ჩვენ ხომ ყოველთვის ერთად ვიქნებით,
დრო ხომ ვერ მოჰკლავს დედის
სიყვარულს.
ლაჟვარდში შენი ღიმილი ვიცან,
ყველგან, ყოველთვის შენს თვალებს
ვხედავ,
შენ შემაყვარე სამშობლოს მიწა
და ასე, მიტომ მიყვარხარ დედა!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**





პ. ვასილიევი. ვ. ი. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძალაუფლება საბჭოებს — მშვიდობა ხალხებს!
(ფრაგმენტი)

მხატვრები: დ. ნალბანდიანი, ვ. ბასოვი, ნ. მესჩანინოვი,
ვ. პრიბილოვსკი, მ. სუზდალცევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. სოკოლოვ-სკალია. — ზამთრის სასახლის იერიში (ფრაგმენტი).

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს მილიონობით ადამიანები, დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შეხვდნენ დიად დღესასწაულს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავს.

ამ გვერდზე მოთავსებული მასალები გაგაცნობთ მხოლოდ ნაწილს იმ ადამიანებისას, რომლებმაც თავიანთი მიღწევები დიად თარიღს მიუძღვნეს.

## ქართული აბრეშუმი ბრიუსელში



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. აქ დამზადებული ქსოვილები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში იგზავნება და სათანადო მოწონებასაც იმსახურებს. ფაბრიკის საამქროებში ოცდაექვსი სახის ხუთას სამოცზე მეტი ფერის ქსოვილი მზადდება.

სამი წელიწადია, რაც ამ ფაბრიკაში მოვიდა ნუნუ ცერცვაძე. ახალგაზრდა ინჟინერ-ფეიქარმა მოსვლისთანავე ნაყოფიერად მოკიდა ხელი თავის საქმეს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს ახალგაზრდა სპეციალისტი ახალი მიღწევებით შეხვდა. მან დიად დღესასწაულს მიუძღვნა 6 სახის ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის ახალი კონსტრუქციის ქსოვილი. სათანადო შემოწმების შედეგად ცერცვაძის მიერ შექმნილი ნიმუშები საუკეთესო ხარისხის ქსოვილად იქნა აღიარებული.

1958 წლის აპრილში, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიხსნება მსოფლიო გამოფენა. აქ, საბჭოთა კავშირის პავილიონში, ჩვენი ქვეყნის სხვა მიღწევებთან ერთად გამოფენილი იქნება ნუნუ ცერცვაძის მიერ შექმნილი ქსოვილები.

## ახალი ფილმი საოქტომბროდ




ჩვენმა მაყურებელმა ნოემბრის დღეებში იხილა ახალი მხატვრული ფილმი „ქალის ტვირთი“, რომლის სცენარიც დაწერილია დიდი ქართველი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

ფილმის სცენარის ავტორი და დამდგმელი-რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი ქართველი მაყურებლებისათვის კარგად არის ცნობილი. მის მიერ შექმნილი კინოსურათები: „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“, „ისინი დაეშვნენ მთებიდან“, „აბეზარა“, საბჭოთა კინომაყურებლებში მოწონებას იმსახურებენ.

ახალი ფილმი ეხება 1905 წელს საქართველოში მომხდარ რევოლუციურ ძვრებს. მასში ძირითადად ნაჩვენებია ერთი ოჯახი, რომლის წევრების ბედით წარმოდგენილია ის დიდი სოციალური გარდატეხები, რომლებიც მოხდა ამ პერიოდის საქართველოში.

ახალ სურათში ჩვეული ოსტატობით ასრულებენ დაკისრებულ როლებს ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი კინომსახიობები ლია ელიავა, გიორგი შავგულიძე, ოთარ კობერიძე, იაკობ ტრიპოლსკი, გიორგი გეგეჭკორი, მარინე თბილელი, ალექსანდრე ომიაძე და სხვები.

აღსანიშნავია, რომ „ქალის ტვირთი“ ჩვენი რესპუბლიკის ეკრანებზე დეკემბრის პირველ რიცხვებში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ფილმის მთელმა დამდგმელმა კოლექტივმა სურათი ერთი თვით ადრე ჩააბარა წარმოებას და დიად თარიღს ახალი ფილმით შეხვდა.

## გურამი და ოქტომბერი



ეს სახენათელი ბიჭუნა გურამ სხირტლაძეა, თბილისის 1 საშუალო სკოლის I [1] კლასის მოსწავლე და, რა თქმა უნდა, ფრიადოსანი.

გურამი ჯერ პატარაა. მან ცოტა, ძალიან ცოტა იცის იმის შესახებ, რომ ეს ბედნიერი, ლაღი ცხოვრება მისმა წინაპრებმა შრომით და ბრძოლით მოიპოვეს.

სამაგიეროდ გურამმა შესანიშნავად იცის ლექსები სამშობლოზე, პარტიაზე, მშობლებზე, ყვავილებზე. ისიც იცის გურამმა, რომ მისი ვალი ხუთებზე სწავლაა.

როდესაც გურამი პირველ სექტემბერს დედამ სკოლაში მოიყვანა, დერეფანში გამოკრული დიდი თეთრი დაფა აჩვენა და აუხსნა:

— აი, აქ, გურამ, სწერია გვარები იმ სახელოვანი ქართველი ადამიანების, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობდნენ... — და დედამ წაუკითხა მას ყველა იმათი გვარი და სახელი. ზოგი მათგანი გურამისთვის ნაცნობი იყო, ზოგი კი პატარამ პირველად გაიგო.

იმის შემდეგ გურამი ხშირად ჩერდება დაფის წინ და დამარცვლით კითხულობს ხოლმე ოქროსფერ ასოებს.

ვინ იცის იქნებ მათ რიცხვს ამ პატარას გვარიც მიემატოს? ეს მომავლის საქმეა.

დღეს კი გურამ სხირტლაძე თავისი მიღწევით — ხუთებით ხვდება დიად დღესასწაულს.

## ელექტროლიტური დარკინება



უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ელექტროლიტური დარკინება, როგორც გაცვეთილი დეტალების აღდგენის ერთ-ერთი პროგრესული მეთოდი. ელექტროლიტური დარკინების პროცესი ჯერ კიდევ შესწავლის სტადიაში იმყოფება. მაგრამ პირველი მიღწევები ამ დარგში და, აგრეთვე, მისი ნაწილობრივი დანერგვა სარემონტო წარმოებებში გვიჩვენებს, რომ მას აქვს მთელი რიგი უპირატესობანი ზოგიერთი დეტალების აღდგენის დროს მეტალიზაციით ან ელექტრორკალური დადუღებით აღდგენასთან შედარებით.

ერთადერთი ნაკლი, რომელიც ხელს უშლიდა სარემონტო წარმოებებში ამ მეთოდის ფართოდ დანერგვას, იყო დარკინებული ფენის ძირითად ლითონთან დაბალი შეჭიდულება. სწორედ ამ საკითხის შესწავლას მოჰკიდა ხელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტმა გივი ალასანიამ. მის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ დეტალის ზედაპირის წინასწარი ქიმიური და ელექტროქიმიური შემზადების და, აგრეთვე, მისი შემდგომი თერმიული დამუშავების შედეგად შეიძლება მიღწეული იქნას დარკინებული ფენის ძირითად ლითონთან მაღალი შეჭიდულება, რაც სავსებით დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც სარემონტო წარმოება უყენებს დეტალების გაცვეთილი ზედაპირის აღდგენის ამა თუ იმ მეთოდს. ასპირანტი ალასანია მარტო ცდებით როდი დაკმაყოფილდა. მან სას. სამეურნეო ინსტიტუტის რემონტის კათედრის მითითებით დეტალების აღდგენის აღნიშნული მეთოდი დანერგა კიდეც თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში. ქარხანა ამჟამად ფართოდ იყენებს ელექტროლიტურ დარკინებას, რამაც მას საგრძნობი ეკონომია მისცა.

## შემოქმედის მიღწევები



„შავი ოქროს“ ქალაქი — ჭიათურა ახლო ხანში კიდევ ერთ ძვირფას საჩუქარს მიიღებს — ქალაქის ცენტრში დაიდგმება ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, კაცობრიობის ბელადის, ლენინის ძეგლი.

ძეგლის ავტორია ვალენტინ თოფურიძე. ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მოქანდაკე დიდი შემოქმედებითი მიღწევებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავს.

დიდი ქართველი მწერლისა და მოქალაქის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებს მან მიუძღვნა პოეტის პორტრეტი.

გარდა ამისა ვ. თოფურიძემ სანოემბროდ დაამთავრა მეორე დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ძეგლი, რომელიც თბილისში დაიდგმება.

# 1917 წლის 7 და 8 ნოემბერი



ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯონ რიდი (1887-1920) შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე იყო. სად არ ყოფილა იგითავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში: მექსიკაში — დაქირავებული მონების აჯანყების დროს აჯანყებულთა რიგებში იდგა. პატერსონში — გაფიცულ ფეიქართა მასაში ტრიალებდა. კოლორადოში — როკფელერის სამთომადნო მუშები შახტებიდან ამოვიდნენ და აღარ მოისურვეს უკან, მიწის ჯურღმულში დაბრუნება. ჯონ რიდი მათთან იყო. იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა და ჯონ რიდმა შემოიარა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბალკანეთი, იყო რუსეთშიც.

1917 წელს ჯონ რიდი ისევ ჩავიდა რუსეთში, სწრაფად აუღო ალღო საქმის ვითარებას და დაინახა, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღება ლოგიკური და უცილობელი იყო.

სავსებით ბუნებრივია, რომ ოქტომბრის დღეებში ჯონ რიდი რევოლუციურ მასებთან აღმოჩნდა. მას ყველგან ნახავდით: იქაც, სადაც ბარიკადებს აგებდნენ, იქაც, სადაც ლენინი ტრიბუნიდან ხალხს ელაპარაკებოდა და მას მქუხარე ოვაციით ეგებებოდნენ, ნახავდით ზამთრის სასახლის აღების დროს, ქალაქის სათათბიროში, სმოლნში, პეტროგრადის ქუჩებში... მან მასებთან ერთად განიცადა აჯანყების ღამის მთელი სიდიადეც. ყველაფერ ამაზე იგი გვიამბობს თავის წიგნში „10 დღე, რამაც შესძრა მთელი ქვეყანა“. „ეს წიგნი, — წერს ვ. ი. ლენინი, — მე მინდოდა მეხილა მილიონობით დაბეჭდილი და ყველა ენაზე თარგმნილი... იმის გასაგებად რა არის პროლეტარული რევოლუცია, რა არის პროლეტარიატის დიქტატურა“.

ჯონ რიდმა მთლიანად დაუკავშირა თავისი თავი რუსეთის რევოლუციას. საბჭოთა რუსეთი გახდა მისთვის მშობლიური და ახლობელი. იგი დაკრძალულია კრემლის კედელთან.

**ქვემოთ ვბეჭდავთ ნაწყვეტებს მისი წიგნიდან „10 დღე, რამაც შესძრა მთელი ქვეყანა“.**

## დროებითი მთავრობის დამხობა

ოთხშაბათს, 7 ნოემბერს მე ძალიან გვიან ავდექი. შუადღის მაუწყებელმა ქვემეხმა დაიქუხა პეტრეპავლეს სიმაგრედან, როცა ნევის პროსპექტზე მივდიოდი. ნოტიო, ცივი დღე იყო. სახელმწიფო ბანკის წინ დახურულ ჭიშკართან რამდენიმე ხიშტიანი ჯარისკაცი იდგა.

— რომელ ბანაკს ეკუთვნით? — ვკითხე მათ. — მთავრობისას?

— მთავრობა აღარ არსებობს, — მიპასუხა ერთმა მათგანმა ღიმილით. — მადლობა ღმერთს!

მისგან მხოლოდ ამის გაგება მოვახერხე...

ტრამვაი მოძრაობდა ნევის პროსპექტზე. მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები მტევნებივით იყვნენ დაკიდებული ვაგონის ყოველ ნაწილზე, რაზედაც კი ხელის ჩაჭიდება შეიძლებოდა. დუქნები ღია იყო, და ქუჩის ბრბოს უფრო ნაკლები შეშფოთება ემჩნეოდა, ვიდრე წინადღეს. აურაცხელი ახალი მოწოდება, მიმართული აჯანყების წინააღმდეგ, ერთ ღამეში ისე მოსდებოდა მთელ ქალაქს, როგორც ნაწვიმარზე სოკო. ეს იყო მოწოდებანი გლეხებისადმი, ფრონტის ჯარისკაცებისადმი, პეტროგრადის მუშებისადმი.

მორსკოის კუთხეში მე შევეჩეხე კაპიტან გომბერგს, მენშევიკ-ობორონეცს, თავისი პარტიის სამხედრო სექციის მდივანს. როცა მას შევეკითხე, ნამდვილად იყო თუ არა აჯანყება-მეთქი, მან დაღლილი ადამიანივით მხრები აიჩეჩა და მიპასუხა:

— ეშმაკმა იცის! მერე რა, ბოლშევიკებმა შეიძლება კიდევაც ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება, მაგრამ სამ დღეზე მეტს ვერ შეინარჩუნებენ. მათ ხალხი არა ჰყავთ მთავრობის შესადგენად. შეიძლება უკეთესიც იყოს საშუალება მივცეთ მათ ასეთი ცდა მოახდინონ. ეს ბოლოს მოუღებს მათ...

სმოლნის მასიური ფასადი გაჩირაღდნებული იყო, როდესაც ჩვენ მას ვუახლოვდებოდით, და იქითკენვე ყოველი ქუჩიდან მიედინებოდა ღამის სიბნელეში ძნელად გასარჩევ ადამიანთა ნიაღვარი.

ავტომობილები და მოტოციკლეტები წინ და უკან მოძრაობდნენ. უზარმაზარი რუხი ჯავშნოსანი კოშკურაზე ორი წითელი ზაირაღით, სმოლნის ეზოდან გამოძვრა და თან განუწყვეტლივ სირენას აზუზუნებდა.

ციოდა. და ჭიშკართან მდგომმა წითელგვარდიელებმა კოცონი გააჩაღეს. მეორე ჭიშკართანაც ენთო კოცონი, რომლის სინათლეზე გუშაგები აუჩქარებლად ამოწმებდნენ ჩვენს საშვებ დოკუმენტებს და თავით ფეხამდე გვათვალიერებდნენ. ბრეზენტის საფარები მოხსნილი ჰქონდა ოთხ ტყვიამფრქვევს, რომლებიც ყოველ შესასვლელთან იდგნენ. ბაღშიც, ხეების ქვეშ მრავალი ჯავშნოსანი იდგა და ამუშავებული მოტორების გუგუნით ირგვლივ ყველაფერი გაყრუებული იყო. გრძელ, დაცარიელებულ, მკრთალად განათებულ დარბაზებში საშინელი ხმაური იყო გამეფებული. ის-ის იყო დამთავრდა პეტროგრადის საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც მიიღეს რეზოლუცია: საბჭო მისალმებას უგზავნიდა პროლეტარიატის რევოლუციისა და პეტროგრადის გარნიზონის გამარჯვებას. საბჭო განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მასების ერთსულოვნებას ამ უმაგალითოდ უსისხლო და უმაგალითოდ წარმატებით ჩატარებულ აჯანყებაში.

ჩვენ შევედით სხდომათა დიდ დარბაზში, ძლივს გავაღწიეთ ხალხით გაჭედილ კარებში. სკამებზე თეთრი კანდელაბრების ქვეშ, გვერდითი გასასვლელებში, ფანჯრის რაფებსა და თვით ტრიბუნის კიდეზეც კი ისხდნენ მთელი რუსეთის მუშებისა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები. დაძაბულ სიჩუმეში გარინდულნი და უაღრესად ნერვებდაჭიმულნი ელოდებოდნენ თავმჯდომარის ზარს.

დარბაზი არ თბებოდა, მაგრამ ჰაერი შეხუთული და ცხელი იყო აქ თავშეყრილი უამრავი ხალხისგან. თამბაქოს უსიამოვნო შავმოიისფრო ბოლი მძიმედ ჩამოწოლილიყო შეკუმშულ ჰაერში.

დროდადრო რომელიმე ხელმძღვანელთაგანი ტრიბუნაზე ადიოდა და ამხანაგებს თხოვდა, პაპიროსს ნუ მოსწევთო. იმავე წუთას, ისინიც კი, რომლებიც სწევდნენ, მხარს უჭერდნენ განმცხადებელს და წამოიძახებდნენ: „ნუ სწევთ, ამხანაგებო!“ და... განაგრძობდნენ მოწევას.

ობუხოვის ქარხნის დელეგატმა ანარქისტმა პეტროვსკიმ თავის გვერდით მომისვა. წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანი, ძლივს იდგა ფეხზე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მუშაობაში გატარებული სამი უძილო ღამის შემდეგ. ტრიბუნაზე იყვნენ ძველი ცაკის მესვეურნი, რომლებიც კიდევ ერთხელ, მაგრამ უკანასკნელად წარმართავდნენ ბობოქარი საბჭოს სხდომას, საბჭოსას, რომელსაც რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მართავდნენ და რომელიც ახლა წინაღუდგა მათ.

ეს იყო რევოლუციის პირველი პერიოდის დასასრული, იმ პერიოდის, რომლის განმავლობაში ეს ადამიანები ცდილობდნენ რევოლუციის გაძღოლას რაც შეიძლება დიდი სიფრთხილით.

ნათ წინაშე იყო მძვინვარე და დაუცხრომელი სრულიადრუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა, მათ თავზემოთ კი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც ხელში ეპყრა აჯანყების სადავეები, სჭედდა გავარვარებულ რკინას, და ზუსტად იქ ურტყამდა, სადაც საჭირო იყო...

გახდა ღამის თერთმეტის ორმოცი წუთი, დიდ ხმაურსა და აურზაურში არჩეულ იქნა ახალი პრეზიდიუმი, რომელმაც ძველი ცაკის ნაცვლად დაიკავა ადგილი ტრიბუნაზე. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშის გრიალით მიეგება.

მაგრამ უეცრად დარბაზში ახალი ხმაური შემოიჭრა, უფრო ღრმა, ვიდრე ბრბოს ხმაური, დაჟინებითი, გულის შემშფოთებელი — ქვემეხთა გასროლის ყრუ აფეთქებანი. ხალხმა აღელვებით ფანჯრებისკენ გაიხედა, და მთელ დარბაზში დაძაბული ატმოსფერო ჩამოწვა.

მარტოვმა სიტყვა ითხოვა, და ხრინწიანი ხმით წამოიძახა: „სამოქალაქო ომი იწყება, ამხანაგებო!“

ვიდრე იგი ლაპარაკობდა და მოითხოვდა სამოქალაქო ომის აღკვეთის საშუალებათა გამოძებნას, ქვემეხები ყრუდ განაგრძობდნენ გუგუნს და დელეგატები ცხარედ ეკამათებოდნენ ერთმანეთს.

ასე, ქვემეხთა გრიალში, ღამის სიბნელეში, სიძულვილისა და შიშის ატმოსფეროში, — გასაოცარი გაბედულობის ატმოსფეროში იბადებოდა ახალი რუსეთი.

ჩვენ დავტოვეთ დარბაზი, მხოლოდ ცოტა ხნით შევჩერდით იმ ოთახში, სადაც გასაოცარი სისწრაფით მუშაობდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი — აქ ღებულობდნენ და აქედან აგზავნიდნენ აქოშინებულ შიკრიკებსა და სიკვდილ-სიცოცხლის უფლებით აღჭურვილ კომისრებს ქალაქის ყოველ კუთხეში — ყველაფერი ეს ხდებოდა განუწყვეტელ ხმაურში, ზარების წკარუნსა და ხმამაღალ ლაპარაკში. როცა გარეთ გამოვედით, ბაღი სმოლნის წინ ერთ უზარმაზარ გარაჟს წარმოადგენდა, საიდანაც გადიოდნენ და სადაც შემოდიოდნენ ავტომობილები; რომელთა ხმაურში დროდადრო კვლავ იჭრებოდა ქვემეხთა გუგუნი. ბაღში იდგა დიდი სატვირთო მანქანა, რომლის მოტორი მძლავრად მუშაობდა. მანქანაში რაღაც შეკრულ ქაღალდებს ჰყრიდნენ.

— სად მიდიხართ? — ხმამაღლა დავიყვირე სიბნელეში.

— ქალაქში, — მიპასუხა მუშამ ნერვიული ღიმილით.

ჩვენ საშვები ვაჩვენეთ.

— ჩვენთან ერთად წამოდით, — მიგვიპატიჟეს. — მაგრამ, ჩანს, სროლა იქნება.

ჩვენ მანქანაზე ავძვერით.

მანქანა დაიძრა და დიდი სისწრაფით წავიდა სუვოროვის პროსპექტით. ერთ-ერთმა მუშამ გახსნა ქაღალდების შეკვრა და დაიწყო მანქანიდან ფურცლებისა და გაზეთების გადაყრა. ჩვენც მოვეხმარეთ.

მე ავიღე ფურცლის ერთი ეგზემპლარი და ქუჩის ლამპის მკრთომარე შუქზე წავიკითხე რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვა, რომელიც იტყობინებოდა, რომ დროებითი მთავრობა გადაყენებულია და სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს ორგანოს ხელში, — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონსო.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ზამთრის სასახლეს, მით უფრო ხშირად გვხვდებოდა დაცარიელებული ქუჩები, და ქვემეხების სროლაც აღარ ისმოდა.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ მორსკოის ქუჩაზე მივდიოდით, ვიღაცამ წამოიძახა: „იუნკრებმა გვაცნობეს, მობრძანდით და სასახლიდან გამოგვრეკეთო“. გაისმა ბრძანებები, და უკუნ სიბნელეში ძლივს შევამჩნიეთ, შავი მასა როგორ დაიძრა წინ. რაც შეიძლება უხმაუროდ, — გაისმოდა მხოლოდ ფეხაკრეფილი ნაბიჯების ხმაური და იარაღის მოგუდული ჟღარუნი. ჩვენ პირველ რიგებს შევუერთდით.

ხალხის მასა შავ მდინარესავით ავსებდა მთელ ქუჩას, უსიმღეროდ და ყოველგვარი წამოძახილების გარეშე გავიარეთ წითელი თაღი. ჩემს წინ მიმავალმა კაცმა მითხრა: „ფრთხილად, ამხანაგო! მათი დანდობა არ შეიძლება! ისინი უთუოდ ტყვიას დაგვიშენენ“.

გავედით თუ არა გაშლილ ადგილზე, სირბილით წავედით, წელში მოხრილნი და ერთიმეორეზე მჭიდროდ მიკრულნი, ჯგუფ-ჯგუფად. მოულოდნელად გზა ცეცხლმა გადაგვიღობა და ალექსანდრიის სვეტის კვარცხლბეკთან შევჩერდით.

— ბევრია თქვენები მოკლული? — ვიკითხე.

— არ ვიცი. ერთ ათეულამდე იქნება...

ასე ვიყავით გაჩერებული რამდენიმე წუთს, სვეტს მიკრულნი. მერე რამდენიმე ასეული კაცისგან შემდგარმა რაზმმა გამბედაობა მოიკრიბა და ყოველგვარი ბრძანების გარეშე უეცრად ისევ დაიძრა წინ.

ამ დროს სინათლის შუქზე, რომელიც ზამთრის სასახლის ყველა ფანჯრიდან იფრქვეოდა, შევამჩნიე, რომ პირველი ორი თუ სამი ასეული კაცი წითელგვარდიელები იყვნენ, მათ შორის გარეული იყო ჯარისკაცთა ცალკეული ფიგურებიც. ჩვენ გადავძვერით ბარიკადზე, რომელიც დაპობილი შეშისგან იყო აღმართული და, როცა მეორე მხარეზე ჩავხტით, მხიარულად შევყვირეთ, რადგან აქ წავაწყდით იუნკრების მიერ მიტოვებული თოფების გროვას. მთავარი ალაყაფის კარების მხრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ასე შევედით ზამთრის სასახლის წინა ოთახებში. იუნკრებმა იარაღი დაყარეს... ჩვენს წინ ერთიმეორეზე გაატარეს ექვსიოდე კაცი, რომელთაც ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვათ — ესენი იყვნენ დროებითი მთავრობის წევრები. მათ მდუ-

ზარედ გაიარეს, გამარჯვებულნი გაბოროტებული უყურებდნენ მათ და გაისმა რამდენიმე მრისხანე შეძახილიც. შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ ქუჩაში ხალხმა კინაღამ თვითგასამართლება მოუწყო მათ, გაისროლეს კიდევაც, მაგრამ მეზღვაურებმა დაიცვეს პატიმრები და მშვიდობიანად მიიყვანეს პეტრეპავლეს სიმაგრეში.

ბოლოს მოვხვდით წითელფარდებიან მალაქიტის პალატაში, რომელიც ოქროთი ბზინავდა. აქ მინისტრები მთელი ეს დღე და ღამე თათბირობდნენ. ლურჯი მაუდით გადაფარებული გრძელი მაგიდა იმავე მდგომარეობაში დაგვხვდა, როგორც ის დასტოვეს მინისტრებმა დაპატიმრების შემდეგ. ყოველი დაცარიელებული სავარძლის წინ მაგიდაზე ეწყო კალამი, მელანი და ქაღალდი. ქაღალდზე მოხაზული იყო სავარაუდო გეგმები, პროკლამაციები და მიმართვები. მეტწილად ყველა ისინი გადახაზული იყო იმისდა მიხედვით, რაც თანდათან ცხადი ხდებოდა მათი გამოუსადეგრობა. ფურცლის დანარჩენ ნაწილზე დახაზული იყო ფიქრში წასული ადამიანის მიერ ნაჯახირევი გეომეტრიული ფიგურები იმის შესაბამისად, თუ რაოდენ ქიმერიულ გეგმას წამოაყენებდა ესა თუ ის მინისტრი დანარჩენების განსასჯელად. მე ავიღე ერთი ასეთი დახაზული ფურცელი, რომელიც, ვფიქრობ, კონოვალოვს ეკუთვნოდა, რამდენადაც მის ხელს ვიცნობდი, და წავიკითხე:

„დროებითი მთავრობა მიმართავს ყველა კლასებს მოწოდებით მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას“...

საგულისხმოა, რომ, თუმცა ზამთრის სასახლე გარშემორტყმული იყო, დროებით მთავრობას მაინც მუდმივი კონტაქტი ჰქონდა ფრონტთან და რუსეთის პროვინციებთან. ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ დილით ადრე ხელში ჩაიგდეს სამხედრო სამინისტრო, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ სასახლის სხვენზე არსებობდა სამხედრო სატელეგრაფო ბიურო, ასევე არ იცოდნენ კერძო სატელეფონო ხაზის არსებობა, რომელიც ამ ბიუროს ზამთრის სასახლესთან აკავშირებდა. სხვენზე მთელი დღე იჯდა ერთი ახალგაზრდა ოფიცერი და მთელს რუსეთში აგზავნიდა დროებითი მთავრობის მოწოდებებსა და პროკლამაციებს, მაგრამ, როცა გაიგო, რომ სასახლე დაეცა, ქუდი დაიხურა და მშვიდად დასტოვა შენობა...

ჩვენ გამოვედით ღამის წყვდიადში. ცივი ჰაერი ალსავსე იყო სიბნელეში მოძრავი ჯარების ხმაურით. მდინარის მხრიდან, იმ ნაპირიდან, სადაც ძლივს მოჩანდა პეტრეპავლეს სიმაგრე, გაისმოდა ხმაჩახლეჩილი ყვირილი... ფეხებქვეშ, ტროტუარზე, სასახლისგან ჩამომტვრეული კირქვის ნატეხები ეყარა. სასახლის კუთხეს კრეისერ „ავრორადან“ გასროლილი მხოლოდ ორი ყუმბარა მოხვედროდა. ეს იყო ერთადერთი ზიანი, რომელიც დაბომბვამ გამოიწვია...

დილის 5 საათი და 17 წუთი იყო, როცა კრილენკო, რომელიც დაღლილობისგან ძლივს მიათრევდა ფეხებს, ტრიბუნაზე ავიდა ტელეგრამით ხელში:

— ამხანაგებო! ჩრდილოეთ ფრონტიდან! მე-12 არმია უგზავნის მისალმებას საბჭოების ყრილობას და გვამცნობს, რომ შექმნილია სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ ფრონტს!

ადამიანისთვის ძნელად წარმოსადგენია, თუ რა მოხდა ამ დროს. ხალხი ტიროდა, დიდი თუ პატარა ერთმანეთს ეხვეოდა.

## გაბედულად გავსწიოთ წინ!

8 ნოემბერი, ხუთშაბათი. დილიდანვე ქალაქი საშინელი მღელვარებითა და შეშფოთებით იყო მოცული, და მთელი ქვეყნის ცხოვრება აზვირთებული ბობოქრობდა.

გარეგნულად ყველგან სიმშვიდე იყო. ასეულმა ათასმა პიტერელმა ადრე დაიძინა, მეორე დილით ადრიანად გაიღვიძა და თავის სამუშაოს მიაშურა. პეტროგრადში მოძრაობდა ტრამვაი, ღია იყო მაღაზიები, რესტორნები, თეატრებში სპექტაკლები მიდიოდა, ეწყობოდა სურათების ახალი გამოფენები, ჩვეულებრივი ცხოვრების მთელი რთული რუტინა, რომელსაც ომის დროსაც არ შეუცვლია თავისი ტემპი, ჩვეულებრივ მიმდინარეობდა.

ქალაქში ხმა დაირხა, კერენსკიმ ფრონტიდან სამხედრო ნაწილები დასძრა და დიდძალი ჯარით დედაქალაქზე მოდისო. ერთიმეორეზე გამოდიოდა ბრძანებები, მოწოდებები სრულიადრუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის, ქალაქის სათათბიროსი, პირველი ყრილობის ცაკის, სოციალისტ-რევოლუციონერების, მენშევიკების, სახალხო სოციალისტებისა და სხვების და სხვების, და ყოველი მათგანი ერთიმეორეს საწინააღმდეგოს ამცნობდა და უბრძანებდა მოქალაქეებს.

...სრულიადრუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის სხდომა უნდა დაწყებულიყო პირველ საათზე, ერთი საათით ადრე კი სხდომათა დიდი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. მაგრამ შვიდი საათი გახდა და პრეზიდიუმი ჯერ არსად ჩანდა. ბოლშევიკების ფრაქცია და მემარცხენე ესერების ფრაქცია თავთავიანთ სხდომებს ცალ-ცალკე ატარებდნენ. ნაშუადღევის შემდეგ მთელი დრო, რომელსაც თითქოს დასასრული არ უჩანდა, ლენინი ებრძოდა კომპრომისის წინადადებას. ბოლშევიკების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობის მომხრე იყო, რამდენადაც ლაპარაკი გაერთიანებული სოციალისტური მთავრობის შექმნას ეხებაო.

— ჩვენ ფეხს ვერ მოვიკიდებთ, — გაიძახოდნენ ისინი. — ჩვენს წინააღმდეგ დიდი ძალაა დაგროვილი, ჩვენ ხალხი არა გვყავს, იზოლირებული აღმოვჩნდებით და ყველაფერი დაიღუპება.

ასეთ არგუმენტებს აყენებდნენ კამენევი, რიაზანოვი და სხვ. მაგრამ ლენინი თავისაზე სალი კლდესავით ურყევად იდგა.

— დაე შემთანხმებლებმა მიიღონ ჩვენი პროგრამა და მაშინ შეუძლიათ შემოვიდნენ მთავრობაში. ჩვენ ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ. მაგრამ თუ ისეთი ამხანაგები არიან, რომელთაც გამბედაობა და ნებისყოფა არ შესწევთ მოიქცნენ ისე, როგორც ჩვენ ვიქცევით, — დაე, ასეთები გაჰყვნენ დანარჩენ ლაჩრებსა და შემთანხმებლებს. ჩვენ კი მუშებისა და ჯარისკაცების მხარდაჭერით განვაგრძობთ ჩვენს საქმეს.




...ცხრას ოცი წუთი აკლდა, როცა აპლოდისმენტების გრიალით შეეგებნენ სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმის გამოჩენას. პრეზიდიუმის წევრებს შორის იყო ლენინი — დიდი ლენინი.

ტანდაბალი, მკვრივი ფიგურა, მხრებზე დაბლა დამჯდარი დიდი მელოტი და გამობურცული თავი, წვრილი თვალები, მომრგვალებული ცხვირი, გაშიერი კეთილშობილური ბაგეები და მძიმე ნიკაპი; სუფთად შეკრეჭილი მისი წვერი უკვე ოდნავ აბურძგნილიყო. უბრალო კოსტიუმი ეცვა განიერი გრძელი შარვლით, და სრულებით არ სტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ეს ადამიანი მართლაც ხალხის სათაყვანო იყო, იმდენად სათაყვანო და საყვარელი, რომ ისტორიაში თითქმის არავინ ღირსებია ესოდენ უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას. ასეთი იყო ეს უცნაური სახალხო ბელადი, ბელადი განსაკუთრებული ინტელექტის სიძლიერით, ბელადი, რომელსაც არ შეეძლო კომპრომისებზე წასვლა, ადამიანი ობიექტური და მიუკერძოებელი; მისი ორატორული გამოსვლები მოკლებული იყო ყოველგვარ გარეგნულ შელამაზებას, მაგრამ იგი აღჭურვილი იყო უდიდესი უნარით მარტივად აეხსნა ღრმა იდეები და ანალიზი გაეკეთებინა კონკრეტული სიტუაციისთვის, იგი ამასთანავე დაჯილდოებული იყო გონებამახვილური დიპლომატიის დიდი ნიჭითა და უდიდესი ინტელექტუალური გამბედაობით.

სხდომაზე წაკითხულ იქნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი:

ჯარში სიკვდილით დასჯის მოსპობა, თავისუფალი პროპაგანდის დაშვება, პოლიტიკური დანაშაულისთვის დაპატიმრებული ოფიცრებისა და ჯარისკაცების გათავისუფლება. ბრძანება კერენსკის დაპატიმრებისა და კერძო საწყობებში სურსათის მარაგის კონფისკაციის შესახებ... (ტაშის გრიალი).

ამის შემდეგ გამოვიდა ბუნდის წარმომადგენელი:

— ბოლშევიკების უარი შეთანხმებაზე რევოლუციის დამხობას ნიშნავს, ამიტომ ბუნდის დელეგატები იძულებული არიან უარი თქვან ყრილობის მუშაობაში შემდგომ მონაწილეობაზე.

კრებამ ყვირილით უპასუხა:

— ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ უკვე გუშინღამ წახვედით! კიდევ რამდენჯერ უნდა წახვიდეთ?

მერე გამოვიდა მენშევიკ-ინტერნაციონალისტების წარმომადგენელი რომელსაც ყიჟინით შეხვდნენ:

— რაო! თქვენ ისევ აქა ხართ?

ორატორმა განმარტა, რომ მენშევიკ-ინტერნაციონალისტების მხოლოდ ნაწილმა დასტოვა ყრილობა, დანარჩენები ვრჩებითო.

— ჩვენ საშიშროებად, შეიძლება ითქვას, მომაკვდინებლად მიგვაჩნია რევოლუციისთვის საბჭოებზე ხელისუფლების გადაცემა, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ვალია ყრილობაზე დავრჩეთ და ხმა მივცეთ აქ ხელისუფლების გადაცემის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ გამოვიდნენ სხვა ორატორები, — როგორც ჩანდა, ყოველგვარი წესრიგის გარეშე. დონეცის ბასეინის სამთო მუშების დელეგატი მოუწოდებდა ყრილობას ზომები მიეღო კალედინის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო დედაქალაქისგან მოეწყვიტა ქვანახშირი და სურსათ-სანოვაგე. ზევრმა ჯარისკაცმა, რომლებიც სულ ახლახან ჩამოსულიყვნენ ფრონტიდან, თავისი პოლკებისგან ყრილობას გადასცა ენთუზიაზმით აღსავსე მისალმებანი.

ამათ შემდეგ ლენინი გამოვიდა, ორთავე ხელი მაგრად ჩასჭიდა მაგიდის კიდეებს და თავისი პატარა თვალებით ხალხს ათვალიერებდა. ასე იდგა იგი და ელოდა; ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ჩანდა, დაუსრულებელ ოვაციას, რომელმაც რამდენიმე წუთს გასტანა. როცა ოვაცია მიწყნარდა მან უბრალოდ თქვა:

— ჩვენ ახლა შევუდგებით სოციალისტური წყობილების მშენებლობას.

მის ამ ნათქვამს კვლავ ტაშის გრიალით და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდნენ.

— პირველ რიგში მიღებული უნდა იქნას პრაქტიკული ზომები მშვიდობის დასამყარებლად... ჩვენ უნდა შევთავაზოთ ზავი ომში ჩაბმულ ყველა ქვეყანას საბჭოთა პირობების საფუძველზე — უანექსიოდ, უკონტრიბუციოდ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით. ამავე დროს, თანახმად ჩვენი დაპირებისა, ჩვენ უნდა გამოვაქვეყნოთ საიდუმლო ხელშეკრულებანი და უარი ვთქვათ ასეთი ხელშეკრულებების დადებასა და დაცვაზე... საკითხი ომსა და მშვიდობაზე იმდენად ნათელია, რომ, ჩემის აზრით, შეიძლება ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე წავიკითხოთ ყველა მეომარი ქვეყნის ხალხთა მიმართ პროკლამაციის პროექტი.

მისი დიდი პირი, რომელიც თითქო იღიმებაო, ფართოდ იღებოდა, როცა იგი ლაპარაკობდა. მას ხმაჩახლეჩილობა ემჩნეოდა, მაგრამ არა უსიამოვნო, არამედ თითქო მრავალი წლის ორატორული პრაქტიკით შემუშავებული, და ეს ხმა ისე ზომიერად ჟღერდა, გეგონებოდათ დაუსრულებლად შეეძლო ასე ეჟღერა... რომელიმე წინადადებისთვის რომ ხაზი გაესვა, იგი ოდნავ გადაიხრებოდა წინ. ჟესტიკულაციას არასოდეს არ მიმართავდა.

მის წინ კი ათასობით უბრალო სახეები იყო, რომლებიც სიყვარულითა და მოწიწებით, მაღლა თავაწეულები შესცქეროდნენ თავის ბელადს.

წაკითხულ იქნა მიმართვა ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობებისადმი.

როცა აპლოდისმენტის ქუხილი შეწყდა, ლენინმა ლაპარაკი განაგრძო:

— ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყრილობას რატიფიცირებულ იქნას ეს დეკლარაცია: ჩვენ მთავრობებს იმდენადვე მივმართავთ, რამდენადაც ხალხებს, ვინაიდან მოლაპარაკებას, რომელიც მიმართული იქნებოდა მხოლოდ ომში ჩაბმული ქვეყნების ხალხებისადმი, შეეძლო შეეგვიანებინა მშვიდობის დამყარება...

24-25 ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო სოციალური რევოლუციის ერა... მუშათა მოძრაობა მშვიდობისა და სოციალიზმისთვის გაიმარჯვებს და შეასრულებს თავის დანიშნულებას“...

ყოველივე ამაში იყო რაღაც მშვიდი და მიმზიდველი, რაც გულში სწვდებოდა ადამიანს. ადვილი გასაგები იყო, რატომ სჯეროდა ხალხს, როცა ლენინი ლაპარაკობდა!

ზუსტად თერთმეტის ოცი წუთი იყო, როცა დელეგატებმა თავისი სადელეგატო წიგნაკები ასწიეს წაკითხული მიმართვის მხარდასაჭერად. მხოლოდ ერთმა დელეგატმა ის იყო საწინააღმდეგოდ ასწია ხელი, მაგრამ აღშფოთებულმა ხალხმა იხუვლა და მისი ხელი უმალ დაეშვა.

მიმართვა ერთხმად იქნა მიღებული.

უცბად, თითქოს ყოველ ჩვენგანს რაღაცამ უბიძგაო, ყველანი ფეხზე აღმოვჩნდით და დავაგუგუნეთ გამამხნევებელი „ინტერნაციონალი“. ძველი ჭაღარამოსილი ჯარისკაცი ბავშვივით ქვითინებდა. ალექსანდრა კოლონტაი მალმალე აფახურებდა თვალებს, რომ ცრემლები არ წასკდომოდა. „ინტერნაციონალის“ მძლავრი ხმა გაისმოდა დარბაზში, ფანჯრებით და კარებით მიედინებოდა გარეთ და ზეცას სწვდებოდა.

# ინტერნაციონალური [illegible] [illegible] მანდატით

**ი. მუხაძე**

დასრულდა ვალსის უკანასკნელი ტაქტები ოფიცერთა საკრებულოში. წავიდწამოვიდნენ სტუმრები. დაიხურა საზაფხულო ბაღის „პალასის" რესტორანი. ჩაქრა ფარნები ბულვარში. მიწყნარდა ალექსანდროვის პროსპექტი, ადამიანის ჭაჭანება არსად ისმის. სამიკიტნოები და ქუჩები დაშოშმინდა მოქეიფეთა ღრიანცელისგან, სძინავს ვლადიკავკავს. მადლობა ღმერთს, განვლილია ერთი დღეც — 1917 წლის 20 მაისი.

ვერ ისვენებს მხოლოდ რედაქცია „ტერეკის" მოხუცი დარაჯი. გულკეთილად ბუზღუნებს თავის საყვარელ მიროხიჩზე და კვლავინდებურად წვრილწვრილად სჭრის მკვარს სამოვრის გასაჩაღებლად. აბა, რა გემო აქვს სტუმართან საუბარს, თუ ჩაით არ გაუმასპინძლდები.

კიროვს აღარ სჭირდებოდა მოულოდნელი მოკლე-მოკლე კითხვებით, მწვავე რეპლიკებით, სახისა და თვალების გამომეტყველებით ნოეს წაქეზება. თვით ბუაჩიძეს ახლა რატომღაც სურდა, რომ ამ ადამიანს, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ გაიცნო, გაეგო მისი ცხოვრება, ყველაფერი გაეგო და შეეფასებინა. კარგი იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოსწონებოდა კიდეც!

...1906 წლის დასასრული. საჭირო იყო ვლადიკავკავიდან სასწრაფოდ გადაბარგება. რაღაც ძალიან მოუხშირეს ბუაჩიძის თვალთვალი. მათი ცნობისმოყვარეობა იქამდე მიდიოდა, რომ არა ერთხელ შეიხედეს მუდამ ატალახებულ, დაჭაობებულ ილინის ქუჩაზე მდებარე № 27 სახლის ეზოში, სადაც ბუაჩიძე ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში ოსიპოვების ბინაზე. ერთმა ვიღაცამ თავაზიანად ურჩია კიდეც დიასახლისს აეჭედა მეორე ჭიშკარი, რომელიც თერგის უკაცრიელ ნაპირზე გადიოდა: ქურდბაცაცები დაძვრებიან და თქვენი მობინადრე, რომელიც, მგონი, გვიან ბრუნდება ხოლმე შინ, კი არ გაძარცვონო...

ნაცნობმა ინგუშებმა გადაიყვანეს იგი მთებზე და გროზნოში გაისტუმრეს.

მაგრამ ნოე გროზნოშიაც ვერ გაჩერდებოდა. სულ ახლახან პოლიციამ გაჩხრიკა მასწავლებელ ბაქრაძისა და ინჟინერ ყარაყაშვილის ბინები. ეჭვმისატანი ვერაფერი იპოვეს, მაგრამ ორთავე მაინც დააპატიმრეს. რატომ ორთავე ერთბაშად? უთუოდ, გეში აიღეს გროზნოში მომუშავე ბოლშევიკების ჯგუფზე.

მალე ამ არასასიამოვნო ამბების შემდეგ მოსკოვში ცნობილ წიგნის მაღაზიაში „სან-რემოში" შეიარა სამხრეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა შეძლებულმა თავადმა ივანე სამსონის-ძე აბულაძემ. იგი ეძებდა რაღაც იშვიათ, მისთვის მეტად მნიშვნელოვან წიგნებს, ამიტომ თან ჰქონდა წამოღებული სარეკომენდაციო წერილი. სამწუხაროდ, წერილი არა მაღაზიის პატრონის სახელზე იყო, არამედ გამყიდველ როზა შაბალინის სახელზე. მისი კეთილი ნაცნობი, ქართველი პოეტის და, ქალთა სამედიცინო კურსების სტუდენტი ბარბარე გაფრინდაშვილი თხოვდა როზას უყურადღებოდ არ დაეტოვებინა რუსეთში პირველად ჩასული სიმპათიური ქართველი ახალგაზრდა.

როზა შაბალინა — კოხტა შავთვალწარბა გოგონა ყოველმხრივ შეეცადა დახმარება გაეწია ახალგაზრდა ვაჟისთვის, მაგრამ იმ დღეს მხოლოდ ორიოდე წიგნის გამოძებნა შესძლო. ახალგაზრდა ქართველმა თავადმა მადლობა გადაუხადა როზას და სთხოვა. მაინცდამაინც ძალიან ნუ შეწუხდებითო, მე სიამოვნებით კიდევ შემოვივლიო, როდის? ხვალ საღამოთი.

საჭირო აღმოჩნდა კიდევ უფრო იშვიათი წიგნები. ბატონი აბულაძე მაღაზიის პატრონს გაეცნო; მისი მუდმივი კლიენტი გახდა. ზოგჯერ იგი თავს ნებას აძლევდა კოლოფით კამფეტი და ყვავილების თაიგული მოეტანა. როზას სიამოვნებისგან ნაზი სახე აუწითლდებოდა ხოლმე.

გაიარა რამდენიმე კვირამ. იგივე ბარბარე გაფრინდაშვილი სამწუხარო ამბით მოვიდა — საშინელი გაუგებრობა მომხდარიყო. თავადი ივანე დაუპატიმრებიათ. იგი ბუტირკაშია. ნახვის ნებართვის გამოთხოვა, ისიც დიდი ვაივაგლახით, შეიძლება, მაგრამ ამ ნებართვის მიღება შეუძლია მხოლოდ საცოლეს.

როზა დადიოდა პატიმრის სანახავად. აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, თუ იგი და აბულაძე ერთსა და იმავე იატაკქვეშელ ბოლშევიკების ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ როზა მეტისმეტად ხშირად დადიოდა ბუტირკაში, მეტისმეტად აჩქარებით შედიოდა ხოლმე ოთახში, სადაც პატიმარი აბულაძე ელოდებოდა და თვალები მეტისმეტად ეცრემლებოდა. რა გაეწყობა, მას სულ ახლახან 22 წელი შეუსრულდა, თავადი ივანე კი რაღაც ოთხიოდე წლით თუ იყო უფროსი.

საქართველოში კი, ჭიათურაში, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ბუაჩიძემ მიიღო უმცროსი ძმის სამუელის ბარათი. ის შემოვლილი გზით, ფოსტის გვერდაქცევით მოვიდა, მაგრამ ყოველი წინადადება მაინც დიდი სიფრთხილით იყო დაწერილი. ვიღაც ნოე რკინის გალიაშია ჩამწყვდეული, მან თავი გამოაცხადა მაწანწალად, ამქვეყნად არავინ მაბადიაო, ეგ პასპორტი კი, მე რომ ჩამომართვით, ფოთში ვიპოვე ნავსადგურზეო. მას, რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს და პასპორტი აბულაძის სახელზე თვით ნოეს ფოტოსურათთან ერთად ქუთაისში გადაგზავნეს შესამოწმებლად. ამ ბარათზე პასუხი სასწრაფოდ გაგზავნილი უნდა ყოფილიყო წიგნის მაღაზიის „სან-რემოს" მისამართით, როზალია შაბალინას სახელზე.

ნიკოლოზ ბუაჩიძემ გამოძებნა საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს რეგისტრატორთან შუა კაცები. რეგისტრატორს სრულიად შემთხვევით ძალიან სჭირდებოდა ფული — საკმაოდ დიდი თანხა. ბუაჩიძესაც ასევე სრულიად შემთხვევით სურდა ხელში ჩაეგდო აბულაძის პასპორტი და ვიღაც ნოეს ფოტოსურათი. შეთანხმდნენ. ნიკოლოზ ბუაჩიძე სასწრაფოდ გაემგზავრა მოსკოვს, როზას მეშვეობით აცნობა ნოეს, რომ ბუტირკიდან გაგზავნილი შეკითხვა აბულაძის პასპორტსა და ნოეს შესახებ მოსპობილია.

ორთა ბრძოლა ნოესა და მოსკოვის ჟანდარმთა სამმართველოს გამომძიებელს შორის, ასე ვთქვათ, ფრედ დამთავრდა. ნოემ ვერ დაარწმუნა გამომძიებელი თავის მაწანწალობაში, გამომძიებელმა კი ვერასგზით ვერ გამოიძია, თუ ვინ იყო ნამდვილად აბულაძე. ყოველი შემთხვევისთვის სასამართლომ მას ოთხი წლის კატორღა და სამუდამოდ გადასახლება მიუსაჯა.

ნოეს ვოლოგდის საპყრობილეში უკრეს თავი. ვოლოგდაში დაუყოვნებლივ გაემგზავრა შაბალინა. იგი დაუკავშირდა ბოლშევიკურ ორგანიზაციას. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, გაქცევისთვის ყოველგვარი პირობა იყო შექმნილი. კიდევ რამდენიმე საათი და ნოე თავისუფალი იქნებოდა, საყვარელი ადამიანის გვერდით...

რამ ჩაშალა ყოველივე — კაცმა არ იცის. ნოეს სცემეს, ბორკილები დაადეს, იზოლატორში ჩააგდეს. ამას დაემატა ისიც, რომ ნოემ არაფერი იცოდა, რა მოუვიდა როზას, ცოცხალი თუ მაინც გადარჩა? და ესეც საშინლად სტანჯავდა მას.

...1910 წელი. ვოლოგდის საკატორღო საპყრობილის უფროსი დიდად უკმაყოფილო უსმენდა ექიმის პატაკს. ვინ იფიქრებდა, რომ იზოლატორში ამდენხანს გამომწყვდეული ეს ქართველი აბულაძე, რომელმაც გარდა ხმელი პურისა და ცხელ წყალში გალესილი აშმორებული ფეტვისა, სხვა საჭმელი არაფერი იცოდა, კიდევ პარტახტიან და სახად ტიფსაც გადაიტანდა, და მერე ფილტვების ანთებასაც.

უფროსმა მოაგონა, რომ ამ ოთხიოდე დღის წინ აბულაძე უიმედო ავადმყოფთა რიცხვს ეკუთვნოდა. ექიმმა კვლავ დაუდასტურა, რომ მედიცინის ყველა კანონის მიხედვით პატიმარი აუცილებლად უნდა მომკვდარიყო, და პირდაპირ გასაოცარია, ამ კაცმა როგორ დააღწია თავი სიკვდილსო. თუმცა — დაუმატა მან, — დიდხანს მაინც ვეღარ გასტანს, მარტო ძვლებიღა არისო...

ბორკილებში აღარ ჩაჭედეს ნოე, ძალზე გამხდარი და ღონემიხდილი იყო. გვერდიდან გვერდზე გადაბრუნებაც კი თავისით აღარ შეეძლო.

ბოლოს კატორღა გადასახლებით შეუცვალეს და იაკუტიის ერთ-ერთ შორეულ, მიყრუებულ სოფელში გადაგზავნეს. ეს ბევრად ამსუბუქებდა მდგომარეობას. აქედან უფრო შესაძლებელი იყო გაქცევა...

კვლავ საქართველო, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, მაზრის ცენტრები, ათეული სოფლები. ნოე ჩვეული ენერგიით უშიშრად ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა მას. ნოე წერს პროკლამაციებს, გამოდის საიდუმლო შეკრებებზე, მიწასთანასწორებს ლიკვიდატორებს, კავშირს ამყარებს ლენინთან, გადადის ქალაქიდან ქალაქში, ეძებს საჭირო ადამიანებს. და ყოველივე ამას აკეთებს დიდი რისკით, რადგან სულ ადვილად შეიძლებოდა ყოველ ნაბიჯზე წაწყდომოდა პროვოკატორს, თანამოაზრეებს კი პირადად არ იცნობდა, რადგან ყველაფერი ეს ხდებოდა იმ გუბერნიაში, სადაც ბუაჩიძე 1905 წელს აიარაღებდა მეფის ჯარებს, მემამულეებს ართმევდა მიწებს, მოუწოდებდა მშრომელ ხალხს მეფის ტახტის დასამხობად.

1911 წლის შემოდგომაზე ბათუმში ჯაშუშებმა ნოეს კვალს მიაგნეს, — იგი გემს ელოდებოდა საზღვარგარეთ წასასვლელად. მან მიატოვა ხელბარგი, გაიქცა და ნოვოროსიისკითა და ოდესით თურქეთში გადავიდა. აქედან სოფიაში მოხვდა. სადაც გიორგი დიმიტროვი და ბულგარეთის სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები გაიცნო. მათი დახმარებით იგი ერთ-ერთი დიდი მამულის მოურავად მოეწყო. ამ გარემოებამ დროებით იხსნა ბუაჩიძე პოლიციის მომაბეზრებელი ყურადღებისა და ლუკმა პურისთვის ზრუნვისგან. დიმიტროვი სულ უფრო და უფრო სერიოზულ დავალებებს აკისრებდა ბუაჩიძეს. გურიელის ფსევდონიმით ნოე აქვეყნებდა სტატიებს. იგი ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ ბურჟუაზიის საამებლად „დღითი დღე ათეული ათასი ახალგაზრდა, ჯანსაღი ადამიანი თავისი გვამებით ჰფენდნენ კარპატების კალთებსა და ჰალიციის, საფრანგეთის, მცირე აზიის მინდვრებს, თავისი სისხლით ღებავდნენ ნემანის, ვისლის, სენის წყლებს..."

ფინალი იგივე იყო — დაპატიმრება, სოფიის საპყრობილეში დამწყვდევა, გაქცევა

ასე მოხვდა ბუაჩიძე შვეიცარიაში. ჟენევაში მან ლენინი გაიცნო.

— შეხვედრები, მიწერ-მოწერა ვლადიმერ ილიჩთან, მეცადინეობა მის წრეში — ეს მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. — მტკიცედ თქვა ნოემ.

— ეს კი მართლაც შეგშურდება ადამიანს, — გამოეხმაურა კიროვი.

...ინათა მტრედისფრად, მზის პირველმა სხივებმა შემოანათეს ოთახში.

— წავიდით, ნოე. — შესთავაზა კიროვმა, — მე ვიცი ერთი ადგილი ბულვარში, საიდანაც ადრიან დილით და მზის ჩასვლისას შესანიშნავი მთის პეიზაჟი იშლება თვალწინ. შორს, შორს მოჩანს თოვლით დაფარული ყაზბეგის მწვერვალი. თქვენ, ქართველები, მას მყინვარწვერს უწოდებთ.

ნოეს გაუკვირდა და თან გაეხარდა:

— თქვენ იცით?..

— როგორ არა! ვიცი, რომ მყინვარწვერზე პირველი ავიდა ქართველი მწყემსი იოსებ მოხევე XVIII საუკუნეში. როგორმე მე წაგიკითხავთ ჩემს ჩანაწერებს. თუ რა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ყაზბეგზე ასვლამ. დარწმუნებული ვარ. თქვენც გიყვართ მთები!.. ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ თქვენ ვლადიკავკავში დარჩეთ.

ნოემ დააყოვნა პასუხი.

— სერგეი მირონიჩ. არ მინდოდა წამომეწყო ამაზე ლაპარაკი. შეიძლებოდა მეტიჩრობად ჩამოგერთმიათ. ჟენევიდან დაბრუნების შემდეგ ლენინთან ვიყავი, მან მკითხა. რა გეგმები გაქვს, სად აპირებ მუშაობას — პეტროგრადში, თუ საქართველოში დაბრუნდები? მე ვუპასუხე. თუ ამაზე პარტიას თავისი გადაწყვეტილება არა აქვს გამოტანილი. ვარჩევდი ვლადიკავკავში მუშაობას-მეთქი, თერგის მხარეში, სადაც დიდი სიძნელეები არსებობს, მაგრამ ძალზე საინტერესოცაა. ამასთანავე მთიელთა ჯულიც ჯერჯერობით ამოუკითხავ იეროგლიფად რჩება. ჩვენ საფუძვლიანი საუბარი გვქონდა ამის ირგვლივ. მე ცენტრალური კომიტეტის მანდატი ჩამოვიტანე. აი ის!



*

ვლადიკავკავის გაზეთების რეპორტიორების აზრით ნოე ბუაჩიძე კვლავინდებურად მეტისმეტად მოურიდებელი იყო და ამის გამო მისმა ლექციამ კინემატოგრაფ „პატეში“ გული გაუტეხა მსმენელებს. ბატონები და ქალბატონები აღშფოთებულნი იყვნენ, — ჩვენ მოვედით ლექციაზე და გვეგონა ინტელიგენტ ადამიანს მოვუსმენდით, მან კი რაღაც მოწოდებები წამოიწყო აჯანყებაზე. წარმოგიდგენიათ, ეს ვაჟბატონი გვარწმუნებდა, რომ ძალაუფლება მუშებისა და მთიელების ხელში უნდა გადავიდესო!

გაზეთი „ტერსკი კაზაკ“ განცვიფრებას გამოთქვამდა: „ბატონი ბუაჩიძე თავდაპირველად სავსებით კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მასთან საუბარი საინტერესო იყო. და უეცრად — ინებეთ სურპრიზი! იგი ბოლშევიკი აღმოჩნდა! ყოვლად დაუჯერებელია!“

ყურები ცქვიტეს მენშევიკებმა და ესერებმაც. ასტეხეს ერთი ალიაქოთი, მოითხოვეს, რომ კვირას საერთო საქალაქო მიტინგზე, რომელზეც მოხსენებით უნდა გამოსულიყო ნოე, მიტინგის თავმჯდომარედ ყოფილიყო მენშევიკი სკრილნიკოვი.

სამი საათისთვის ქალთა გიმნაზიის სააქტო დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

სკრილნიკოვმა დინჯად გახსნა მიტინგი, მიულოცა დამსწრეთ, რომ უკანასკნელ დღეებში პეტროგრადში სოციალ-დემოკრატებმა დაიკავეს თვალსაჩინო პოსტები დროებითი მთავრობის სამინისტროებში. ამ ახალ ამბავს საკმაო კმაყოფილებით შეხვდნენ.

რამდენიმე გაზეპირებული სიტყვა მიწასა და თავისუფლებაზე უმალ ჩაურთო ვლადიკავკავის საბჭოს თავმჯდომარემ ესერმა გამალეამ.

ტრიბუნაზე ბუაჩიძის გამოჩენას დაძაბული დუმილით შეხვდნენ. ნოემ ამცნო დამსწრეთ, რომ ქალაქში გაკრულ განცხადებებში ჩემი მოხსენების თემა მთლად ზუსტად არაა მოხსენებულიო. მე სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს პეტროგრადზე, მაგრამ, მთავარი, რაც მე მინდა მოგახსენოთ, ეს გახლავთ ლენინის შეხედულება რევოლუციაზე.

გამალეამ დაიყვირა: — ძირს! რევოლუციონერებს მხოლოდ ერთი ბელადი ჰყავს — ალექსანდრე კერენსკი.

წამოხტა ესერების მეორე ლიდერიც — ნაფიცი ვექილი კარაპეტ მამულოვი. ჯერ კიდევ წინადღით ის დაემუქრა ბუაჩიძეს — „დამაცა, ისე ავამხედრებ შენზე მასას, რომ კუდით ქვას გასროლინებენო“. მამულოვმა მოითხოვა: „უმჯობესია გვიამბო, როგორ გადმოგიყვანეს საზღვარზე დაპლომბილი ვაგონით. რამდენით ხართ მოსყიდული ჩვენი სამშობლოს მტრების—გერმანელების მიერ?“

ბუაჩიძემ თავი გადააქნია:

— თქვენ, მამულოვ, ჭკუა სრულებით არ მოგმატებიათ იმ წლების მანძილზე, რაც მე არ მინახავხართ. საკუთარ ხმას არ უფრთხილდებით, ჩაგეხლიჩებათ, სასამართლოში ველარ გამოხვალთ, ხელსაყრელ კლიენტებს დაჰკარგავთ.

ბუაჩიძის რეპლიკამ სიცილი გამოიწვია. კონტაქტი დარბაზთან დამყარდა. ნოე ლაპარაკობდა და მის ნათქვამს თანდათან თავისთავად ემატებოდა ძალა.

კრება გაგრძელდა დილის ოთხ საათამდე. უკანასკნელად სიტყვა ითხოვა სამხედრო ექიმმა, კოხტად შეკრეჭილი წვეროსვაშით, ოდნავ მოჭუტული თვალებით, ალბათ, ახლომხედველობის გამო. მაღალი და ჩასკვნილი, იგი მსუბუქად ავიდა ტრიბუნაზე, სამხედრო ყაიდაზე მოკლედ გააცნო თავი: — მამია დიმიტრის ძე ორახელაშვილი, ჩამოვედი მოქმედი არმიიდან. მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას სულ ცოტა ხნით. მინდა მხოლოდ ჩემი ფრონტელი ამხანაგების სახელით წინადადება შემოვიტანო — მისალმება გავუგზავნოთ პეტროგრადში (პატარა პაუზა)... ლენინს.

აპლოდისმენტები, აღშფოთებული წამოძახილები, მთიელთა ყიჟინა — ყველაფერი ერთმანეთში აირია. მენშევიკმა სკრილნიკოვმა სასწრაფოდ განაცხადა, კრება დახურულიაო. 248 სამარის ჯარის ნაწილის სალდათებმა სკამები ააყირავეს და თავისი მძიმე ფეხსაცმელების ბრახუნით შეიჭრნენ პრეზიდიუმში. ორი დღის წინათ მათთან ყაზარმაში იყო ბუაჩიძე და ესაუბრა მათ. ინგუშებმა ხანჯლები იშიშვლეს ყოველი შემთხვევისათვის.

ორახელაშვილმა ხელი დაავლო თავმჯდომარის ზარს და თავის წინადადებას კენჭი უყარა. რევოლუციის შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, რომ მენშევიკები და ესერები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.



ადამიანთა აბობოქრებულმა ნაკადმა ბოლოს წაიტანა ბუაჩიძე გასასვლელისკენ. ნოემ უეცრად თვალი მოჰკრა სამხედრო ექიმს, რომელმაც ესოდენ დიდი აურზაური გამოიწვია. მას ნაზად გაეყარა მკლავი მკლავში ლამაზ ქართველ მასწავლებელ ქალისთვის მარიამისთვის და წინ მიდიოდნენ. ორთავეს სახე ბედნიერებისგან უბრწყინავდათ. ბუაჩიძეს გაუკვირდა... მაგრამ აქვე გაახსენდა, რომ მარიამი ამას წინათ ამბობდა, ქმარს ველოდები ფრონტიდანო. მარიამმა ერთხელ უამბო კიდეც, მან და მისმა მომავალმა ქმარმა, — ქუთაისისა და სამტრედიის მეზობელი რაიონების მცხოვრებლებმა, — როგორ გაიცნეს ერთმანეთი პეტროგრადში. მარიამი, პარტიის წევრი 1906 წლიდან, იატაკქვეშელთა ორგანიზაციის აქტიური მუშაკი, უზიდავდა თავის საქმროს სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში ბოლშევიკების ნევის რაიონის კომიტეტის პროკლამაციებს.

შემდეგში მამია და მარიამი მუშაობდნენ თურქმენეთში, სპარსეთში. ომმა დიდი ხნით დააშორა ისინი ერთმანეთს.

მარიამი დაბინავდა ვლადიკავკავში. მისი პატარა მყუდრო ბინა, კაზაკთა ატამანის სასახლის გვერდით, საიმედო თავშესაყარი იყო და აქ მოეწყო იატაკქვეშელთა ბოლშევიკური ორგანიზაციის მთავარი შტაბი თერგზე.

*

ვლადიკავკავის ბოლშევიკების მტკიცე მეგობრული ჯგუფი შეუპოვრად მუშაობდა და წარმატებებსაც მიაღწია. ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში ბოლშევიკებმა ასარჩევი 86 ხმოსნიდან 38 ხმოსნის ადგილი მიიღეს, ესერებმა ძლივძლივობით გაიყვანეს ხუთი დეპუტატი, მენშევიკებმა მხოლოდ ერთი.

კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური სიმპათია ბოლშევიკებისადმი ვლადიკავკაველებმა გამოამჟღავნეს საბჭოების გადარჩევების დროს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ახალი თავმჯდომარე გახდა მამია ორახელაშვილი. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ ნოე ბუაჩიძე, სერგეი კიროვი, მამია ორახელაშვილი, გიორგი ცაგოლოვი.

მენშევიკებსა და მეტადრე ესერებს, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ვლადიკავკავის საბჭოში პარპაშს, ბრაზი ახრჩობდათ. მთელ თავის უბედურებას ისინი ნოე ბუაჩიძეს აწერდნენ. საბჭოს პრეზიდიუმიდან გამოგდებულმა გამალეამ და კარაპეტ მამულოვმა დააბეზღეს ნოე ბუაჩიძე თერგის ოლქის უფროსთან.

— პეტროგრადში დიდი ხანია გაცემულია ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ, აქ კი, ვლადიკავკავში მისი აგენტი, ასევე სამშობლოს მტრების შემწეობით ჩამოსული რუსეთში, საბჭოს პრეზიდიუმშია მოკალათებული.

ციხეში ნოეს დამწყვდევა ესერებს თუნდაც იმიტომაც უნდოდათ, რომ ახლოვდებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები.

ბოლშევიკების სია ნომერი შვიდი სწორედ ბუაჩიძის გვარით იწყებოდა.

პროკურორის ამხანაგი კსეპტერი, შემდეგ კი თვით პროკურორი ბერნჰოფი იძახებდნენ ნოეს დასაკითხავად, ათასნაირ კითხვებს აძლევდნენ, მაგრამ დაპატიმრების ბრძანების გაცემას მაინც ვერ ბედავდნენ. პროკურორი შიშობდა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, როცა არჩევნებამდე რაღაც ორიოდე კვირა დარჩა, სრულიად არასასურველ შედეგებს გამოიღებდა, „თუ მხედველობაში მივიღებთ ბატონ ბუაჩიძის უმაგალითო პოპულარობასო“.

მენშევიკები ცოტა სხვანაირად მოქმედებდნენ. მათ მოუწოდეს ბუაჩიძესა და სხვა ბოლშევიკებს პარტიული დისციპლინისკენ. როგორც ჩვეულებრივ, ქალთა გიმნაზიის სააქტო დარბაზში შეიკრიბა „გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“.

ბუაჩიძემ არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ თქვა: — ნებას ვაძლევ ჩემს თავს გითხრათ, რომ დადგა დრო, უკუვაგდოთ ყოველგვარი მიკიბმოკიბვა და პირდაპირ დავუსვათ საკითხი აქ შეკრებილთ: — ვისთან ხართ ბოლოს და ბოლოს — ბოლშევიკებთან თუ მენშევიკებთან? რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც გეზი აიღო პროლეტარულ რევოლუციაზე, გაერთიანებული ორგანიზაციის არსებობა შეუძლებელია. მასებმა უნდა იცოდნენ — ვინ არის მათი მეგობარი და ვინ მტერი.

ამის შედეგი რა იყო?

ბოლშევიკების სიამ ნომერ შვიდმა დამფუძნებელი კრების არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ოქტომბრის ბოლოს ვლადიკავკავის ბოლშევიკური ორგანიზაცია თავის რიგებში თითქმის ორი ათას კაცს აერთიანებდა, მენშევიკებს კი ორმოცდაათი კაცი ძლივს ჰყავდა.

მაშინ სრულიად მოულოდნელად თერგ-დაღესტნის კონტრრევოლუციურმა მთავრობამ ნოეს შესთავაზა შრომის მინისტრის პორტფელი. ამის შესახებ ცნობა დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა ვლადიკავკავის, პატიგორსკის და გროზნოს ყველა გაზეთში და გადაბეჭდილ იქნა თბილისის, ბაქოს, ეკატერინოდარისა და როსტოვის გაზეთებში.

სასტუმრო „ბრისტოლში“ — მთავრობის რეზიდენციაში წავიდნენ ნოე და ახალგაზრდა მუშა ვაზგენ ბუდაგოვი. ცერემონია დიდხანს არ გაგრძელებულა. ბუაჩიძემ თავმდაბლად განაცხადა, რომ ვიღაცამ, მგონი, ქორიესმაო, ერთხელ სამართლიანად თქვა: „უმჯობესია სიმართლე ილაპარაკო ადამიანმა, ვიდრე იყო მინისტრიო“.

ფრჩხილებში სტენოგრაფმა აღნიშნა: „სიტყვები მეტი არ თქმულა. ბატონი ბუაჩიძე და მისი თანმხლები გამოემშვიდობნენ და წავიდნენ“.

... რევოლუციის ქუხილი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ისმოდა თერგის მხარეში. 25 ოქტ. ღამით საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა ვლადიკავკავის საბჭო ქალაქის რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად. დარბაზში შეაღწია გაზ. „ვპერიოდის“ რეპორტიორმაც. იგი აჩქარებით იწერდა თავის უბის წიგნაკში:

„პირველ წუთებში თავმჯდომარეობდა კარაპეტ მამულოვი, მალე იგი შეცვალა მარიამ ორახელაშვილმა.

ბუაჩიძემ განაცხადა, რომ დროებითი მთავრობას არა ერთხელ მოუწყვია პროვოკაცია რევოლუციური რუსეთისთვის... ბოლშევიკების გამოსვლა შედეგია ჯანსაღი რევოლუციური ინსტინქტისა, ბოლშევიკები ფანტაზიორები როდი არიან! მათ და მხოლოდ მათ იციან რა არის საჭირო ხალხისთვის!

დროებითი მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ნათლად ჩანდა აქ, თერგის მხარეში.

არსებითად, თებერვლის შემდეგ მოხდა მხოლოდ უმნიშვნელო შეცვლა ზოგიერთი ადმინისტრაციული პირებისა. ძველი სახელწოდებების ნაცვლად გაჩნდა ახალი, ყველაფერი დანარჩენი ხელუხლებელი გახლავთ. რევოლუცია მხოლოდ ახლა იწყება...

თავის მხრივ რეპორტიორმა მოკლედ დაუმატა: კრება გრძელდებოდა განუწყვეტლივ ოცდათერთმეტი საათი. ბოლშევიკებმა გაიყვანეს თავისი რეზოლუცია. რეზოლუციაში ნათქვამია: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საერთო კრება მოწიწებით თავს ხრის რევოლუციური მასების გმირული ბრძოლის წინაშე და აღიარებს თავის ერთგულებას ახალი პროლეტარულ-გლეხური მთავრობისადმი.

გაუმარჯოს რევოლუციურ რუსეთს!“

# თავისუფალი სიტყვა

დავით სულიაშვილი

ეს იყო ცხრაასხუთი წლის ოცდაცხრა აგვისტოს (ძვ. სტილით). ამ წლის ცხრა იანვრიდან დაწყებული მუშათა მოძრაობის რევოლუციური ტალღები შეუჩერებლად მღელვარებდნენ, ზვირთდებოდნენ.

იმ დღეს ხმა გავრცელდა: ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში სხდომაა დანიშნული, სხდომას მუშებიც დაესწრებიან, პოლიტიკურ სიტყვებს წარმოთქვამენო. ქალაქის ყველა უბნებიდან მოაწყდა ხალხი. მოდიოდნენ: მოწაფეები, სტუდენტები, მასწავლებლები, მოხელეები, პარტიულები, თუ უპარტიოები.

ამ კრებაზე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები თავის პროგრამასა და ტაქტიკას წამოაყენებდნენ. მენშევიკებიც ისარგებლებდნენ ამ შემთხვევით და თავიანთ ოპორტუნისტულ სულისკვეთებას გამოამჟღავნებდნენ. ბოლშევიკები მათ საწინააღმდეგო რევოლუციონურ ლოზუნგებს ისროდნენ და შეიარაღებულ აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ.

წინა დღით კამომ შემოიარა ჩვენთან. გადმოგვცა, კომიტეტის დავალებით ამ კრებაზე გიორგი ელისაბედაშვილი და მე უნდა წავსულიყავით, — წმინდა რევოლუციური ლოზუნგებით მივვემართა შეკრებილ საზოგადოებისათვის, მენშევიკები არ დაგვენდო, მათი ოპორტუნისტული მიდრეკილებები გვემხილებინა. რაკი გ. ელისაბედაშვილი სხვაგან იყო წასული, კამო და მე გავეშურეთ თვითმმართველობის სახლისაკენ. ძლივს შევედით ადრე მოსულებით გაჭედილ დარბაზში. გაჭირვებით გავარღვიეთ შემჭიდროებული მხრები და რადგან ქვედა დარბაზში ტევა აღარ იყო, — ზევით, ქანდარაზე ავედით. აქედან დარბაზს გადავხედე, თვალში მეცა კედლის სიმაღლეზე ამართული მეფე ნიკოლოზ მეორის სურათი. ამაღლებულ ადგილზე თავმჯდომარის მაგიდა. შემდეგ ქალაქის დეპუტატების სკამები, ხალხით სავსე დარბაზი.

ხალხი თანდათან მატულობდა.

— ბიჭოს! სულ ჩვენებს დაუკავებიათ სკამები, ხმოსნები სადღა დასხდებიან?! — იკითხა კამომ.

— რა გვენაღვლება? ჯანდაბაში წასულან! ჩვენ ხომ შევიკრიბეთ! — თქვა ჩემს გვერდით მჯდარმა ახალგაზრდა მუშამ.

— მერე, რომ გამოაცხადონ — სხდომა არ შედგებაო? დაიშალეთო?

— არ დავიშლებით! — დაჟინებით იმეორებდა მუშა.

— მართალია! მაგათ ქეიფზე ხომ არ ვივლით სულა! სწორეა! ეგრეა! აი ყოჩაღ, ბიჭო!.. — შეაქო კამომ.

როცა ხმოსნები დარბაზში შემოვიდნენ და თავისი ალაგები დაკავებული ნახეს — მოგვმართეს; დარბაზი დაგვეტოვებინა. ადგილიდან არავინ დაძრულა. მხოლოდ ორიოდე ამხანაგი ადგა და ხმოსნებს სკამი დაუთმო. როცა ხმოსნებისთვის მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ადგილი, ქალაქის თავმა მოითხოვა, დარბაზი დაგვეცალა. ეს კი შეუძლებელი გახდა. დარბაზიდან არავინ გავიდა. მაშინ ხმოსნებმა და ქალაქის თავმა თვითონ დატოვეს დარბაზი.

— შეეშინდათ! თავისუფალი სიტყვისა შეეშინდათ!..

—ხალხისა შეეშინდათ! დაფრთხნენ!..

— მონები! მხდალები! — ატყდა ყვირილი, ძახილი, სტვენა.

როცა ხმოსნები გავიდნენ და ღრიანცელი შეწყდა — ერთმანეთს გადახედეს, — არ იცოდნენ რა უნდა ემოქმედათ. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ერთი დამსწრეთაგანი წამოდგა და კრებას მიმართა:

— ამხანაგებო! სხდომა ჩვენ თვითონ გავხსნათ.

— მართალია! გავხსნათ! გავხსნათ! — ერთხმად შესძახა ყველამ.

— დაასახელეთ თავმჯდომარე! თავმჯდომარე!..

ისევ ატყდა აურზაური. ასახელებდნენ სხვადასხვა გვარებს. კივილი და ძახილი არ შეწყვეტილა რამდენიმე წუთს. ამ უჩვეულო, უნახავ ამბით გატაცებულნი დიდხანს ვერ დაწყნარდნენ. ეს ხომ პირველად იყო მათ ცხოვრებაში, რომ თვითონ ასახელებდნენ თავმჯდომარეს, თავისუფლად ილაპარაკებდნენ, თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს...

ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ დაიკავა თავმჯდომარის ადგილი. ახოვანი ტანით ამაღლებულ მაგიდას შემოუარა. ზედ დაეყრდნო. მაგიდაზე პატარა ზარი მოძებნა. უჩვევი, გამოუცდელი ხელით დააწკარუნა, სიჩუმე მოითხოვა. ყველა გაინაბა. მოსულები მას არ იცნობდნენ, მაგრამ მუშათა წრეებში იგი ცნობილი იყო თავის გამჭრიახი ჭკუით, ცოდნით, სიმართლის მოყვარულობით. ის იდგა კრების წინაშე, როგორც განსახიერება იმ იდეებისა, საითკენაც მიისწრაფოდა მაშინ რუსეთის მშრომელთა მასები. თვალები უბრწყინავდა. სახე უღიმოდა. ყველა მას შესცქეროდა, აღფრთოვანებული, აღტაცებული მოელოდა თავისუფალ სიტყვას, სიტყვას სამართლიანს, სიტყვას ჩაგრულთათვის გამამხნევებელს.

ხალხი ვერ ისვენებდა, ბობოქრობდა, გაიძახოდა. — „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! ვაშა! ვაშა!“ ამას მოყვებოდა ტაშის გრიალი, ზრიალი. კრება თონესავით გახურდა. აინთო. სიხარულსა და აღგზნებას არ ჰქონდა დასასრული.

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. მათი დაჭიმული ძარღვები, შუქმფრქვევი თვალები, აღგზნებული, ამაღელვებელი სიტყვები მსმენელთ ხიბლავდა, ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ამხნევებდა.

იმავე დროს, შენობის მეორე ოთახში რევოლუციულ დარბაზიდან გამოძევებული ხმოსნები, ფერმკრთალნი, შეშინებულნი, მოულოდნელი თავდასხმით დაბნეულები ერთმანეთს უმზერდნენ, დუმდნენ. პაპიროსს გამალებით ეწეოდნენ, ბოლთას ცემდნენ... არ იცოდნენ რა ემოქმედათ. კედელზე ჯრძლად ჩამოკიდებულ მეფის სურათს უმზერდნენ, ტრთოდნენ, ქშინავდნენ. — „მერე, რას იტყვის გუბერნატორი, ხომ გვიგებს... მაშ სჯობია ჩვენ თვითონ შევატყობინოთ!“ — „სწორეა! ნამდვილია! სხვა გზა არ არის!..“ — ერთმანეთს უდასტურებდნენ.

აწკარუნდა ტელეფონის ზარი — „დიახ — თქვენო აღმატებულებავ! დარბაზი გაჭედილია ხალხით. ჩვენ ვერ შევძელით დაშლა. პარტიების წარმომადგენლები ლაპარაკობენ, უშვერი სიტყვებით იხსენებენ მათ უდიდებულესობას... დიაღ, თქვენო აღმატებულებავ!.. ჩვენ რომ შევედით ყველა ადგილი დაკავებული იყო. დიაღ! დიაღ! გვესმის! როგორც გნებავთ! ნახვამდის, თქვენო აღმატებულებავ!.. გელით!“..

ამუშავდნენ მეფის მოხელეები. — პოლიცმეისტერი, კაზაკების ატამანი, ბოქაულები.

დარბაზი გუგუნებდა. რევოლუციონერების სიტყვები ჩანჩქერის შხეფებივით ეპკურებოდა მსმენელთა გულებს, ზარებივით წკრიალებდა დარბაზში. რამდენიმე ასეულის გული გამალებით ცემდა. ფეთქავდა. მომავალი ბრძოლისათვის ღვივდებოდა.

მოულოდნელად ხალხით გაჭედილ კარებში აღიმართა მაღალი ტანის პოლიცმეისტერი. იგი კარებშივე შედგა და აცახცახებული ხმით დაიძახა: „გენერალ-გუბერნატორის სახელით გიბრძანებთ ახლავე დაიშალოთ. დაუყოვნებლივ დასტოვოთ დარბაზი!..“

ჯერ შეკრთა კრება. შემოსასვლელ კარებისკენ გაიხედა. ექსელბანტებით მორთული გულმკერდი რომ დაინახა, ერთი წუთით გაყუჩდა დარბაზი. გაინაბა. ორატორს სიტყვა პირზე შეეყინა.

უცბად ქანდარიდან გაისმა:

— კრება დავშალოთ? განა ეს შეიძლება? ამხანაგებო! შეიძლება?..

— არ შეიძლება! არა! არა!..

— გუბერნატორის არ გვეშინია!

— არ გვეშინია! არა!..

— მოახსენეთ გუბერნატორს, არ დავიშლებით!

— განაგრძეთ სიტყვა, ამხანაგო!

— სიტყვა! სიტყვა!.. — ქუხილივით გაისმოდა დარბაზში.

პოლიცმეისტერი გავიდა. მხლებლებიც თან გაჰყვნენ...

სხდომა გაგრძელდა, მაგრამ დარბაზში ალესილი ხანჯალივით ჩამოეკიდა შიში და კრთომა. შეშფოთდა კრება. შეიკუმშა გახარებული გული. გაღვივებული მუგუზალი ჩაიფერფლა. თვალებში შუქი ჩაქრა სიტყვას მოაკლდა სიცოცხლე.

ორ წუთსაც არ გაუვლია, დარბაზში შემოცვივდნენ შეიარაღებული კაზაკები. გაარღვიეს შემჭიდროებული მხრები, კონდახებით დაუწყეს ცემა სკამებიდან ჩამოცვივნილ ხალხს. დაუნდობელი, ვერაგი სიმკაცრით ჩასცხებდნენ ცხვირ-პირში, კისერში, მხრებში. დარბაზში გაჩაღდა კონდახების ტრიალი.

„...ნუ გეშინიათ, ამხანაგებო! გამაგრდით! ნუ შეეპუებით! იბრძოლეთ!“ — გაიძახოდა ზოგიერთი, მაგრამ კაზაკების არაადამიანურ ცემას ვერ უძლებდნენ. თავდაცვის ინსტინქტი უკარნახებდა, გაქცეულიყვნენ, ხოლო გაქცევის საშუალებას მოკლებულნი, დასისხლიანებულნი, დარეტიანებულნი ძირს ეცემოდნენ. გაისმოდა კვნესა და ოხვრა, „ვაი დედას“ ძახილი, გინება და წყევლა-კრულვა. ბრბო აქეთ-იქით აწყდებოდა, დარბაზი ცარიელდებოდა.

გასასვლელ კარებთან შემჭიდროებულნი ერთმანეთს აწვებოდნენ, მუჯლუგუნს კრავდნენ, მირბოდნენ, წაქცეულებს თავს ახტებოდნენ, დამფრთხალი ნადირებივით დერეფნიდან კიბეზე ჩაისრიალებდნენ.

ქანდარაზე მომწყვდეულებს არ შევძლო გავქცეულიყავით, — ჩასასვლელ კიბესთან გამწკრივებული კაზაკები ჯერ დარბაზიდან გასულებს უშვებდნენ, როცა იქიდან ნაკადი შეწყდა, ჩვენც გაგვიშვეს.

როგორც მოვარდნილი მდინარე, კალაპოტი რომ გაეხსნება და მიშხუის გამალებული, ისე ჩვენც დავეშვით კიბეზე. კაზაკების კონდახებით დარეტიანებული, მახსოვს, კიბეზე დავგორდი; როცა წამოვდექი, თავზე ქუდი აღარ მეხურა. საფეთქლის ზევით კანი მეწოდა. ხელი რომ მოვისვი თითებში თბილი სისველე ვიგრძენი. თეთრ ხალათს წითელი წვრილი ზოლები დამჩნეოდა.

თავშესაფარს ვეძებდი. მივდევდი გაქცეულებს. კამო მხედველობიდან დამეკარგა. ქვედა დერეფანში იატაკზე დახოცილების თუ დაჭრილების გროვა ეყარა. ჩვენ ზედ ვახტებოდით. გავრბოდით, მაგრამ გასასვლელი არსად იყო. რაღაც უც-



მკერავი მარიამ კვიცაძე

დიდი ოქტომბრის წინადღეებში, სოფელ კოდაში დაიბადა მარიამ კვიცაძე. ჩქარა მათი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. წამოიზარდა მარიამი, დაუდგა პროფესიის არჩევის დღეც. აკვირდებოდა თბილისელებს, მოსწონდა მათი ფაქიზი, სადა და გემოვნებიანი ჩაცმულობა. მასაც უნდოდა ასე კარგად და გემოვნებით ჩაეცვა. მაგრამ ყველაზე უფრო კი ის სურდა, რომ თვით გამხდარიყო კარგი მკერავი. ბოლოს გადაწყვიტა და სამკერვალო ტექნოლოგიურ ტექნიკუმში დაიწყო სწავლა.

უკვე ოცი წელია, რაც ეს ჩუმი და წყნარი ქალი სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს. ერთ ხანს იგი მკერავად მუშაობდა, წუნმდებლად, ცვლის უფროსად, ახლა კი იგი მკერავთა აგრეგატის ინსტრუქტორია. მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში მარიამ კვიცაძის აგრეგატი ერთ-ერთი მოწინავეა. როგორც აქ იტყვიან ხოლმე, ერთნი მკლავის ჩაბლანდვაზე მუშაობენ, მეორენი გვერდის ჯიბეებს აკერებენ, სხვანი საყელოებს, სალილეებს. მთელ დღეს თავს დასტრიალებს მარიამი თავის მეგობარ ქალებს, თუ საჭიროა, თვითონაც წაეხმარება ჩაბლანდვაში თუ ჩაკერებაში, ამოწმებს პროდუქციის ხარისხს... აი, ამიტომაა, რომ მისი აგრეგატი ყოველთვის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

აქ, თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში, აღიზარდა მარიამ კვიცაძე, როგორც მოწინავე მკერავი ქალი, მოქალაქე და კომუნისტი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მარიამს სახლისაკენ მიეჩქარება. სახლში ხომ მოზარდი შვილები ნოდარი და ელისაბედი დედის ალერსს ელოდებიან.

ნაური ტკაცატკაცი გვესმოდა; უფრო სუსტები ეცემოდნენ, სხვები დერეფნის ჩამტვრეულ ფანჯრიდან ეზოში ხტებოდნენ. აქ კი აშკარად გავარჩიეთ, რომ ჩასაფრებული კაზაკები ესროდნენ გაქცეულებს, უმწეო, უიარაღო ხალხს. დაჭრილ-დახოცილთა ხროვა ეფინებოდა ეზოს.

მივარდნილ კუთხეებში აკიაფდებოდა თოფის ლულა, ასფალტზე დაეცემოდა დაჭრილი. კიდევ და კიდევ... ეზოში დავრბოდით თავზარდაცემულები. ტყვიებს ყურთან გაჰქონდა ზუილი. სანაგვის ყუთთან მივცვივდით. გვინდოდა, შიგ ჩავმძვრალიყავით, მაგრამ იგი უკვე სავსე იყო. „ნუ მოხვალთ! შეგვამჩნევენ! აღარ არი ალაგი! წადით!“. შეკავებული ხმით გვემუდარებოდნენ...

დავრბოდით. ტყვიების ტკაცატკუცს არ უჩანდა დასასრული. როგორც ღვინის სმას ლოთები— მეფის კაზაკები ვერ იკლავდნენ სისხლის წყურვილს.

გაბრუებულნი, დარეტიანებულნი — ერთმანეთს მივდევდით, ხან ერთ კუთხეს ხან მეორეს შევეფარებოდით. გამალებული ტყვია ყველგან მოგვაგნებდა. ყველგან ეცემოდა ვინმე ჩვენგანი. რაღაც ვიწრო გასასვლელს მივაგენით. წეროებივით მივყევით ერთმანეთს. სადღაც ეზოში შევედით. დაკეტილი კარი შევამჩნიეთ, მის გვერდით — ჩამტვრეული ფანჯარა. ფანჯარაში ძვრებოდნენ. გადავძვერი მეც.

მორიდებით დავეშვი იატაკზე. ვიღაცას მუხლს წავკარი ხელი. ოთახში თანდათან გავარჩიე შეშინებული სახეები, უცნაურად რომ გამოიყურებოდნენ. თოკზე ჩამოკიდებული პირსახოცები თუ ტილოები, თუჯის გრძელი ღუმელი, განჯინები, ერთი ფიცრის მაგიდა და ტახტი. ტახტზე ვიღაცა იწვა, კვნესოდა.

„...ჩუმად! ნუ კვნესი! გაგვიგებენ!.. შენც დაიღუპები, ჩვენც“... — შეუტიეს დაჭრილს. სიჩუმე ჩამოვარდა. ახლაღა ვიგრძენი მძაფრი ტკივილი. თავი ისე მეწვოდა, თითქო ზედ მუგუზალი დამადესო...

— მიშველეთ წყალი!.. ზმუოდა დაჭრილი. ვეღარ მოვითმინე. ავდექი, დაჭრილთან მივედი. მინდოდა წყალი დამელევინებინა, ჭრილობა შემეხვია. მთელი ტახტი სველი იყო. წვეთები ეცემოდა იატაკზე. თოკზე დაკიდებული პირსახოცი ჩამოვილე. მომაკვდავი ხრიალებდა. ვიღაცამ ხელი მკრა: „რა დროს ეს არი! დაჯექი!“

გარედან კვლავ ისმოდა სროლის ხმები. რამდენ ხანს გაგრძელდა, არ მახსოვს. ერთ ხანს სიწყნარე ჩამოვარდა. გაყუჩდა გარემო. ჩამტვრეული ფანჯრიდან, ერთი ზოლი მკრთალი სინათლისა ოთახს მოეფინა.

დაჭრილის ხმაც მიწყდა, აღარ ისმოდა.

შორიდან ისმოდა გაყურსული, გაყრუებული ქალაქის ყრუ ხმაური. უეცრად მიწყნარებულ არეში ალაყაფის კარის ჭრიალი შემოიჭრა, ფურგუნის თვლების დგრიალი შუა ეზოში შეწყდა.

ყრუ მდუმარებაში გავიგონეთ ბრძანება: „აბა, ჩქარა! აკრიბეთ! ფურგუნში ჩაყარეთ! სწრაფად!“ მივხვდით—დახოცილებსა და დაჭრილებს ჰკრეფდნენ. ფურგუნის თვლები მალე ისევ აჭრიალდა, ალაყაფის კარები გაიღო, ისევ მიიხურა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მოგვესმა ფურგუნის თვლების დგრიალი. ალაყაფის კარი ისევ გაიღო და ისევ მიიხურა. გულის ცემით ველოდით, ჩვენც არ ვიცოდით, რას ვუცდიდით, რა მოგველოდა...

უცბად გასაღების ჩხარუნი შემოგვესმა. შევკრთით, გავინაბეთ.

კარი გაიღო და ვიღაც მსხვილი, დაბალი ტანის, გრძელულვაშიანი კაცი შემოვიდა. შემოვიდა და იქვე შეჩერდა.

— გათავდა ყველაფერი. — თქვა, თითქო სული მოითქვაო ამოიხვნეშა. — წავიდნენ კაზაკები. დაჭრილ-დახოცილებიც წაიღეს. ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ. ნუღარ გეშინიათ. გადით! ნელა! წყნარად!

გასვლისას კარებში ვიჭედებოდით. ყველა ცდილობდა მალე გასვლას. ჯიბიდან ფულს იღებენ. მზარეულს ეუბნებიან: „აგერ, ტახტზე დაჭრილია! ის ვერ წამოვა! მოუარე“.

უცბად მივირბინე დაჭრილთან. დავხედე. გაშოტილი იწვა. გავარჩიე მინასავით გამჭვირვალე ღია თვალები... თვალები დავხუჭე... გავიქეცი...

მეორე დღეს გაზეთებში მოთავსებულ ცნობებიდან ირკვეოდა, რომ იმ ღამეს 27 მოკლული და 50 დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში მოუყვანიათ. ოფიციალურ გაზეთ „კავკაზის“ ცნობით— 32 მოკლული და 56 დაჭრილი ყოფილა. დაჭრილთაგან სამი იმ ღამესვე გარდაცვლილა. პოლიციის რეგისტრაციით დაჭრილთა რიცხვი 70 აღწევდა. ასეთ აბნეულ ცნობებს იძლეოდა ოფიციალური წყაროები, ხოლო სინამდვილეში დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი—ორჯერ და სამჯერ მეტი იყო.

უიარაღო ხალხზე მთავრობის გამარჯვებას თან სდევდა ჩვენი მორალური და იდეური გამარჯვება.

რევოლუციური ტალღები ზვირთდებოდა. წყდებოდა საერთო გაფიცვები, დემონსტრაციები. ახლოვდებოდა ცხრაასხუთი წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება.

აქტიორთა ალბომიდან

## მსახიობი ნოდარ ჩხეიძე

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

ნოდარ ჩხეიძე ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა მან პირველად შეასრულა ფილიპოს როლი კარლო გოლდონის პიესაში „საპატარძლო აფიშით“. მომავალ მსახიობის დებიუტმა თეატრის მცოდნეებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. სწორედ ამიტომაა, რომ მის მეხსიერებაში დღესაც ნათლადაა აღბეჭდილი მის მიერ შესრულებული პირველი როლი. ნიჭიერმა მსახიობმა თავისი ცხოვრების ორმოცი წლის მანძილზე თეატრალური სახეების მთელი გალერეა შექმნა. მისი ნეზნამოვი („უდანაშაულოდ დამნაშავენი“), ბადრი („ირმის ხევი“), როდრიგო („ოტელო“), სოსია („ოთარაანთ ქვრივი“), ჰიტლერი („დიადი მომავლისათვის“), ყბებიანი („სარევველა“) და სხვათა სახეები დიდი უშუალობითა და აქტიორული ოსტატობით შესრულებული როლებია.

გიქო („პეპო“), ედგარი („მეფე ლირი“) და ფრანც მოორი („ყაჩაღები“) ქართველი მაყურებელის საყვარელი სახეებია, რომელიც ნიჭიერმა მსახიობმა თავისი შემოქმედების დიდ მწვერვალებამდე აიყვანა. მართლაც, ამ ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო მხატვრული სახეების შექმნაში მსახიობმა თავისი მრავალმხრივი აქტიორული შესაძლებლობების გადმოცემა შესძლო.



ნოდარ ჩხეიძეს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს არა მარტო როგორც ნიჭიერ მსახიობს, არამედ როგორც პედაგოგსა და რეჟისორს. იგი ხშირად ეხმარება ხოლმე თეატრალური ხელოვნების ახალგაზრდა მოყვარულებს, მონაწილეობას იღებს მათთან ერთად სპექტაკლების შექმნაში... იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ნორჩ პიონერებთან პიონერთა სასახლეში. მსოფლიო ახალგაზრდობის მეექვსე ფესტივალის დღეებში კი მის მიერ დადგმულმა თეატრალურმა სანახაობამ „ჩხიკვთა ქორწილი“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი წარმოგზავნილი აღტაცებაში მოიყვანა.

ნიჭიერ მსახიობს დაუფასდა მუშაობა. თავისი ცხოვრების მეორმოცე წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

## ძველი ბოლშევიკის ნაამბობი

...კარები თვითონ გრიგოლმა გამიღო. შემიპატიჟა.

ოჯახში სიხალისე და ბედნიერება სუფევდა. ოჯახის უფროსი, 63 წლის გრიგოლ ჭელიძე, თავის სამუშაო ოთახისკენ გამიძღვა.

ოქტომბრის ვეტერანი სავარძელში დაჯდა. ერთ ხანს ვისაუბრეთ, ძველი ამბებიც გავიხსენეთ. ვსთხოვე ეამბნა თავისი სასახელო ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდის შესახებ.

აი, რა მომითხრო მან:

ბავშვობა გამწარებული მქონდა. ღარიბი გლეხის შვილმა მოჯამაგირისა და ხელზე მოსამსახურის მწარე დღეები გამოვიარე. 1915 წელს სრულიად ახალგაზრდა გამიწვიეს მსოფლიო იმპერიალისტური ომის ფრონტზე. 21 წლისა ვიყავი, როდესაც „ავრორამ“ მსოფლიოს ამცნო პროლეტარული რევოლუციის დასაწყისი. ჩემს ცხოვრებაშიც ამ ხნიდან ახალი ხანა დაიწყო — 1918 წელს ჩავირიცხე ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მისი დაუზარებელი მებრძოლი გავხდი.

ბევრი საინტერესო ამბავი გადამხდომია ჩემი ცხოვრების მანძილზე, ბევრის მოწმე და უშუალო მონაწილეც ვყოფილვარ, მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ჩემი მონაწილეობის პერიოდი საშა გეგეჭკორის პარტიზანულ რაზმში.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით საშა გეგეჭკორმა ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი. პარტიის ბევრი პასუხსაგები დავალება სასახელოდ შეუსრულებია ამ რაზმს.

მახსოვს ასეთი ეპიზოდი: 1918 წლის ივნისის თვეში იწყებოდა დუშეთის მაზრის გლეხთა ცნობილი შეიარაღებული აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის სამხარეო კომიტეტმა ს. გეგეჭკორს მისცა დავალება — სასწრაფოდ გადასულიყო თავისი რაზმით, კავკასიონის მთავარი ქედით, თერგის ოლქში — ვლადიკავკავში და იქიდან, საქართველოს სამხედრო გზით, დახმარებოდა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხობას. ეს დავალება გეგეჭკორის რაზმმა, რომლის წევრი მეც ვიყავი, ბრწყინვალედ შეასრულა.

გავიხსენებ დუშეთის აჯანყების პერიოდიდან ერთ შემთხვევას, სადგურ გუდაურთან მტერი იყო მომდგარი. მე ოცეულს ვმეთაურობდი. იმ დროს იარაღისა და ვაზნების დიდ ნაკლებობას განვიცდიდით. იმის შიშით, რომ ულელტეხილისაკენ გაგზავნილი ჩვენი ორი ზარბაზანი მტერს ხელში არ ჩაეგდო, ოცეულიდან ორი მებრძოლი მიხა ჭელიძე და დავით როსნაძე დავიტოვე, დანარჩენები კი ზარბაზნებს დასაცავად გადავყოლე. ჩავუსაფრდი მტერს. მალე გზატკეცილზე გამოჩნდა მოტოციკლეტისტი ტყვიამფრქვევით. გაგვისწორდა, სამმა შაშხანამ თითქმის ერთდროულად იგრიალა... მოტოციკლეტის ბორბლები დიდხანს ტრიალებდნენ ჰაერში. ზარბაზნები გადავიტანეთ ულელტეხილზე. გზაში მტრის რამდენიმე თავდასხმა მოვიგერიეთ. ყველა უკლებლივ გავედით სამშვიდობოს.

დუშეთის აჯანყებასთან დაკავშირებულია მეტად მრავალი საინტერესო შემთხვევა, ჩვენი რაზმის ცხოვრებიდან.

მართალია, აჯანყება დამარცხდა, მენშევიკებმა დროებით გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება იმავე დროს მათი მორალური დამარცხება იყო. სამი წლის შემდეგ საქართველოს მშრომელებმა ნამდვილ გამარჯვებას მიაღწიეს ხტერზე.

დუშეთის აჯანყების შემდეგ, საშა გეგეჭკორის რაზმი თეთრგვარდიელებისა და მენშევიკების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, იბრძვის.

1919 წელს სოფელ ყაზბეგთან მენშევიკების მთავრობამ დაატყვევა ქართველ ბოლშევიკთა ხელმძღვანელების ნაწილი, მათ შორის მეც. პატიმრები საშინელ მდგომარეობაში ვიყავით № 1 საგუბერნიო ციხეში. ჩემთან ერთად საკანში იხრდნენ ფილიპე მახარაძე, გიორგი ჩხეიძე, ლაშქარაშვილი, ალავერდოვი, და სხვები. გამოცდილი, განათლებული ბოლშევიკები ციხეში გვიტარებდნენ საუბრებს პოლიტიკურ თემებზე. იქ გაგვაცნო ფ. მახარაძემ ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“. შემდეგ... აქ გრიგოლი შეჩერდა, შეხედა საწერ მაგიდასთან კედელზე დაკიდებულ სურათს. სურათზე ეშხიანი სახის ქალიშვილს, ორივე მხრიდან ორი ვაჟკაცი ამოსდგომოდა. შეხედა გრიგოლმა შვილებს და კმაყოფილების ღიმილმა გაუხსნა ნაოჭებით დაღარული შუბლი.

...შემდეგ კიდევ მრავალი ბრძოლა და ბოლოს გამარჯვება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, 1932 წელს სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრება, 12 წელიწადი თეთრი წყაროს რაიონში სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობა, ჯილდოები.. დღეს, დღეს კი ტკბილი სიბერე, შვილები უმაღლესი ცოდნით და შვილიშვილების ბედნიერი მომავალი. აი, როგორ დამიფასდა წარსულის ღვაწლი. მთავრობამ და ხელისუფლებამ პერსონალური პენსია დამინიშნა, უზრუნველყოფილი მოხუცებულობა მაქვს. შვილო, 40 წლის წინათ ჩვენ მარტო თოფის ხმა და კვნესა გვესმოდა, დღეს კი!

გრიგოლი ცოცხლად წამოდგა, ჩქარი ნაბიჯებით მივიდა კართან, გამოაღო — მეზობელი ოთახიდან მისი შვილიშვილი მანანა წკრიალა ხმით უმღეროდა განახლებულ, ბედნიერ ქვეყანას:

„ცა ფიროზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

თამ. ციციშვილი

# მეგობრობა

**კარლო კალანდაძე**

რუსთავში ბევრი სახელოვანი მემონტაჟეა, რომელთაც მსხვილბლოკური მშენებლობის ერთგვარი გამოცდილება აქვთ. მათ რიგებშია კალატოზი ნიკოლოზ მეტრეველი. ყურადღების ღირსია მისი ცხოვრების გზა. მამამისს, დავითს, კარგი კალატოზის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი სოფელ უწერაში. ნიკოლოზი ბავშვობიდანვე ეხმარებოდა მამას და შეიყვარა კიდეც ეს ხელობა. მის სოფელში არა ერთი სახლი აუგიათ რაჭაში ცნობილ კალატოზებს: ალექსი, იოსებ და გიორგი ჩალაძეებს, ცნობისმოყვარე ნიკოლოზიც ხშირად იყო ოსტატებთან და გულისყურით ადევნებდა თვალს მათ მუშაობას. სკოლის შემდეგ, იგი ხან ერთ მშენებლობაზე წავიდოდა, ხან მეორეზე. როცა ნიკოლოზი ოჯახში გაუჩინარდებოდა, ყველამ იცოდა, იგი იქ იყო, სადაც ახალი სახლი შენდებოდა. ომმა შეწყვიტა ნიკოლოზის გატაცება. სამამულო ომის მანძილზე იგი ფრონტზე იყო. ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ იგი ორ წელიწადს მოსკოვში დარჩა და მონაწილეობდა მთელი რიგი ფუნდამენტალური სახლების მშენებლობაში. სიამოვნებით იგონებს ნიკოლოზი მოსკოვში გატარებულ წლებს.

— ფლეთილი ქვით შენების ხელობა კარგად მქონდა შესწავლილი სამშობლო სოფელში, სადაც ჩვეულებრივ ერთ, ანდა ორსართულიან სახლებს ვაშენებდით. მოსკოვში ყოფნის დროს მე მომიხდა მრავალსართულიანი სახლების შენება ცვეტნოი ბულვართან. სიმართლე უნდა ვთქვა, არ ვიყავი დარწმუნებული, თუ შევძლებდი აქ მუშაობას, მაგრამ ჩემმა პირველმა ბრიგადირმა ივანე ოვჩინიკოვმა გამათამამა. იგი მზრუნველობით მეპყრობოდა. რადგან შემატყო, რომ ქვის ხელობით გატაცებული ვიყავი და გამოცდილებაც მქონდა ამ დარგში.

— ამ დიდ ნაგებობათა მშენებლობაზე უფრო ადვილია მუშაობა, ვიდრე იმ პატარა სახლზე, რომელსაც დიდი გულმოდგინება სჭირდება, — მეტყოდა ხოლმე იგი.

მე მესმოდა მისი სიტყვების ყადრი. ის მამხნევებდა და ჩემს თვალში ამცირებდა ამ უზარმაზარ მშენებლობათა სირთულეს. ასე იყო თუ ისე, მე ვმუშაობდი და ამ მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ჩემზე ბრიგადაში ლაპარაკი დაიწყეს. თვეები თვეებს მისდევდა და მე თვით ვიგრძენი თავი მომზადებულ კალატოზად.

ერთ დღეს ივანე მეუბნება — სამუშაოთა მწარმოებელს უნდა შენი ნახვაო. მივედი.

— თქვენზე ბევრი კარგი გამიგონია, მეტრეველო — დაიწყო სამუშაოთა მწარმოებელმა, — სამმართველოს უფროსს მოვახსენეთ კიდეც შენს შესახებ; გვინდა ბრიგადა ჩაგაბაროთ.

— ალბათ, მოვაბეზრე თავი ოვჩინიკოვს და უნდა მომიშოროს, — გავეხუმრე მე.

— საკითხი გადაწყვეტილია. — მიპასუხა მოჭრით.

ოვჩინიკოვს არ ესიამოვნა ჩვენი ასეთი ნაადრევი დაშორება. მე მას რამდენიმე ქართული ჩუქურთმის გამოკვეთა ვასწავლე და შემდეგ შეხვედრებზეც განვაგრძობდი ამ სწავლებას. ის განსაკუთრებით აღტაცებული იყო ქართული წნული სვეტის მოხდენილობით.

მოსკოვში მეტრეველის ბრიგადას რომ შეაქებდნენ, მას აუცილებლად ოვჩინიკოვი გაახსენდებოდა. ახლა, როცა მეტრეველს თავისი წვლილი შეაქვს ახალი ქალაქის მშენებლობაში და გაიგონებს ან პრესაში წაიკითხავს თავისი ბრიგადის ქებას, იგი კვლავ ივანე ოვჩინიკოვს იგონებს მადლიერების გრძნობით და მასთან მეგობრობაში გატარებული წლები მთელი თავისი ცხოვრების ძვირფას პერიოდად მიაჩნია.



რ უ ს თ ა ვ ი:
სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი ნოზაძე (მარცხნივ) და მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი არსენა წიკლაური.

## [illegible]

### მრავალშვილიანი დედა ევა სვიანაიძე

ევა სვიანაიძე დუშეთში მიათხოვდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა დურგალს იოსებ ჯანგირაშვილს. ახალშეუღლებულებს დუშეთში შეეძინათ პირველი ვაჟი — ვიქტორი. მათი სიყრმის შვილი — 21 წლის ვაჟკაცი ახლა საბჭოთა არმიაში მსახურობს.

დუშეთიდან ევა სვიანაიძე თავის ოჯახთან ერთად თბილისში საბურთალოს განაპირა უბანში დასახლდა. პირმშოს კიდევ ხუთი შვილი მოჰყვა და ახლა მრავალშვილიან ორმოცი წლის დედას ოჯახში სამუშაო გამოულეველი აქვს. სკოლაში წამსვლელებს ზელიმხანს, გულნარასა და ციალას ხომ თავის დროზე დაპურება და მომზადება სჭირდებათ, ყველაზე პატარებს, ხუთი წლის მათესა და ორი წლის ნიკოს კი უფრო სათუთი მიხედვა. აქ ბოსტანშია საქმე, იქ — სადილის დამზადება, სამუშაოდან და მოსული ქმრის დახვედრა და კიდევ ბევრი რამ, რაც ოჯახს გამოულევლად სდევს ხოლმე თან.

ევა სვიანაიძესა და მის პატარებს არც საბჭოთა მთავრობა აკლებს ზრუნვას. არა ერთხელ მიუღია ევას ფულადი დახმარება მთავრობისგან. სახელოვან დედის მკერდს ახლა პირველი და მეორე ხარისხის „დედობის მედალი“ ამშვენებს. ასეთი ყურადღებისა და ზრუნვის ქვეშ ცხოვრება ხომ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია შესაძლებელი.



### მძღოლი გიორგი ყარალაშვილი

— გიორგის მანქანა ყოველთვის წესრიგშია, იგი ყოველთვის მზადაა დროულად გავიდეს სამანქანო პარკიდან და მშრომელებს მოემსახუროს, — გვეუბნება თბილისის ტაქსო-მოტორების პარკის დისპეტჩერი.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც გიორგი ყარალაშვილი ტაქსომოტორების პარკში მუშაობს, მაგრამ თავისი ენერგიული და მუყაითი შრომით ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ჩახედავთ მის შრომის წიგნაკს და მართლაც გაგიხარდება. სადაც მას უმუშავნია, ყველგან მისი მადლიერი დარჩენილან. გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში გიორგიმაც მიიღო მონაწილეობა. იგი სტალინგრადის ეპოპეის მონაწილეა. მისი არტილერია არა მარტო სტალინგრადის ფრონტზე, არამედ კურსკი-ორიოლის ფრონტებზედაც უმასპინძლდებოდა ვერაგ მტერს.



თავისი ცხოვრების 40 წლიდან, 20 წელი გიორგიმ მანქანის საჭესთან გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთი დარღვევა და ავარია არა ჰქონია. სამუშაო გეგმასაც ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. გეგმის შეუსრულებლობა მას ვერც კი წარმოუდგენია, — ჩვენი პარკი ხომ ხარკოვის ტაქსო-მოტორების პარკთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული. თბილისელები ხარკოველებს არ უნდა ჩამოვრჩეთ, — გვითხრა გიორგიმ და მორიგი რეისისათვის მანქანაში ჩასაჯდომად გაემზადა.

# პირველი ნობათი

ოქტომბრის ძლევამოსილმა განთიადმა, რომელმაც მშრომელ მასებს ზავი, მიწა, თავისუფლება, ეროვნულ უმცირესობათა თანასწორობა და პატივისცემა მოუტანა, დღის წესრიგში დააყენა განაპირა მხარეებში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის მომავალი გარდაქმნისა და აყვავების საპატიო ამოცანა. საბჭოთა რუსეთმა, ლენინურმა მთავრობამ გადასწყვიტა დაეწყო სოციალისტური აღმშენებლობანი კავშირის განაპირა რესპუბლიკებში, რათა უმოკლეს ვადაში ისინი უბრალო ნედლეულის მომწოდებლებიდან ვადაექციათ ადგილობრივი, მძლავრი მრეწველობის ბატონ-პატრონად.

და აი, 1922 წელს მოძმე რუსეთის ხალხი საქართველოს მშრომელებს ურღვევი მეგობრობის ნიშნად უგზავნის პირველ ნობათს — მაუდის ფაბრიკას.

— დაუვიწყარია ის დღე, ის სიხარული — იგონებს ქსოვის ოსტატი ნამჩევაძე, — რაც საქართველოს მშრომელებმა განიცადეს. მაშინ მუშფაკში ვსწავლობდი და სხვა ახალგაზრდებთან ერთად ვეხმარებოდი მუშებს ახალი ფაბრიკის დანადგარების აწყობაში. მალე 1927 წელს ფაბრიკაში მოველ და, სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მიფიქრია იქიდან წასვლა. ჩემს თვალწინ აიდგა ფეხი ფაბრიკამ. მას შემდეგ ოცდაათი წელიწადი გავიდა.

ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის საინტენდანტო სამსახურის ყაზარმებში მოწყობილმა ფაბრიკამ თანდათან სახე იცვალა. გაფართოვდა, ერთიათად გაიზარდა. მაუდის ფაბრიკა ახლა მთლიანად ახალი სამამულო ტექნიკით აღჭურვილი საწარმოა, რომელიც ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანას დიდძალ მაღალხარისხოვან ქსოვილს აწვდის.

პროკლე გატაცებით ჰყვება ფაბრიკაზე, მის პირველ ნაბიჯებზე, ძველ მუშებზე, განსაკუთრებით პატივისცემით იხსენიებს სვერდლოვსკელ ივანე ივანეს-ძე იანინს, რომელიც ფაბრიკას მოჰყვა და მისი პირველი ამწყობი-მექანიკოსი იყო.

ეს ადამიანი რაღაც არაჩვეულებრივი გულმოდგინებით დასტრიალებდა საქმეს. „ჩვენი ივან ივანიჩი", ასე ლაპარაკობენ დღესაც ფაბრიკაში. ი. იანინი ამ ორი წლის წინ პენსიაში გავიდა და თავის შვილებთან და შვილიშვილებთან უზრუნველ ცხოვრებას ეწევა. ასევე კეთილად და თანაგრძნობით საუბრობს ოსტატი საწარმოს ხანდაზმული, მოწინავე მუშების ა. დვალის, ი. ქილარჯიანის, ი. ზაქარიაძის, ვ. ჭეიშვილის და სხვათა შესახებ.

მაგრამ თავისთავზე რომ არაფერს ამბობს, სიტყვაძვირობს? თქვას, რატომ არ უნდა თქვას? ისიც ხომ ოცდაათი წელია აქ არის, ამ დაზგებთან, ამ შრომისმოყვარე ადამიანებთან ჭაღარავდება, ისიც ხომ ამ ხნის განმავლობაში თავდადებულად მუშაობდა, სამშობლოს ძლიერებას სჭედდა. არ გვეტყვის? არა უშავს, სხვები მაინც იტყვიან.

პროკლე ამ ფაბრიკის ვეტერანია. საწარმოში მას იცნობენ როგორც უაღრესად გულისხმიერ და თავმდაბალ მუშას. არ ჰქონია შემთხვევა, თუ ეს ნედლეულის სიმცირით არ ყოფილა გამოწვეული, რომ მას საწარმო დავალება არ შეესრულებინოს. არა ერთხელ მიუღია მუყაითი შრომისათვის დირექციისაგან მადლობა, ხოლო იმ მძიმე დღეებში, როცა ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობის უკეთესი მერმისის ბედი წყდებოდა, როცა მისი თანამოძმენი, ნაცნობი თუ უცნობი, თავგამოდებით უტევდნენ ფაშისტ დამპყრობლებს მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, სევასტოპოლთან და სხვაგან, იგი ზურგში დაუღალავი მუშაობისათვის სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1943 წელს საპატიო ნიშნით დააჯილდოვა.

პროკლე ადრე მოეკიდა ოჯახს. შვილები დროულად შემოესწრნენ, მხარში ამოუდგნენ. უფროსმა საკუთარი კერა შექმნა. ნისი ოჯახი მაინც განსაკუთრებით ახლოა ფაბრიკასთან.

— პროკლეს მეორე ოჯახი აქა აქვსო, — ხუმრობის კილოთი ამბობენ საქსოვ საამქროში. ეს მართლაც რომ ასეა. მასთან ერთად ფაბრიკაში მისი მეუღლე და ვაჟიშვილიც მუშაობენ. დიანა ჯერ მქსოველად იყო, შემდეგ ნართის დამხარისხებლად გადაიყვანეს, ხოლო იუზა მზანაწარმის საწყობშია. ამასთანვე მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლის XI კლასის მოწინავე მოსწავლეა.

ნამჩევაძის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ხშირად 3.000 მანეთსაც კი აღემატება. ბინა მათ ადრე ჰქონდათ, მაგრამ ხელფასის დანაზოგით და ფაბრიკის დახმარებით წელს ახალი, საუცხოო ბინა ააშენეს.

• • •

მაუდის ფაბრიკის სიმძლავრე 1929 წელთან შედარებით დღემდე 30 ჯერ გადიდდა. თუ აქ, ამ პერიოდისათვის, 64 დაზგა მუშაობდა და წლიური პროდუქცია 1.725.000 მანეთს შეადგენდა, ახლა აქ 160 დაზგაა და მისი წლიური პროდუქცია 1960 წლისათვის 4.709.000 მანეთამდე გაიზრდება.

ხუთისო არჩემაშვილი



პირველი ქირურგიული ოპერაცია მთათუშეთში. ოპერაციას ატარებს ექიმი აკაკი ჯაფარიძე.

# მთათუშეთში

## ალექსი მინდაძე

თავისებური მხარეა მთათუშეთი. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთის კალთებზეა გაშენებული მისი ერთმანეთისაგან დაშორებული სოფლები, რომლებიც 1870-2400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ ზღვის დონიდან.

ზაფხულის განმავლობაში ფიჭვნარი ტყის ნაპირებზე გაშენებულ სამ ათეულზე მეტ სოფელში მწყემსების ხალისიანი, მჩქეფარე ცხოვრებაა გაჩაღებული. შიგაკახეთის რამდენიმე ათეული ათასი ცხვარი და მსხვილი რქოსანი საქონელი მოეფინება ხავერდოვან მთებს, ხარბად ეწაფება ალპურ საძოვრებს. გვიან შემოდგომით სოფლების უმრავლესობა ცარიელდება, ბარში მოდიან თუშები. მათი ზამთრის სამყოფელი ზემო და ქვემო ალვანია.

არა ერთხელ უსახელებიათ თავი თუშ-ფშავხევსურების თავდადებულ რაზმებს სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. ბევრმა თუშმა გაითქვა სახელი იმ დროს. მათი გმირული საქმეები დღესაც ცოცხლობს ხალხში და თაობიდან თაობებს გადაეცემა. საკმარისია დავასახელოთ ორი მათგანი: ზეზვა გაფრინდაული და შეთე გულუხაიძე.

ზეზვა გაფრინდაული სოფელ დიკლოში დაბადებულა და გაზრდილა. მან განსაკუთრებით ისახელა თავი სალიმ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც 1659 წელს ბახტრიონისა და ალავერდის ციხე-სიმაგრეებში დამკვიდრებული სპარსელების დამარცხებით და ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

რევაზ ჯიჯურიძის მიერ გაკეთებული ზეზვა გაფრინდაულის ძეგლი, რომელიც ქვემო ალვანში დგას, სიმბოლურად გამოხატავს იმ დიდ სიყვარულს, რაც დღესაც ღვივის ყოველი თუშის გულში ამ ზღაპრული გმირის მიმართ.

შამილთან ბრძოლაში სახელგანთქმული შეთე გულუხაიძის პატივისცემას ხალხი, ლექსების გარდა, სპეციალურად ჩაცმული შეთეს და შამილის შებრძოლების ინსცენირებითაც გამოხატავს სახალხო დღესასწაულების დღეებში.

ჩამორჩენილი მეურნეობა, უგზოობა, ცრუმორწმუნეობა, წერა-კითხვის უცოდინარობა და დუხჭირი ცხოვრება იყო მთათუშეთის მშრომელი მოსახლეობის ხვედრი ძველად. არც ერთი სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულება აქ არ მოიპოვებოდა.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მთათუშეთის ხალხის ცხოვრება სოციალისტური განვითარების გზაზე დააყენა. კულტურის სხივმა გაანათა მთებში. ძმობა და მეგობრობა დამყარდა მეზობელ ხალხებთან. მთათუშელები ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი გახდნენ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის მიჯნაზე ვესტუმრეთ მთათუშეთს. ამ კულტურულ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ: თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორი შოთა როსტომაშვილი, გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი სიმონ ქოჩლაძე, ახმეტის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ექიმი შოთა ხარაზიშვილი, თელავის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ლევან გზირიშვილი, თელავის საავადმყოფოს ქირურგი ექიმი აკაკი ჯაფარიძე, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტიტე ჩიჩუა და ამ სტრიქონების ავტორი.

გავეცანით განახლებულ მთათუშეთს, ვნახეთ მისი დღევანდელი დღე, ჩავატარეთ ლექციასაუბრები, გავსინჯეთ ავადმყოფები. ექიმ ა. ჯაფარიძემ გააკეთა პირველი ქირურგიული ოპერაციები მთათუშეთში. ტ. ჩიჩუამ აიღო მინერალები, წყაროების ნიმუშები ქიმიური ანალიზისათვის...

სამანქანო გზა თორღვას აბანომდე მიდის, შემდეგ ცხენით სავალია, მაგრამ ახლო მომავალში მანქანებიც შესძლებენ სიარულს.

სამამულო ომის მონაწილე, ომალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტროდიონ გეგეჭკორი შესანიშნავად იცნობს მთათუშეთის ყოველ კუთხეს, ხელმძღვანელობს სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას, გზების და ხიდების მშენებლობას. ის, სოფლის მთელ აქტივთან ერთად, ძალ-ღონეს არ ზოგავს მისი სამოღვაწეო უბნის წინმსვლელობისათვის.

სოფელ შენაქოს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ტრიფონ იჭირაული, აგრონომი რაფიელ თავბერიძე) აერთიანებს ომალოს, შენაქოს და დიკლოს მცხოვრებლებს. კოლმეურნეობას 156 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გააჩნია, ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. 2,456 სული ცხვარი და 350 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი—მათი მთავარი საზრუნავია. ნამატის, წველადობის, მატყლის რაოდენობა და სახელმწიფო ჩაბარების გეგმების შესრულება წლითიწლობით იზრდება. ასევე მატულობს თვითეული კოლმეურნის შემოსავალი და მატერიალური დოვლათი. მოწინავეა ივანე მელაიძის ბრიგადა. მრავალია წარჩინებული მწყემსი და მწველავი: ვ. მოზაიძე, გ. სისაური, ლ. ხუცაიძე, კ. ხაჩიძე, გ. ბეწუნაიძე და სხვ.

სახელგანთქმულია თუშური ცხვარი, მისი გემრიელი ყველი და ძვირფასი მატყლი, რომელსაც ამ ბოლო დროს, ჯიშთა შერჩევის გამო, მაღალი ხარისხი მიეცა.

უმჯობესდება მიწის დამუშავების ტექნიკა.

გამოცდილი მექანიზატორი რევაზ ლაზაიძე „კდ—14" მარკის ტრაქტორს მარჯვედ ამუშავებს ომალოს მინდორ-ველზე. ტრაქტორის რიტმულმა გუგუნმა მაღალი მთის მიდამოებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განთიადი ამცნო. გაუმჯობესებული თუშური „სახნუელით" კი მხოლოდ ფერდობი ადგილების დამუშავება წარმოებს.

დიდი ხანია ბოლო მოეღო წერა-კითხვის უცოდინარობას. ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას დაეწაფა. შენაქოსა და დიკლოში დაწყებითი სკოლებია, ომალოში კი შვიდწლიანი სკოლა-ინტერნატია.

პედაგოგები სიხარულით ასახელებენ ამ სკოლაში აღზრდილებს, რომლებმაც გაამართლეს იმედები. ანზორ გეგეჭკორი და აპოლონ სისაური თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებია, შოთა კურდღელაიძემ წელს დაამთავრა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომანოზ ბილოიძე ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელია, მიხეილ ოშორიძე უკვე მეცნიერებათა კანდიდატია და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასწავლის.

ორი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ოცამდე რადიომიმღები ხელს უწყობს მთის მცხოვრებთა გათვითცნობიერებას.

მთათუშეთელების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება ომალოს საავადმყოფო-ამბულატორია, პუნქტის ტიპის აფთიაქი, შენაქოს საფერშლო-საბებიო პუნქტი, ზაფხულის განმავლობაში მწყემსებისათვის სპეციალური სეზონური საექიმო ამბულატორია.

აქ სამკურნალოდ მოდიან, აგრეთვე, ლეკები დაღესტნის ალვალის რაიონის სოფლებიდან.

მთათუშეთს მომავალი განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია.

ხუთი წელია ჰიდროლოგიური დაკვირვება წარმოებს თუშეთის ანუ გომეწრის, ალაზნისა და პირიქითის ალაზნის წყლის რეჟიმზე. განზრახულია მათი შეერთების ადგილას შეგუბება და გვირაბით ნაწილობრივი გადმოყვანა კავკასიონის ქედის აქეთ ალაზნის ველების მოსარწყავად და ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად.

აქ ფიჭვნარი ტყის რაციონალური ექსპლოატაციის დიდი შესაძლებლობაა.

მთათუშეთი ყურადღებას იპყრობს, როგორც მაღალი მთის კლიმატური სადგური; მოიპოვება, აგრეთვე, მინერალური წყაროები, რომელთა გამოკვლევა, კაპტაჟი და კეთილმოწყობა კიდევ უფრო აამაღლებს მთათუშეთის საკურორტო ღირსებას.

მთათუშეთი უდიდესი მიღწევებით ხვდება დიდი ოქტომბრის ორმოცი წლისთავს.



ხიდი პირიქით ალაზანზე.

# ზეიმი კოსმოსში



— მაშ როგორ, თქვენც უნდა მოგრთოთ სადღესასწაულოდ. თქვენ ხომ დიდი ოქტომბრის თანამგზავრები ბრძანდებით!

## პასუხი ჟურნ. „დროშის“ № 9-ში გამოქვეყნებული კროსვორდისა:

### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

4. დონ კიხოტი. 6. კალა. 7. ერდო. 10. ქლორი. 11. აგარა. 12. ატაშე. 16. სვერდლოვი. 17. ლორი. 18. ალი. 19. მან. 20. მილი. 21. სიმბოლიკა. 22. ირისი. 24. ურანი. 27. კელნი. 28. ალაო. 29. დონი. 30. ასისტენტი.

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ანკარა. 2. ლირიკა. 3. ბოგემა. 4. დრაფი. 5. ინდრა. 8. კონკურენცია. 9. ხარაჯიშვილი. 10. ქამელეონი. 13. მწვალებელი. 14. ავიაცია. 15. დვინსკი. 23. იალტა. 24. უტოპია. 25. ანკეტა. 26. იადონი. 27. კანტი.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: პ. ვასილიევი.—ვ. ი. ლენინი ესაუბრება წითელგვარდიელებს სმოლნში.
მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: ვ. სეროვი.—ზამთრის სასახლე აღებულია!

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ქარბუქი. 2. ძველი თბილისის უბანი. 4. მდინარე ესპანეთში. 5. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა. 6. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მხატვარი. 8. ავეჯი. 9. გარეული ცხოველი. 10. ტყე. 11. მავნებელი მწერი. 13. ინდური კინოფილმის მოქმედი პირი. 14. პლანეტა. 15. რიცხვი. 17. ეპოქა. 19. ტყე-პარკი საფრანგეთში. 21. მეთაური. 22. ჩასაბერი ინსტრუმენტი. 24. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ერთ-ერთი გმირი. 27. სამამულო ომის გმირი ქალიშვილი. 28. ბურთობი. 30. მოწინააღმდეგე. 31. მიწის ზედაპირის მოძრაობის შემსწავლელი ინსტრუმენტი. 32. ექიმი. 34. მოწინავე რაზმი. 35. ტროპიკული მცენარე. 36. დღესასწაული. 37. სახელმწიფო ლათინურ ამერიკაში. 41. გამოჩენილი კომპოზიტორი. 43. მხარე სსრკ-ში. 52. მაგარი სასმელი. 54. სალებავი მცენარე. 55. ტროადის ომის მოქმედი პირი. 56. ძველი საქართველოს ნაწილი. 58. ქიმიური ელემენტი. 60. მიწის საზომი ერთეული. 61. ოპერა „კარმენის“ ავტორი. 65. კუნძული წყნარ ოკეანეში. 66. გიორგი გულიას ნაწარმოების გმირი. 69. მუხის ნაყოფი. 70. საელჩოს წევრი. 72. მცენარეთა სამყარო. 73. ძველი საქართველოს ერთ-ერთი კუთხე. 75. შექსპირის ტრაგედია. 76. ქალაქი ეგვიპტეში. 80. მოკავშირე რესპუბლიკა. 81. ჭიდაობის ერთ-ერთი სახე. 82. სხეულის ინერციის ზომა. 83. სურამის ქედი. 84. იალქნიანი ნავი.

### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

3. ფრანგი უტოპისტი. 6. ღმერთი ძველ ბერძენთა მითოლოგიაში. 7. შეუზღუდველი უზენაესი ხელისუფლება. 12. ლეონკოვალოს ოპერა. 15. გერმანელი ფიზიკოსი. 16. სიგრძის საზომი ძველად საფრანგეთში. 18. უდაბნო ჩინეთში. 20. სიმებიანი საკრავი. 23. ერთ-ერთი მარკის რადიოლა. 25. მთა-მადნეულით მდიდარი მხარე სსრკ-ში. 26. განთავისუფლებული ყმა. 29. ხაზი წრეში. 31. ფულის ან ნივთის შესანახი ლითონის ყუთი. 33. საქართველოს ბოლშევიკური გაზეთი. 36. მოგლუვებული ზედაპირის მქონე მთები სკანდინავიის ნ/კუნძულზე. 38. პუჩინის ოპერა. 39. მდინარე სომხეთში. 40. ნაწარმოების მთავარი აზრი. 42. რუსი საბჭოთა პოეტი. 44. ო. თუმანიანის ნაწარმოების გმირი. 45. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. 46. ცინკოგრაფიაში დამზადებული ლითონის ფირფიტა. 47. ლერმონტოვის პოემა. 48. საფრანგეთის გამოჩენილი პოეტი. 49. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში. 50. ოქტომბრის რევოლუციის შტაბი 1917 წ. 51. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. 53. ქალაქი ესტონეთში. 54. მუშაობის საზომი ერთეული. 55. პერსონაჟი. 57. ავტოს ნაწილი. 59. ქიმიური ელემენტი. 61. გოგოლის ნაწარმოების გმირი. 62. მოხელე ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. 63. ადამიანის მოქმედებისა და მისწრაფების მიზანი. 64. გარეული ცხოველი. 67. კოპიტი. 68. სახელმწიფო აზიაში. 71. სპორტის ერთ-ერთი სახე. 72, მარცვლოვანი კულტურა. 74. მუსიკალური პიესა სამი ხმისათვის. 76. მდინარე ვოლგის შენაკადი. 77. ოდა. 78. სამჭიდლო იარაღი. 79. შეიარაღებული აჯანყება. 81. კბილის ექიმი. 85. მწერი. 86. კურორტი შავი ზღვის ნაპირას.


რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28 XI-57 წ. გამომც. № 187. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 611. უე 03758.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნ. ოსინევი. — საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვა — დეკრეტი ზავის შესახებ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა